“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№2 (279)
თებერვალი
2022 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეოთხე წელი "LITERATURULI MESKHETI"

დავით აღმაშენებელი - 850

გაუნათი – დავით აღმაშენებლის სულიერი დიდგორი

თამარ ფარჩუკიძე,
ისტორიის დოქტორი

დავით IV ბაგრატიონის აღსაყდრებისას საქართველო ჰგავდა ერთ დიდ, იავარქმნილ ტაძარს, რომელშიც კეთილ მწყემსს მიმსგავსებულმა ქრისტეს მხედარმა ცისკარზე სიყვარულით შემოიკრიბა და ლოცვით აღამაღლა გაფანტული და ღირსებაშელახული ქართველობა, შუადღის ჟამს, სულიერი და ფიზიკური ძალმოსილების სიმბოლოდ, დიდგორით გაამშვენიერა, ხოლო მწუხრისას, აშენებულს, ამაღლებულს, გაუბზარავი რწმენით განმტკიცებულსა და სრულყოფისაკენ მსწრაფს, ბალავარში, გზაბოძალზე ჩაეკირა სინანულით მგალობელი, ნიშნად „ცხოვრებისა, რომელსაც არა შეამღურევს სიკუდილი.“

დავით მეფე - აღმაშენებელი;

მეფე-ღვთივს ულიერი-სულიწმიდის ნიჭით შემკული და სულიწმიდის ნაყოფთა გამომღები;

მეფე-ღვთივგანბრძნობილი-ხორციელ და სულიერ მონყალებათა საქმეთა მქმნელი;

მეფე-ღვთივდაცული-ზომაკვდინებელ ცოდვათა მამხილებელი და მისთა ნამალთა მასწავლებელი;

მეფე-აღმსარებელი.

„მესიის მახვილით“ აღმა მაშენებელი

„გელათი“ დავით აღმაშენებლის სულიერი დიდგორია, რომელიც წინ უსწრებდა დიდგორის ბრძოლას. დავითის მიერ გატარებული სახელმწიფოებრივი, საეკლესიო, საგანმანათლებლო, სამხედრო, სოციალური და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სახის რეფორმები ნიშნავდა იმას, რომ მეფე ქვეყნის ფიზიკური გადარჩენის გზას ერის სულიერ განწმენდა-გაჯანსაღებასა და განათლების დონის ამაღლებაში ხედავდა.

ამ თვალთახედვით, მისი ტიტულატურის ჩამონათვალის დაგვირგვინება – „მესიის მახვილი“ უპირველესად ნიშნავდა იმას, რომ მეფე, თავდაპირველად უპირისპირდებოდა სულიერ მტერს – ბოროტის საწყისებს ადამიანში, რისი გამოვლინებაც იყო გულგრილობა სამეფო ჯარზე, ცუდმედიდურობა ეკლესიაში, „ყოველი უწესობა“ ლაშქარში, დემორალიზებული, რწმენადაკარგული მოსახლეობა. ამ სენთა „მკურნალად“ მოევლინა საქართველოს 16 წლის მეფე და აკი „უაქიმა“ კიდეც.

დავით აღმაშენებლის მეფობის ერთ-ერთ მთავარი შედეგია მისი საგანმანათლებლო პოლიტიკა. ჯერ კიდევ მანამ, სანამ დადგებოდა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის, მტკიცე შინაგანი ერთიანობისა და მშვიდობიანი ხანა, ახალგაზრდა მეფემ შეძლო, რომ საერო და საეკლესიო ხელისუფალთა მტკიცე ერთნებობის ფონზე, ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიურიის პრიორიტეტად ქცეულიყო სამეფო კარის ზრუნვა განათლებისა და მეცნიერების საქმის წინსვლისათვის.

იგი პირადი ცხოვრების წესით ცდილობდა ყოფილიყო იმ ღირებულებათა მაგალითი, რის დანერგვასაც ცდილობდა: ,,სათანაო წიგნები“ ბრძოლის დროსაც კი თან ჰქონდა, საღვთო მცნებების დაცვით ცხოვრობდა და თავს „ბონიერი მოძღვარის“ (წმიდა არსენი) „მორჩილ შეგირდად“ სთვლიდა. ერთ წელიწადს, მხოლოდ სახარება, 24 ჯერ ჰქონდა წაკითხული და ეს მაშინ, როცა იმჟამინდელი ევროპის მონარქთა შორის, ბევრმა წერა-კითხვა ძლივს იცოდა,

ევროპა იცნობდა ლეგენდარულ მეფე-მხედართმთავარ დავით აღმაშენებელს, მაგრამ არაფერი იცოდა მისი მეცნიერული და თეოლოგიური განსწავლულობისა და საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგების შესახებ, რომ იგივე მეფე იყო სულისჩამდგმელი ამ რეგიონში ერთ-ერთი უძველესი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრისა, რომელიც თავისი ფორმით იყო სამეფო აკადემია, შინაარსით კი – ევროპული უნივერსიტეტების წინამორბედი უმაღლესი სკოლა.

„სამარხავად თვისისა“ გელათის მონასტრის განახლება და მასში აკადემიის გახსნა დავითის განსაკუთრებული პროექტი გახდა. ჩანაფიქრის განსახორციელებლად მან ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც მოიძია ყველა იმდროინდელი სწავლული, თუკი ვინმეს „სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერთა და ხორციელთა სათნოებითა აღსავსეობა“ სმენოდა. ასე „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა...“ მონასტერს კი უბოძა იმდენად დიდი და ეკონომიურად ღონიერი მამულები, რომ ურბანულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ქართულ და რუსულ წყაროებში გელათი „ქალაქად“ მოიხსენიება.

გელათის აკადემიის მისია

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვამცნობს, რომ გელათი „წინა-მდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად“ („ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“).

...მედიევალური ევროპის განათლების ისტორიაში არ არსებობს უმაღლესი სკოლისა და ეკლესიის ერთობის, ცოდნისა და რწმენის ჰარმონიის, ქრისტიანობამდელი და ქრისტიანობის შემდგომი სიბრძნის სინთეზის მსგავსი სახელმძღვანელო-საგანათლებლო ფორმულირებისა და სათანადო აღსრულების მაგალითი, მით უფრო, მეფის ინიციატივითა და თანამონაწილეობით. დავითი თავადაც აქტიურად იყო ჩართული მონასტრის საქმიანობაში. აკადემიასაც ხშირად სტუმრობდა და იქვე გახსნილ „სასნეულოშიც“ მზრუნველობდა მოხუცებს.

ცოდნათა გააზრებით გელათში ცხადი გახდა ათენსა და იერუსალიმს შორის მსგავსება–განსხვავებისა და საერთოობის დედააზრი, ფილოსოფიისა და თეოლოგიის, აკადემიისა და ეკლესიის ურთიერთმიმართების საკითხი. გელათი უნდა ქცეულიყო „მეორე იერუსალიმად“ (რწმენა) და „სხუად ათინად“ (მეცნიერება).

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

გაუნათ – „იქმენინ ნათელი!“

აია-ქუთათისს, მთის ფერდობს, სად სიო საუბრობს იებთან,
მეფე-ტაძრეულთა საძვალე, უძველეს დროიდან ჰგიებდა.
მზეებრი წყალობა მიერთვა საბრძანისს დიდპატიოსანთა,
აჟღერდა სიონში ,,გალობა სინანულისა" და "ოსანა."
სთქვა მეფეთ მეფემან: ,,განახლდეს, იქმნასო
უმეტეს ყოველის, –
მომფენად სიბრძნეთა მრავალთა, მაქებრად
– სიტყვისა ცხოველის.
დე, სწავლის წყურვილმა დაანთოს ქართველთა
გულებში ხანძარი,
შვენიერს, ყოვლითურთ უნაკლოს, ეწოდოს
,,ცოდნისა ტაძარი!..“
იქმნა სიტყვისაებრ მისისა: სივრცით და ნივთითა ქებული,
ყოველთა წინანდელ ქმნულთაგან შუენებით
ზეაღმატებული.
ვით მოსემ – კეთილადმსახურმან, ცაი გარდაართხა მეორე,
თვით შთააგონებდა სწავლულებს და ლაშქრად
მიმავალ მეომრებს...
ემტკიცა გენათურ ბალავარს მცხეთიდან კვართი
და ხალენი,
და იქმნა ,,ახალი ათინა, მეორე იერუსალემი!“
ესავდნენ სოფიაწმდასა ცისკროვან-ნათელი გონებით,
ყოველთა კაცთაგან რჩეულნი: მდიდარნიც და
არას მქონებნიც:
კელინში – გონებით მოხუცნი, ხანაგში – მწირნი
და ობოლნი...
აქედან მოეცა იბერთა სწავლანი – საფილოსოფონი.
აქ, ცათა მომბაძავ ალაგზე, საღმრთოის მადლისა მუშაკნი,
ენასა – შემკულს და დიდებულს იცავდნენ, როგორაც
გუშაგნი.
უფროსად ღამეულ ნუსხვითა, ხელრთვითა, კაზმვითა,
მუხლდრეკით,
გარჯილ-დამაშვრალი მოძღვარნი, თავად, მერჯულენი
უდრეკნი.
მათთანა ხითხურო, ქვითხურო, ხურონი რვალითა,
კირითა,
სიმღერის მოქმედნი, მკურნალნი, ოსტატნი –
საბოძარძვირითა.
ბერისა და ერისაგანნი, – ქუეყანის კიდეთგან პოვნილნი,
იქავე ქსენონში – სნეულნი, – მეფისგან
ნაფერებ-მოვლილნი.
კეთილადმეტყველთა რიტორთა, მოძღვართა და
მოძღვართმოძღვართა,
უვერცხლოდ იზრახეს გავრცობა ცოდნისა: წიგნთა,
ლოცვათა.
აქ ქმნიდნენ ,,ოქროვან“ ეპოქას – გონიერს, ღონიერს –
ოდინდელს,
პეტრიწ-ჭიმჭიმელი, არსენი მიდმოსიტყვაობდნენ
ჭყონდიდელს.
შავთელი, თმოგველი, ხონელი გენათის ფუძეზე
დაუნჯდნენ,
გვებოძა უბადლო შაირი – ვეფხისტყავმოსილი საუნჯე.
და ქვა ამეტყველდა – ჩუქურთმა – დავითის ოფლითაც
სოველი,
დაღი-ნიშნეული: მესია – წიგნი, მზე -
დედაღვთისმშობელი.
დღესაც იმ სინათლით ვანთივართ, ხან ლხენით,
ხანაც კი გოდებით,
მეათე ასწლეულს მოარღვევს ლოცვებით გამთბარი
ლოდები.
არის და კვალადვე იბრწყინებს ცოდნის და რწმენისგან
ნათენი,
,,გაენათ“ – აენთე, განათლდი! ,,გეენათ – ,,იქმენინ
ნათელი!“

თამარ ფარჩუკიძე

გაუნათი – დავით აღმაშენებლის სულიერი დიდგორი

◀ დასაწყისი გვ. 1

მაშინ როდესაც ევროპაში აკრძალული იყო ანტიკური ფილოსოფია, გელათში აღორძინდა არა მხოლოდ ფილოსოფიური, არამედ, ქალდეური, ეგვიპტური, ძველ მსოფლიოში უწინ არსებული ყველა კულტურათა და მისტერიულ სიბრძნეთა ტრადიციები, რომლებსაც გელათელი ბრძენი სწავლულები ორგანულად უთავსებდნენ ქრისტიანობას. მათთვის ერთმანეთისაგან განუყოფელი იყო ბიბლიური და ანტიკური სიბრძნე. გელათის სკოლა არის მაგალითი იმისა, რომ სწორედ რწმენასა და გონებას შორის ამგვარი ჰარმონია არღვევდა შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკის ჩარჩოებს და ქმნიდა ახალ საგანმანათლებლო იდეას, რაც სავარაუდოდ, თუნდაც, ფარული წინააღმდეგობის გარეშე არ ჩაივლიდა.

ევროპული უნივერსიტეტების მსგავსად, გენათში უმაღლესი განათლების საფუძველს წარმოადგენდა „შვიდი თავისუფალი ხელოვნება.“ ტრივიუმ-ვადრიუმის (არითმეტიკა, ასტრონომია, გრამატიკა, გეომეტრია, მუსიკა, რიტორიკა და ფილოსოფია) დისციპლინებთან ერთად ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, საერო და საეკლესიო სამართალი და მედიცინა.

გელათელი მეცნიერები თავისი ფილოსოფიურ-პედაგოგიური კონცეფციებისათვის იყენებენ იამბლიხოს, პორფირეს, სოკრატეს, ჰომეროსს, პითაგორას და სხვათა შრომებს, გელათში მიმდინარე სწავლება ეფუძნებოდა ღვთისა და ადამიანის ერთიანობის შემეცნებით სამყაროს მთლიანობის, ჰარმონიულობისა და განუყოფლობის იდეას. ეს გაუმიჯნაობა ყოველთვის ახასიათებდა ქართულ რეალობას, უძველეს იბერიულ ცნობიერებას.

გელათში მოხდა ამ ცოდნათა გაცოცხლება და ახალ საფეხურზე ამაღლება. ძველი საბერძნეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, საბჭოთა ეპოქის მართლმადიდებლური ეკლესიის ფარული ბერი აკადემიკოსი ა. ლოსევი (1893-1988) იზიარებდა შ. ნუცუბიძის მოსაზრებებს საქართველოში რენესანსის იდეების ადრეულობასთან დაკავშირებით და მიიჩნევდა, რომ გელათში, იოანე პეტრიწისა და მეფე დავითის მიერ დაწყებული საგანმანათლებლო საქმიანობა („ქართული რენესანსი„) ანთროპოცენტრულია, ნეოპლატონიზმის ფილოსოფიური მოძღვრების კვლევა კი – მაღალი და სიღრმისეული. „ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქართველებისაგან“ – წერდა ფილოსოფოსი და პეტრიწისადმი დიდ პატივისცემას იმითაც ადასტურებდა, რომ 80-იან წლებში ეწვია კიდეც გელათს და მუხლმოყრით ილოცა.

მანგანას ასლი თუ პეტრიწონის მოდელი

„ხელმწიფის კარის განრიგება“ გვამცნობს, რომ გელათის აკადემიის ხელმძღვანელს ერქვა „მოძღვართ-მოძღვრი“ („მასწავლებელთა-მასწავლებელი,“ „მეცნიერთა-მეცნიერი„). გაზიარებული თვალსაზრისით, აკადემის პირველი რექტორი იყო დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრინი. ამ საკითხზე არსებობს სანინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ თითქოს, პეტრინი არ არის დავითის დროინდელი მოღვაწე და გელათი არის კონსტანტინოპოლის მანგანას აკადემიის ასლი. ამ თვალსაზრისებს აბათილებს ბოლოდროინდელი კვლევის შედეგები. კერძოდ:

წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილი) ემიგრანტობის დროინდელი, პარიზში წაკითხული მოხსენება უახლესი ცნობაა იმის თაობაზე, რომ მეფე დავით აღმაშენებელის მიერ დაარსებული გელათის მონასტერი „პეტრიწონის მოდელითაა“ შექმნილი და რომ გელათის აკადემია „იფარავდა საქართველოს მორალური და სულიერი შარავანდედით.“ აქვე, მოხსენების ავტორი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს თბილისში დაფუძნებულ „საქართველოს უნივერსიტეტს“ აკავშირებს XII საუკუნეში დაარსებულ „ინტელექტუალურ ქალაქ გელათთან.“

დიდი მამულიშვილის ეს ცნობა მეტად ფასეულია პეტრიწისა და მეფე დავითის თანადროულობის პრობლემის გარკვევისათვის, რამაც ბოლო დროს იჩინა თავი. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია ამყარებს ჩვენს სხვა ჰიპოთეზებსაც, რის შედეგად, მეტი დამაჯერებლობით წარმოვადგინთ იმ სიახლეებს, რომლებიც ნათელს ჰფენს საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეპოქის საგანმანათლებლო სფეროს ზოგიერთ საკითხს.

იმხანად, ნამყვან პოზიციებზე ითვლებოდა ბაღდადის (IX ს.), შარტრის (XI ს.) და მანგანის (1044-46) აკადემიები. თითოეულ მათგანთან არსებულ მსგავსებათა ფონზე, გელათის აკადემია „ახალი სიტყვაა“ თანადროულ ევრაზიულ სივრცეში, თანამედროვე ცოდნით მანგანას აკადემიის „ასლად“ მისი მოხსენიება კი – ანაქრონიზმი. სამწუხაროდ, „მონასტერი – უმაღლესი სკოლა – ქსენონს“ ერთობის გელათურ მოდელს საკითხის მკვლევარები ბიზანტიურ ტრადიციას მიაწერენ, რეალურად კი ეს არის ათონის მთის ქართველთა „ივირონში“ დამკვიდრებული პრაქტიკის ანალოგია, რომელსაც ვხვდებით ჯერ პეტრიწონში,შემდეგ გელათში.

„ჟღერს ძვის ჰარმონია...“

გელათის მონასტრის საგანმანათლებლო მისიის უპირველესი მტკიცებულებაა სასწავლებლის შესასვლელში გამოსახული სიმბოლო, რომელიც უკანასკნელ დრომდე მოიხსენიებოდა, როგორც „აკადემიის კარიბჭის მორთულობის დეტალი.“ რეალურად, ეს არის გელათის უმაღლესი სკოლის მსოფლმხედველობრივ-კონცეპტუალური იდეის განივთებული სიმბოლო - გეომეტრიზებული ფორმების წიგნისა და მზის პიქტოგრამულ ნიშანთა ერთიანობა.

აკადემიის კარიბჭის ფასადზე წიგნისა და მზის გამოსახულება პირველმა ამოიცნო პროფესორმა რევაზ სირაძემ. ჩვენი გაღრმავებული კვლევით, შევეცადეთ ჩავწვდომოდით ემბლემის წარმომავლობის ისტორიას, აგვეხსნა მისი საღვთისმეტყველო და მსოფლმხედველობრივი კონცეფციები. პირველ რიგში, მიგვაჩნია, რომ ემბლემა არის გელათის მისიის ორბუნებოვანი ჩანაფიქრის ფიზიკური განსხეულება. ამიტომაც, შეიძლება ვთქვათ, რომ ქვითმეტყველებით გადმოცემული ეს მოვლენა ზედმიწევნით მიესადაგება მემატიანის მიერ წერილობით გადმოცემულ ასევე ორერთოვან იმ იდეას, რასაც „მეორე იერუსალემისა“ (მზე) და „სხუა ათინას“ (წიგნი) ჰქვია.

ქართველ ქვითხუროთა ეს უძველესი ნაოსტატარი გენიალური სისადავით გვამცნობს ბრძენი წინაპრების მიერ ქვის ფურცლებში ამეტყველებულ ჩანაფიქრს. მონასტრის არქიტექტურა, მაშენებელთა მხატვრულ გემოვნებასთან, მათ შინაგან მრწამსსა და პათოსთან ერთად, მიგვანიშნებს ავტორების შორსმჭვრეტელურ სახელმწიფოებრივ და საგანმანათლებლო პოლიტიკაზე.

ქტიტორთა მიზანი იყო ეჩვენებინათ ცოდნის საყოველთაო, საერთაშორისო და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. მათ კარგად ესმოდათ, რომ ნებისმიერი ეროვნების ადამიანი რელიგიური ბუნებისაა და არსებობს ზოგადსაკაცობრიო პარადიგმული მოდელები, კოსმოსური და კულტურული კატეგორიები, მათთან დაკავშირებული საყოველთაოდ მიღებული კულტები და საგნები (მზე, მთვარე, მსოფლიო ხე, წიგნი და ა.შ.).

ყველა სარწმუნოების ადამიანისათვის გასაგები და მისაღები ემბლემის ნიშნებით, ვვარაუდობთ, რომ გელათის სამეცნიერო ცენტრი მეფე დავითმა საერთაშორისო და რელიგიათშორისი შეხვედრების ადგილადაც აქცია. შესაძლოა სწორედ, აქ იმართებოდა ის დისკუსიები მუსლიმ და გრიგორიანელ სასულიერო პირებთან, რომელთა შესახებაც მოგვითხრობს მემატიანე.

სასწავლებლის ემბლემაზე, ერთი შეხედვით, ვერ ვხედავთ ქრისტიანულ სიმბოლიკას, რომელთაგან, პირველ რიგში, მნახველს ჯვრის მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს. ასეთი აკადემიური ფორმით, ქართულ-იბერიული ცნობიერებით, საკუთარი სარწმუნოების ერთგულებით, აკადემიის დამაარსებლები ხელს უწვდიან კაცობრიობას და ადასტურებენ სამყაროს ერთიანი შემოქმედის არსებობას, ადამიანთა მოდგმის ნათესაობას, სხვისი რწმენისა და შეხედულებების პატივისცემას. ასეთი მასშტაბური ხედვებისა იყო დავითის საქართველო!

გელათის სიმბოლოს ნიშნებით გამოხატულია საქართველოს ეკლესიისა და ქართული სახელმწიფოს ინტერკულტურული ნიშნით აღბეჭდილი რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი პრიორიტეტები: ქვეყნის სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის რანგში გააზრებული საგანმანათლებლო პოლიტიკა, რჯულშემწყნარებლობა, საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებელთა საეროობის, საყოველთაოობის და საერთაშორისოობის ნიშნები.

არქიტექტურულ-ტექნოლოგიური და მით უფრო, ფუნქციური თვალსაზრისით ორიგინალური ეს მოვლენა ახალი სიტყვაა არა მხოლოდ იმჟამინდელ ქართულ, არამედ, ევროპულ სინამდვილეში. დასავლეთის საუნივერსიტეტო ცხოვრების გარიჟრაჟზე, მსგავსი ნიშანი, მით უფრო, სასწავლებლის შენობაზე გამოსახული, არსად გვხვდება. ყველაზე უადრესი არქიტექტურული სიმბოლო წიგნის გამოსახულებით, აღინიშნება XIV საუკუნიდან იტალიის საგანმანათლებლო სივრცეში (მილანსა და ბოლონიაში). ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს მსოფლიოში პირველ საუნივერსიტეტო სიმბოლოსთან, რომლის მიხედვით, შემდგომში, უმაღლესი სკოლების ემბლემებში დაინერგა წიგნისა და მზის ნიშნები. მაგრამ, საბედნიეროდ, გელათის ემბლემა აღმოჩნდა რიგით მეორე.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, გელათის აკადემიის კარიბჭის ფასადზე ამოტვიფრულ ამ სიმბოლომდე 25-27 წლით ადრე არსებობდა მისი წინამორბედი, კიდევ ერთი, ქართული წარმომავლობის პეტრიწონული ნიშანი – ანალოგიური, გადაშლილი წიგნისა და მზის გამოსახულებით. ეს ფაქტი მათ მემკვიდრეობითობაზე მიგვანიშნებს და მრავალი ახალი საგულისხმო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ამასთან ისმის კითხვებიც. მაგალითად: ვის შეიძლებოდა შთაეგონებინა 33 წლის „ოდენ მხედრობასა შინა აღზრდილი“ დავითისათვის, რომ შეექმნა ახალი, ჯერ არნახული სამყარო, რომელიც „წინამდებარე“ იქნებოდა „ყოვლისა აღმოსავალისა,“ სადაც მოხდებოდა ძველ და ახალ ცოდნათა სინთეზი? ვისი იდეა შეიძლებოდა ყოფილიყო ნეოპლატონური ბუნების ემბლემა ჯერ პეტრიწონში, შემდეგ - გელათში?

ჩვენთვის ასეთია იოანე პეტრინი - „მაღალი ფილოსოფოსი,“ ღვთისმეტყველი, დიდაქტიკოსი, ფილოლოგი („გრამატიკოსს„), მათემატიკოსი („გეომეტრს„), მუსიკოლოგი, „კლდეზე წამკითხველი...“ ის, ვინც დაამტკიცა, რომ თეოლოგიას, როგორც უმაღლეს ჭეშმარიტებას, შეეძლო შესაბამისობაში მოსულიყო ფილოსოფიასთან. რომლის წყალობითაც, ამ ორ ქართულ აკადემიაში მოხდა სამეცნიერო ცოდნის შევსება სამყაროში ღმერთის მყოფობის შინაარსით. ვისი მეოხებითაც დავით აღმაშენებელს მიეცა ის შინაგანი თავისუფლება, რომელსაც თავად სახარება მოგვიწოდებს და რომლის მიხედვით, „მხოლოდ მორწმუნე ადამიანი ღვთის მონაა, ხოლო მორწმუნე და განათლებული ადამიანი – ღვთის მეგობარი“ (წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელი).

ემბლემის ქვითმეტყველება

რაზე „გვესაუბრებიან“ გელათისა და პეტრიწონის წიგნისა და მზის გამოსახულებიანი სიმბოლოების ცალკეული ნიშნები? წიგნი განსწავლულობის ზოგადსაკაცობრიო იდეის საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლოა. ქრისტიანულ ეგზეგეტიკაში კი ღვთისმშობლის ერთ-ერთ სიმბოლურ სახედაა მიჩნეული. წიგნი სიტყვის დამტევნელი და მომწოდებელია, ღვთისმშობელი კი განკაცებული სიტყვის (ლოგოსის) ანუ იესო ქრისტეს – ქვეყნიერების საზრისის მშობელი.

ესე იგი, სინათლე, ნათელი, განათლება მოაქვს წიგნიერებას, ცოდნას, ღვთივგანბრძობილ სწავლებას, რომელსაც მიზნად აქვს დასახული უცდომელი, ჭეშმარიტი ცოდნის ძიება და გავრცელება. წიგნის, მზის (ბორჯღალის) და იოტას, – მარადიული ერთიანობისა და ჭვრეტის იდეოგრამული ნიშნებით გამოხატული სამერთიანი იდეა, საშუალებას გვაძლევს შეძლებისდაგვარად ამოვიკითხოთ მისი შემქმნელების მსოფლხედვა და მითოლოგიურ-ქრისტოლოგიური ჩანაფიქრი.

ქრისტიანული გააზრებით, მზის სახე-სიმბოლო და მზის ფორმის შარავანდედი სინმინდეს, ღვთაებრივი სიბრძნის გამოსხივებას, ახალი აღთქმის სულიერი სინათლის გამოხატულებაცაა. სიმბოლოთა იდეური შერწყმით გამშვენებული გელათის ემბლემის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია წრიული ფორმის პიქტოგრამა – ცხრა ფურცლიანი ყვავილის ფორმის ბორჯღალი, რომელიც გარშემოწერილია წნულის ფორმის წერტილოვანი წრით და მთლიანობაში სხივმფენ მზეს ემსგავსება.

იბერიული ბორჯღალი მზის მოდიფიცირებული სახეა („ბორჯღალი“ სანსკრ. „სვა-სტიკა“ - „კეთილად ყოფადი,“ მეგრ. „ბარჩხალი“-ელვარე, კაშკაშა; სხვა მოსაზრებით, „ფესვი“ და „ღალა“). ქრისტიანულ ესთეტიკაში შენარჩუნებული ეს სიმბოლო გამოსახულია სვეტიცხოველის, ბაგრატის, მარტყოფის, პალესტინის ჯვრის მონასტრის კედლებზე და სხვა.

გელათის ემბლემის მზის შუაგულში გამოსახულ, ასე ვთქვათ, ფურცლებს თვალის ფორმაც აქვს. იდეის ავტორს, მასში მოცემული ცხრიანის რიცხობრივ–სიმბოლური ინფორმაციის გააზრების საფუძველზე, ცხრათვალა მზის სიმბოლო შემოაქვს იმდროინდელი აზროვნებისათვის დამახასიათებელი მიზანმიმართული ესქატოლოგიური მნიშვნელობით.

მოძღვრება ნათლის შესახებ ძველთაძველია სხვადასხვა რელიგიასა და ხალხთა რწმენაში. „შექება ნათლისა, მზისა და ვარსკვლავთა ბაბილონ-ეგვიპტის უუძველესი ხანიდან მოდის და ასტროლოგიური თეოლოგიით საზრდოობს“ (ვიქტორ ნოზაძე). ასეთივე მოვლენა იყო მზის კულტის ფენომენი „აია კოლხეთში,“ ძველ საქართველოში, სადაც მზე „დედად“ იყო მიჩნეული და ჩვენშიც, ისევე, როგორც ყველა უძველესი რელიგიისა და ხალხის რწმენით, ცხრა დასრულებული მთლიანობის, ღვთაებრივ, ბედნიერ რიცხვად იყო მიჩნეული.

ქართულ ფოლკლორსა და მითოლოგიურ სიუჟეტებში გადმოცემულ მზის მხატვრულ სახესთან ერთად, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, პარალელი „აია„კოლხეთის უძველეს სახელთან, რომლის პიქტოგრაფული გამოსახულება ხაზოვანი დამწერლობით, გელათის მზის ანალოგიურია.

ქრისტიანულ სახისმეტყველებაში მზის სიმბოლიკამ ერთდროულად შეიძინა ღვთაების, ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს სახელთა სინონიმური მნიშვნელობა („მე ვარ ნათელი“ -იოანე 8.12.). რიცხვი ცხრა ქრისტოლოგიაშიც ჰარმონიას გამოხატავს. დიონისე არეოპაგელის ტრაქტატი „ციური იერარქიის შესახებ“ ადასტურებს, რომ ეს არის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და იდეის სრულყოფილების სიმბოლოც. მასვე უკავშირდება მეცხრე ცა, ანგელოზთა ცხრა დასი, ცხრა ნეტარება, სულიწმიდის ცხრა ნაყოფი.

რიცხვთა სულიერ საფუძვლებზე დამყარებული პითაგორიანელთა მოძღვრების თანახმად, რიცხვი ჭეშმარიტი არსის ცნებაა, ამდენად, გელათის სიმბოლოში ცხრიანის შინაარსი წასაკითხია უძველესი ჰერმატრიული მეთოდითაც, რომლითაც ჩვენი წინაპრები სარგებლობდნენ. დროთა განმავლობაში ჩვენ დაკარგულიდან იმ უძველეს იბერიულ ცოდნას, რომლის შესახებაც, უდაოდ მიგვანიშნებენ ხსენებულ ემბლემათა ავტორები. თუმცა, ერთეულ შემთხვევებში (კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა) შეუძლებელი იყო დაფარული ცოდნების არსებობისათვის გვერდის ავლა და ჩვენი კორიფეები საიდუმლო კაბალისტური მოძღვრებისა და კრიპტოგრაფიის (იდუმალდამწერლობა) შესახებაც მიგვანიშნებდნენ ხოლმე.

მზე გალაქტიკის წონასწორობის ცენტრია, ეგებ, ამიტომაც შეირჩა მისი სიმბოლო გელათური „წონასწორობის,“ – მეცნიერებისა და რელიგიის სინთეზის იდეისა და ღთაებრივი გზის - ოქროს შუალედის დაცვის გამოხატულებად. ამის თქმის საფუძველს გავძლევს ის, რომ შოთა რუსთაველმა, პოემა „ვეფხისტყაოსანში,“ პირველმა მოგვცა სამყაროს აგებულების ზუსტად იგივე „გეო-ჰელიოცენტრული სისტემის მოდელი,“ რაც ხუთი საუკუნით უსწრებს ევროპული მეცნიერების დასკვნას მზის სისტემის შესახებ. საფიქრებელია, რომ მან ეს ცოდნა, სწორედ, გელათის აკადემიაში მიიღო.

„გელათი“ თუ „გაენათი“

მას შემდეგ, რაც XX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო გელათის აკადემიის მეცნიერული შესწავლა, არსებობს სახელწოდების განმარტების ორი ვერსია: ძველბერძნული ფორმით – „ღენეთიტო“ – „გენეთიტო“ („შექმნა,“ „შობა„) და ებრაულად – „გენადენი“ – „ბაღის კარი“ (იგულისხმება „სამოთხე„). ჩვენ ვერ ვეთანხმებით ხსენებულ ვერსიებს და მიგვაჩნია, რომ სახელწოდება, უდაოდ, ქართულია.

აღმაშენებლის ცნობიერების სივრცე ერთდროულად არის არქაული, რაციონალურიც და საკრალურ-სარწმუნოებრივიც. ამ სივრცეს აქვს „თავისი ცენტრი, თავისი კოსმოსი“ და ეს არის „ცრაალის თასი,“ რომელიც წმიდა დავითის ჯერ კიდევ შეუსწავლელი, თუმცა ბოლომდე შეუცნობელი ნებით, აისახა კიდეც გელათის დღემდე შემორჩენილ მთავარ ფრესკაზე. ამ რიგში განვიხილავთ სახელდების საკითხსაც. მეფე დავითის ხედვა დამოუკიდებელი და თავისუფალი, გლობალური, მონუმენტური და ორიგინალურია. შესაბამისად, იგი მოითხოვს სიღრმისეულ ხედვას, მისი აზროვნების მასშტაბების სადარი მრავალმხრივი მიდგომებით განსჯას.

დავით აღმაშენებელმა შეძლო ბიზანტიასთან არსებული ვასალური დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ქვეყნის გაფართოება და გამძლავრება. საფიქრებელია, რომ შესაბამისად, ევროპისათვის სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ავტორიტეტის მქონე მეფე დავითი, სავარაუდოდ, ასევე იტყოდა უარს უცხოურ გავლენებზე სხვა პოლიტიკურ, კულტურულ თუ ყოფით ქმედებებში ქართული სახელმწიფოებრიობისა და თვითმყოფადობის სასარგებლოდ. ვფიქრობთ, ასეთივე თვალთახედვით უნდა აიხსნას გელათის სახელწოდებაც.

ჩვენი აზრით, სახელწოდებას წინარე ქართულში აქვს ფესვები: „გენათი,“ „გაენათი,“ „გენაათი“ მეგრულად ნიშნავს: „განათდი“ („განათება,“ გენათინი-ნათება, გენათუს-ანათებს, გენათილი-დანათლული, დანანათლი). მეფისათვის ეს ადგილი პირველ რიგში სულიერი ზრდის, საუფლო რწმენის და ზეკაცობრივი ცოდნით განღმრთობის გზის ძიების, განათლების ადგილია, ამიტომ დაარქმევდა მას ძირძველ ქართულ სიტყვას – „გენათს.“ ეს სიტყვა იმ დროის ლექსიკისთვისაც უცხოა. ამასთან, „გენაათი“ ენათესავება ბერძნულ „გენეთიტოსს“ და ებრაულ „გენ-ედენს.“ ამიტომაც დასაშვებად მიგვაჩნია, რომ მეფეს ამ სახელწოდებაში სამერთიანი იდეის – საქართველო - ელადა - ისრაელის სიმბიოზური შინაარსიც განეჭვრიტა.

ჩვენი აზრით, აღმაშენებლის მიერ აგებულ მონასტერს ჰქვია ქართული სახელი – „გენათი.“ აღნიშნული სიტყვის ფუძის – „გენ“ სამ ენაზე ასეთი მსგავსების საკითხს ღრმა ისტორიულ რეალიებში ჩავყავართ. ამჯერად ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩვენი მოსაზრებით „გენათი-ი,“ „გენეთ-იტო,“ „გენად-ენ“ ფონეტიკურ-ხმოვანებით მიმსგავსებასთან ერთად, ბერძნულ-ებრაულ ძირებთან სემანტიკურ ერთობასაც უნდა

დასასრული გვ.3 ▶

ნათელა

მარინა თექთუმანიძე



ძველებურ თბილისურ ეზოში ვცხოვრობ, ვერაზე, სამსართულიან სახლში, ქუჩის განაპირას. ეზოში, მხოლოდ შუაში მომრგვალებული ადგილია ცარიელი. ეზოც სამსართულიანი, ერთმანეთზე გადაბმულ-გადაუბმელი სახლებით არის სავსე. პაპა მიამბობდა ხოლმე, ვერა იყო ძველი თბილისის სახე და უბნებს შორის ყველაზე კოლორიტულიო. ახლაც ასეა. დიდ ოჯახს ჰგავს ჩვენი ეზო. ვინ ვისთან ჩხუბობს, ვინ ვის აქებს, ვინ ვისზე ჭორაობს, თავს და ბოლოს ვერ გაუგებ. გადმოვდგებით და ღია ფანჯრებიდან ვებულობთ ერთმანეთის ამბებს. ვის ძმისშვილი გაუთხოვდა, ვინ ქმარს გასცილდა და ვინ კიდევ ცოლს... ერთი ჩვეულებრივი ეზოა საქართველოს თითქმის ყველა კუთხით წარმოდგენილი. ძალიან კარგი, კარგი და უცხვირპირო ადამიანებით სავსე... ჟურნალ-გაზეთებისთვის ხშირად მიწევს წერილების წერა და კომპიუტერთან ყოველი დაჯდომის წინ ზეციისკენ ავაპყრობ ხოლმე თვალებს და უფალს მლოცველისთვის მეტად არასერიოზული სათხოვარით ვაწუხებ...

კარზე მ ა ი ნ ც კაკუნია... აუჰ, ისევ ნათელაა, ახალი მეზობელი, გამინყალა გული... სანამ კართან მივალ, უფრო ენერგიულად აკაკუნებს, უფრო სწორად, აბრახუნებს. ვიცი, უნდა მკითხოს რა დღეა და რა თვე... დროის გაგებას შემდეგ ჩამოსვლაზე შეეცდება. – რაში გჭირდება, ნათელა, დღის და საათის ცოდნა? – ვლიზიანდები და თან, მაინც, შეკითხვების მიხედვით, თანმიმდევრულად ჩამოვუჭიკჭიკებ ხოლმე პასუხებს. ნათელა ჩვენი საერთო სახლის და ეზოს ყველა ბინის ყოველდღიური სტუმარია. ზოგან კარს არ უღებენ. სამ სართულს ჩამოივლის და ყველას ერთსა და იმავეს ეკითხება. ხან ძმასთან დარეკვა მოუნდება და ამის გამო აბრახუნებს მეზობლებთან. ერთი სიტყვით, ვერ ავუდივართ კარის გაღება-დაკეტვას. უნდა ნახოთ, ერთად შეკრებილი მეზობლები ერთმანეთს რომ შესჩივიან: – გუშინ ჩემთან სამჯერ იყო, – ამბობს ერთი. – ჩემთან ოთხჯერ მოვიდა და გავაგდე,– დიდგულობს მეორე. მესამე ამ ორს ხომ არ ჩამოუვარდება და, – ჩემთან ექვსჯერ იყოო, – არწმუნებს სხვებს. ისე, სხვებზე ვბრაზობ და თუ ცუდ ხასიათზე ვარ, ნათელას მეც ვეჯაჯღანები ხოლმე. – თავი დამანებე, ნათელა, დღეში რამდენჯერ უნდა გაგიღო კარი? ასეთ დროს ისეთი საწყალი ღიმილით შემომხედავს, იმ წამსვე საკუთარი თავის დამუნათებას ვიწყებ. ფიქრს საუბარი რომ შეეძლოს, ასეთ რამეს მოისმენდით: – შე ოხერო და მუდრეგო, მაინც ვინ გგონია შენი თავი, რატომ გგონია, რომ ნათელაზე უკეთესი ხარ? ან რაც ნათელას სჭირს, შენ არ დაგემართება? და თვალებზე ცრემლი მადგება, ოლონდ შემდგომ დაკაკუნებამდე. მერე ისევ ვბრაზობ, ისევ სინანული მეუფლება და ასე დაუსრულებლად... თუ არადა, ლამაზი ქალია ნათელა. მაღალი, წერწეტი. ერთი ქალიშვილი ჰყავს. იმ დღეს ერთმა ჭორიკანა მეზობელმა თვალებმონკურულმა, ნეტარი სახით მიამბო, – არ არის შორენა ნათელას შვილიო. სულელია ნათელაო. გოგონას დედა მშობიარობას გადაჰყვა და სამშობიაროში ნათესავის მოსანახულებლად მისულმა ნათელამ მაშინვე დაიწყო გოგონაზე ზრუნვაო. მერე გოგონას მამამ ცოლად მოიყვანაო. წარმოგიდგენია, ნათელამ თავისი საკუთარი შვილი არ გააჩინა, რომ გოგონა არ დაჩაგრულიყოო. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ამბავი, მაგრამ ნათელას, ქალიშვილი სამყაროს რომ ურჩევნია, ამას მის თვალებში ვკითხულობ, როცა დედა-შვილს ერთად ვხედავ. წელან ეზოში შემოვედი. ნათელას ისევ ცოცხი ეჭირა ხელში, გრძელ ხალათს ასფალტზე მიათრევდა და ეზოში შემოდგომის ყვითელ ფოთლებს ერთად აქუჩებდა. ფოთლების ფერი ედო ნათელას სახეზე და თვითონაც, უკვე გალეული, წაგრძელებული, ფოთოლს ჰგავდა, მოსაწყვეტად გამზადებულ ფოთოლს... გულში, სხეულში ტკივილმა დამიარა. ღმერთო, ოლონდ იცოცხლოს და დღეში ათჯერ მოვიდეს ჩემთან, მკითხოს – დღე არის თუ ღამე, რა თვეა და რა რიცხვია, რომელი საათია, სად არის ახლა, რომელ პლანეტაზე... შვილი არ გააჩინაო, გერი არ დამეჩაგროსო, ხალხო!..

მზრუნველი ცოლი

ზელიმხან მაღრაძე

ამქვეყნად ერთი ღვთის მოშიში კაცი ცხოვრობდა. გამრჯე იყო და ალალი. შრომობდა და ყოველთვის ზუსტად და დროულად იხდიდა ბატონისა და საღვთო გადასახადებს, ოჯახიც უზრუნველყოფილი ჰყავდა და კარზე მომდგარი მთხოვნელიც ლოცვით გამოდიოდა მისი ეზოდან.

ყოველ დილას, ლოცვის შემდეგ, კიდევ დიდხანს იდგა ხოლმე ხატების წინ და ევედრებოდა ღმერთს: დამიფარე, ღმერთო, წარღვნისაგან, ცეცხლისა და ქარიშხალისაგან, მიწისძვრისაგან, ავი სენისაგან, მოძალადე მომხვდურისაგან და სხვა მრავალი შარისაგანო. წლობით ჩაესმოდა ცოლს ეს სათხოვარი და ლამის გაზეპირებული ჰქონდა. ერთხელაც ჰკითხა;

– დიდია უფლის ძალა და წყალობა, მაგრამ, გამკვირვებია, რატომ ერთხელაც არ სთხოვ, უფალს, რომ ქალის შარისაგან დაგიფაროს? განა ქალისაგან არ მოდის უამრავი ხლართები?

– აბა, შენცა ხარ, დედაკაცო! ქალმა რა უნდა დამიშაოს ისეთი, რომ მისი გულისთვის უფალი შეავწუხო, განა მე ვერ გავუმკლავდები ქალს?

– კარგი, თუ ასეა, ღმერთი როგორმე გაჩვენებს, რამდენად ანგარიშგასაწევია ქალი და მისი შარი.

გავიდა ხანი, გლეხი ხარობდა შვილების სიმრავლით და სიკეთით. მადლობდა ღმერთს ყველაფრისთვის, დედაკაცი კი სულ ეძებდა შესაფერის დროს, როგორმე ქალის შარი და მისი ძალა დაენახვებინა ამ უფალზე მინდობილ ქმრისთვის.

ერთხელაც, როცა ქმარი ყანას ხნავდა, ცოლმა სამხარი გაამზადა და კალათით ხელში გზას გაუდგა. მდინარე უნდა გადაევლო და როცა ხიდს გადადიოდა, დაინახა, რომ მეთევზეებს საკმარისზე მეტი თევზი დაეჭირათ და სახლში ნასვლას აპირებდნენ. ქალმა სთხოვა მიეყიდათ მისთვის ცოტაოდენი თევზი და იყიდა კიდეც. გზად მიმავალ ქალს რა არ მოუვა თავში და მან ნათლად დაინახა თუ როგორ დაანახვებდა ქმარს ქალის შარიანობას.

სამხარს იქვე, დიდი მუხის ქვეშ უშლიდა ხოლმე, სათანადოდ მოწყობილ ქვაზე. ცოლმა გათვალა და დაელოდა სანამ ქმარი მოეფარებოდა ხარებითურთ და ისიც, თუ რა გზით გამოივლიდა უკან. სასწრაფოდ ჩამოუარა და ეს ნაყიდი თევზი ხნულში დაყარა მთელ სიგრძეზე ისე, რომ ქმარი აუცილებლად დაინახავდა. ასეც მოხდა. ცოლი ხედავდა თუ როგორ ჰკრეფდა გამალებით მისი რჩეული მიწაზე მოფართხალე თევზებს და ცოტა ხანში ცოლმაც გასძახა:

– ხარები გამოუშვი უღლიდან, მარჩენალო და, მოდი, იხმიე ის, რაც მოურთმევია ღმერთს ჩვენთვის. ცოტა დაეშურე, რომ საჭმელი არ გაცივდეს!

გლეხმა ხარებს გაოფლილ შუბლზე აკოცა და უღელი ახსნა, მერე თევზები ჩოხის კალთაში ჩაყარა და ცოლისკენ წავიდა.

– დედაკაცო, აბა ნახე, ნამდვილად ღვთის სასწაული თუ არ არის, ხნულში, აი რამდენი თევზი ავკრიფე, ნამდვილი სასწაულია, თუ არა, საიდან უნდა გაჩენილიყო ამ ტრიალ მინდორში ამდენი ცოცხალი თევზი?! აჰა, წაიღე და, საღამოს რომ მოვალ, ერთი შენებურად მომიმზადე...

ცოლმა არაფერი უპასუხა, მდუმარედ ჩაალაგა თევზები კალათაში, რომლითაც საჭმელი მოუტანა, გვერდით მიუჯდა ქმარს და დაელოდა, როდის დანაყრდებოდა. ქმარმა ცოტახანს წაუძინა, მერე მზემ რომ სამხრეთიდან დასავლეთისკენ ჰქნა პირი, ხარები ისევ შეაბა, ერთი ომახიანი გუთნურიც შემოსძახა და ხვნა განაგრძო.

გვიან საღამოს დაბრუნდა გლეხი სახლში, ბავშვებს უკვე ეძინათ. ცოლი ზედმეტად მზრუნველი დახვდა: ხელ-ფეხი დაჰბანა, ჩააცვა და სუფრასთან დასვა. რა აღარ მიუტანა ვახშმად, მისი საყვარელი საჭმელებიც კი, მაგრამ თევზი არსად სჩანს. იფიქრა: ალბათ, ბოლოში მომართმევსო, მაგრამ...

– აბა, ახლა თევზი მომართვი, დედაკაცო, მერე რაღად მინდა, თუკი გავძღები, მერე როგორ დავიძინო?

– თევზი? აბა საიდან მოგიტანო, შენი კვნესა მე? შენ სახნავში იყავი და შენს მეტი თევზის დამჭერი არავინ გვყავს, რომ დაეჭირა და მე მომერთმია?! – ურცხვად იცრუა ცოლმა.

– რას ამბობ, დედაკაცო, ხომ არ გაგიჟდი... როგორ არ გახსოვს, ხნულში რომ თევზი დავიჭირე, მერე შენც წამოიღე!...

– მე კი არა, შენ გაგიჟდი, ხნულში თევზს რა უნდა. შენ თევზი არ მოგიცია ჩემთვის და თევზსა მთხოვ, საიდან მოგიტანო? – გაჯიუტდა ცოლი. აქ კი მოთმინება დაეკარგა გლეხს.

– ახლა გიჟადაც გამომიყვანე, მე შენთვის თევზი მომიცია და ახლავე მომართვი თევზი, ცოდვას ნუ ჩამადენინებ ღმერთის წინაშე, იცოდე, აღარ ვხუმრობ...

– მიშველეთ, ხალხო!!! – აყვირდა და აქოთქოთდა ცოლი, სახლიდან გამოვარდა და მეზობლებს მოუხმო. მეზობლებიც დაძახილზე უმალ იქ გაჩნდნენ და მიზეზი ჰკითხეს. ხოლო რა გაიგეს ქმრის ახირების მიზეზი, რომელსაც თავისი პირით წარამარა იმეორებდა, ისინიც ცოლის ჭკუაზე დადგნენ: – ხნულში თევზს როგორ დაიჭერდი, შე უბედუროო, მაგრამ გლეხი თავის ნათქვამზე იდგა. მაშინ დაიჭირეს მეზობლის კაცებმა და საწყალი გლეხი ბოძზე მიაბეს, ცოლი დაამშვიდეს და თვითონ სახლებში წავიდნენ.

საცოდავ დღეში ჩავარდა კაცი. მუქარით რომ ვერა გააწყო, ისევ მუდარით მიმართა:

– მეც ხომ ვიცი და შენც იცი, რომ ღმერთის წინაშე მე მართალი ვარ, რომ მე ნამდვილად მოგეცი მუხის ძირში მთელი ჩოხის კალთა თევზი. ახლა ხომ მარტონი ვართ, არც არავინ გვისმენს, მე შენი წყალობით დაბმული ვარ და ახლა მაინც მითხარი, რომ მართალი ვარ, ხომ წამოიღე კალათით თევზი?

იმდენად საწყალი და საცოდავი იყო იმ დროს ქმარი, რომ ცოლმა ვეღარ გაუძლო და მიაძახა:

– გახსოვს, რომ ამბობდი, ქალი რა არის, რომ მისი შარი რა იყოსო და ამის გულისთვის ღმერთს როგორ შევაწუხებო. ხომ ხედავ, როგორ დაგაბი ეს უძლეველი ვაჟკაცი დედაბოძზე, ახლა რაღას იტყვი?

– შენმა აჯობა ჩემსას, – მიუგო არაქათგამოცლილმა ქმარმა, – ოლონდ ახლა ამიშვი და პირველი თხოვნა უფლისადმი ეგ იქნება, რომ ქალის შარისგან დამიფაროს, რადგან ეშმაკივით დიდი ძალა ჰქონია ქალის შარსა და მათ ნდომას კაცის გასაქილიკებლად. ამის შემდეგ სიტყვა „თევზს“ აღარ ვახსენებ ჩემს სიცოცხლეში...

ცრემლმორეული ცოლი ჩაეკონა ქმარს და ხვევნა-კოცნაში ნელ-ნელა გაუხსნა საბელი და გაათავისუფლა ტყვეობისაგან, მერე მის ნინ მუხლებზე დავარდა და პატიება სთხოვა. ქმარმა ხელში აიტაცა თავისი ჭკვიანი და მორჩილი ცოლი და გულში ჩაიკრა.

ცოლმა ისევ სუფრასთან დასვა და დოქით ღვინო მიართვა, კიდევ მრავალი საჭმელი და, ჭოი საოცრებავ?! – კორკოტის ქვეშ, ერბოში შემწვარი თევზი! – ქმარს ენა დაება აღტაცებისაგან, უნებლიედ შეჰყვირა კიდეც, მაგრამ სიტყვა „თევზი“ რომ არ უნდა ახსენოს? – ისევ ხრიალი აღმოხდა:

-ჰმმმ!!!, ჰმმმ! აი ნახე, ხომ ვამბობდი, რომ ხნულში მოვკრიფე-თქო, ხომ ვამბობდი!..

– ჰო, ჩემო უბოროტო და მიმნდობო ქმარო, ნამდვილად ის არის, შენ რომ მომეცი ის თევზია, შენ თამამად შეგიძლია ეგ სიტყვა წარმოთქვა, მე გამითავისუფლებიხარ ამ ფიცისაგან, შენ სიალალეს და პატიოსნებას ხომ საზღვარი არა აქვს და, დაე, ჩემზე იყოს, რაც დაგიშავე, როგორ შეიძლება სიტყვა „თევზი“ არ თქვა, ეს ხომ სიმბოლოა პირველი ქრისტიანებისა?... –მერე დაიხარა და სიყვარულით ამოუკოცნა თვალ-ბაგე თავის სიამაყეს და ერთგულ ქმარს. ამის შემდეგ ქმრის პირველი სათხოვარიც ეს იყო; დაეცვა უფალს ეშმაკის და ქალის ხლართებისაგან.

გაენათი – დავით აღმაშენებლის სულიერი დიდგორი

◀ დასაწყისი გვ. 1,2

გამოხატავდეს და საქმე გვაქვს ენებს შორის სიტყვათა მიგრირების ტიპურ შემთხვევასთან.

„გაენათი,“ „გენათი“ („გენაათი„) ნიშნავს „განათდი,“ „გათენდი“ და არ არის ბერძნულიდან ან ებრაულიდან შემოტანილი. ეს არის ძირძველი, წინარე, საერთოქართული ლექსიკური ერთეული და დღევანდელ მეგრულ ენაში შენახული სიტყვა. გელათის სახელდების შემთხვევაში კონცეფციურ-სიმბოლური ტერმინი – „გენათი“ არის დასაბამიერი ქმნადობის – „სრული შესაქმის“ („იქმენინ ნათელი„) იდეის თავისებური ინტერპრეტაცია, კულტურულ-შემოქმედებითი აქტია, რომელიც საგნის არში წვდომით, იქცა მონასტრის იდეური და ფუნქციური სპეციფიკის სახელწოდებად.

ეს არის მოწოდება გონების წიგნიერი განათებისაკენ. შესაძლებელია, რომ სწორედ, ამ მოვლენის შემდეგ დამკვიდრდა ქართული სიტყვიერების წიაღში სწავლისა და ცოდნის შეძენის პროცესისა და მისი შედეგის აღმნიშვნელი ტერმინები: „განათლება“ და „განათლებული“ და არა რუსულიდან, როგორც ამას თანამედროვე ცნობილი ქართველი მეცნიერი ამტკიცებდა. ამ მოვლენასვე ვუკავშირებთ ისეთი ახალი სემანტიკური კომპოზიტის ჩამოყალიბებას, როგორიცაა „ცოდნის ტაძარი,“ რომელიც საუკუნეთა შემდეგ, საბოლოოდ დამკვიდრდა მყარ ორგანულ ლექსიკურ ერთეულად ქართულ უმაღლეს სკოლასთან მიმართებაში.

გაენათის სახელდებას ჩვენ განვიხილავთ, კვლავ და კვლავ, მეფე დავითისა და იოანე პეტრინის თანამშრომლობის, თანამებუნებეობის ჭრილში. ის გამთლიანებული იდეური საფუძველი, რასაც ჩვენ პეტრიწონისა და გაენათის აკადემიათა სიმბოლოებსა და მონასტრის სახელდებაში ვხედავთ, შესაბამისობაშია პეტრიწის, როგორც ნეოპლატონიკოსის მსოფლხედვასთან. მასვე ვუკავშირებთ დავით აღმაშენებლისეულ სააზროვნო სივრცის მასშტაბებსაც, რომელიც ღრმა ქრისტიანულ საფუძვლებთან ერთად, უძველეს ცოდნებში გარკვეულობითაცაა ნასაზრდოები.

ემბლემათა „მზიანობა“ და გაენათის სახელწოდების „სინათლე“ უდაოდ მიგვანიშნებს იოანე პეტრინის მემკვიდრეობის ნიუანსებზე, – ნათლის ესთეტიკის ფენომენზე, რამაც, მომავალში. საფუძველი შეუქმნა „ვეფხისტყაოსნის“ საერთო იდეოლოგიას და კერძოდ, მზისმეტყველებას.

„გაენათის“ დამაარსებელთა გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ, გელათელი ბერი პირველად იტყვის „გელათს“ და სადიდებელ ოდას უძღვნის მონსატერს: „ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა...“ ხომ არ არის იოანე შავთელის მიერ ხატოვნად გამოთქმული სახელდების ეს ჩანაცვლება ალტერაციულ-მონაცვლეობითი მეთოდით მიღწეული პოეტური სიტყვათქმნადობის შემთხვევა გელათსა და ელადას შორის? იქნებ, დავითის მერე კვლავ გაცოცხლდა ჩვენი მარადიული თაყვანისცემა უცხოურ-საუცხოოს მიმართ და „ვნატრი ელადსაო“ ითქვა?.. შემდგომში კი საერთოქართველური ენის „გაენათი“ მარტივად ჩაანაცვლა „ელადამ“ და მას შემდეგ მონასტრის სახელად დამკვიდრდა „გელათი.“

საბედნიეროდ, საეკლესიო ლექსიკამ დღემდე მყარად შემოინახა წოდებრივი კომპოზიტი: „ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი, რაც ნათელი დასტურია გელათის თავდაპირველი სახელწოდებისა. ამიტომაა ჩვენთის ის დღესაც „გენათი“ – დავით აღმაშენებლის სულიერი მონაგები, – ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიისა და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მონაპოვარი.

***

850 წლის შემდეგაც, მეცნიერთათვის ამოუცნობი, ხოლო პოლიტიკოსთა და მხედართმთავართათვის ჯერაც მიუწვდომელია არსი იმ შედეგებისა, რაც მეფე დავითმა მოიმუშაკა. დღემდე არსებობს კითხვები საარაკო საქმეთა ირგვლივ, რომლებზეც პასუხი, უდაოდ სცილდება მოკვდავთა ბუნებისათვის შესაძლებლის ზღვარს და მხოლოდ ზებუნებრივში არსობს, „რამეთუ მრავალ არიან ჩინებულ-

მაკა ბერიძე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 31 იანვრის N4 დადგენილებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად მეორედ (ოთხი წლის ვადით) არჩეული იქნა მაკა ბერიძე.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია ულოცავს ქალბატონ მაკა ბერიძეს რექტორად არჩევას და უსურვებს ღირსეულად გაეგრძელებინოს ის დიდი კურსი, რომელიც აქამდე რექტორატს ეკავა ქვეყნისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და სამეცნიერო მუშაობის გააქტიურების საქმეში.

გივი ნემსაძე

VIII წერილი უთბილისო მეგობარს

ბოლო წერილთან შედარებას აღარ ვაკეთებ,
წერაც არ მინდა, ვინაიდან სიტყვა არ მყოფნის.
ვდგავარ, ვუყურებ გარემოს და ვფიქრობ და მერე
მიზეზს ვერ ვხედავ, აზრს ვერ ვიგებ ახლა აქ ყოფნის.

აქამდე გზებზე, ასფალტებზე, ლამპიონებზე,
ვსაუბრობდით და ვეწეოდი ყველა სტრიქონში.
აქაურ ქარებს სულ ვერაფრით გამოვემეტე
და ასე დავრჩი სიტყვა ძუნწი, როგორც გინდოდი.

გაგიკვირდება, არ ვსაუბრობ ახლა სიზმარზე,
აზრი არა აქვს დაგცდეს სიტყვა ცრემლებზე, რადგან
მე ტკივილისგან ტკივილადვე გარდავისახე
და უფრო მეტად დავემგვანე სევდიან მამას.

რომელიც ახლა მომავალზე არაფერს ამბობს,
ჩუმი ფიქრებით ყველა ღიმილს ჩვენთვის იმეტებს.
კაცი, რომელიც გულგატეხილ სახეში სახლობს,
სახე, რომელიც ტანჯვისაგან ექცა სიბერედ.

ასე არის და მერამდენედ იმედს ვიტყუებ,
როგორც გითხარი, ყველაფერი თქმადაც არა ღირს,
ვდგავარ ღამეში, მთვარის შუქზე ვუცქერ სილუეტს,
რა სათქმელია, ყველა აღმართს მოსდევს დაღმართი.

რომელსაც, ალბათ, სიხარულით შევეგებები,
და არცერთ გზას არ დავიტოვებ უკან დასახევს.
ასე დავრჩები, როგორც ფერფლი სულის შებერვით
ქარებს რომ მიაქვთ და დროშივე დაასამარებს.

ლექსებს, რომელსაც ყოველ დილით ვწერდი სიზმარზე,
მარტოობაზე, სუიციდზე, ცრემლებზე, რადგან,
მე ტკივილისგან ბოროტად ვერ გარდავისახე
და უფრო მეტად დავემგვანე სევდიან მამას.

ბავშვობის მოგონება

(გეძღვნება შენ)

რაა ცხოვრება, როცა ზიხარ, ფიქრობ სატკივარს,
თუ ვინ იყავი, ვინ ხარ ახლა, ხვალ ვინ იქნები.
მე და შენ შორის ყველა ხიდი არის ჩაჭრილი
და ყველა წერილს ნახატი აქვს გულში ისრების.

ვით წვიმის ფარდა, მარტოობაც მხრებზე შევისხი,
თუთუნის ბოლში აურია ბავშვობის წლები
და მახსოვს დღესაც, „სპიჩკის“ წამლით გადასერილი,
შენი სახელის პირველ ასოს რომ ვიხორცებდი.

ხელებზე,

რომლის ანაბეჭდიც შენს ხელებს ახლავს,
პატარა ხელებს, სიყრმის ცრემლით ჩახორცებული.
დღეს აღდგომაა, მიხაროდა აღდგომა, რადგან,
შენც მოდიოდი სანთლის სუნით, პასკის გემოთი.

და ბაღის გვერდით, ქვის ნატეხით დახაზულ ქვასთან,
ვიჯექი დღესაც, ბავშობიდან გამოდევნილი.
ვაკვირდებოდი გზას, რომელიც ჩვენსას აღარ გავს
და თვითმფრინავიც არსაც ჩანდა შენი წერილის.

რაც არ მოგწონდა, უკვე ღერებს ღერზე ვეწევი,
უკვდავი სევდა დამიტოვეს ბავშობის წლებმა.
მიდევს ასანთით დასერილი ჩემი ხელები,
შენი სახელის პირველ ასოს რომ იხორცებდა.

ჩემი სოფელი

ჩემი სოფლიდან სხვანაირად დგება ზაფხული,
ჩვენთან მიწები ყვავიან და სისხლი ჩერდება.
ყველა მოხუცი, უსიცოცხლო ფიქრში გართული,
მარტოსულები გულის ცემას გრძნობენ ხელებთან.

ჩემი სოფელი გაიზარდა სასაფლაოთი,
მომგონებელი აღარ ყოფნის ყველა განთიადს,
ბედმა ცრემლივით მოაყლა ტანში აორტის
გაწყვეტა. სადაც უპატრონო სამი სახლიდან,

არცერთს ჭიშკარი აღარ უჩანს, რადგან მოსახლე,
არვის ეგონის (დასათვლელად ვითომ ბევრია).
მერე ყველაფერს უბედითო ბედი მოახდენს
და ზვავთა ბერტყვა დაიკავებს თითო კელიას.

ჩემი სოფელი თვალებიდან არასდროს არ ჩანს,
ჩემი სოფელი გულის ცემით უნდა გააღო.
ჩემი სოფელი ერთადერთი შვილია, რადგან,
დედის ერთები არ ტოვებენ სახლებს არასდროს.

ჩემი სოფელი, სხვანაირი სამოთხე არის,
ჩემი სოფელი სხვანაირად დაგიხატიათ.
ჩემი სოფელი უამრავი ტკივილის ასხმით,
ჩემი ყველაზე მარტოხელა მეგობარია.

ჩემი სოფელი უდიდესად პატარა დარჩა,
ჩემი სოფელი ერთი ციდა სამოსახლოა.
ჩემი სოფელი დაატყვევა ცრემლმა და დარდმა,
შვილის სიკვდილმა დააჩოქა მუხლზე ტაოდან.

ჩემი სოფელი აფხაზეთის ზღვაში დაახრჩვეს,
გუშინ ჩემს სოფელს სამაჩაბლოს ტყვიები მოხვდნენ,
ჩემი სოფელი შიდა ქართლში ჯვარზე გააკრეს,
ჩემი სოფელი ძმათა ომში ძმურადვე მოკლეს.

ჩემი სოფელი გაზაფხულზე შხამით დაწამლეს,
ჩემს მიწას გუშინ ალესილი ნიჩბებით შლიდნენ.
ჩემი სოფელი დაატყვევეს, მერე გაფანტეს
და საზღვარ-საზღვარ უპატრონო მამლუქად ყიდეს.

ჩემი სოფელი ვარძიაა, ჭულევი, ზარზმა,
ჩემი სოფელი შორეთია, საფარა, ოშკი.
ჩემი სოფელი ამაყია ზეცაზე მაღლა,
ჩემი სოფელი ყველაფერზე დიდია ლოცვით.

ჩემი სოფელი სამყაროშიც ამაყად მოჩანს,
ჩემი სოფელი აღზევებულ სატანას ებრძვის.
ჩემი სოფელი სულ პატარა საქართველოა,
ჩემი ტკივილი, ჩემი ძალა და ჩემი ღმერთი.

მამი, ჭალებიდან მღერა ისმის

(ეძღვნება მამას)

თიბვის სეზონია, მამი, ჭალებიდან მღერა ისმის,
ბალახს აკვანივით ქარი მიაქანებს ნელა-ნელა.
ჩვენი ყანებიდან, ალბათ, ის ბავშვობაც გამოივლის,
მთელი ცხოვრება სოფლის ორღობეში რომ ამიშენა.

მამი, ბინდდება და რაღაც საუცხოო საღამოა,
ჩვენთან დაღამებაც ასე უცნაური რატომ იცის?!
ღრუბლებს ვაკვირდები, ღრუბლებს დედამიწის გასაოცარს,
თითქოს აცივდა და მდელოც გასათბობად გადავიცვი.

მამლის ყივილით და ცხვრების გამორეკვით გვითენდება,
ასი სიცოცხლეა გახეთქილ კლდეში ცივი წყარო.
ჩუმად მეუბნები: – ფეხი არ დაგიცდეს, მა, ხევებთან,
მოდი, მე გასწავლი, ცხვრები როგორ უნდა აბალახო.

ასე დავდივართ და მთელ დღეს მინდორ-მინდორ მივუყებით,
ხშირად ვიღლები და ქვაზე ჩამოჯდომით მეძინება,
შენ კი სევდიანი, ძალზე სევდიანი მირაჟებით,
ბილიკს მიყვები და უხმოდ ელოდები შებინდებას.

მამი, შუადღეა, მოდი, ავიტეხოთ თითო ლუკმა,
პური, მარილი და შენი დაკრეფილი მწვანილები.
– ცხენი მიუშვიო, ცოტა იბალახოს დაგვისუსტდა,
აჰა, მოსაცმელი, ქვაზე ნუ დაჯდები, გაცივდები.

მერე გეკითხები: – ამ მთას ნაფუტკრალი რატომ ჰქვია?!
ანდაც, წითელ ციხეს რატომ არ არტყია გალავანი.
მალე დაღამდება? – მამი, ნეტავ რაზე გაგეღიმა,
ერთი ნაფასიც და ისევ საფიქრალში გადავარდი.

ასე ბინდდებოდა, მინდვრებს სუნი ჰქონდა საოცარი,
ჩუმად მოგვეპარა ნისლი ცრემლიანი, ტყეებიდან.
შენ კი იჯექი და თითქოს რეალობას გაასწარი,
ფიქრით იმდენად, რომ, ალბათ, შებინდებაც გადავიდა.

თიბვის სეზონია, ქარი ბალახს ნელა მიაქანებს,
ცხენი შევკაზმეთ და მალე ამ გორებსაც გადავივლით.
ნეტავ რა იქნება?! რატომ არ საუბრობ მომავალზე?!
ჩუმად მივდივართ და ტყიდან ჩიტუნების მღერა ისმის.

უსათაუროდ

(მხოლოდ შენ)

ჩვენ მაშინ მოვკვდით, როცა სხივებს გავუთანაბრდით,
და მზეზე მეტად ჩვენი გულის ცემა გვათბობდა.
როცა უბრალო გაღიმება იყო მთავარი
და ყველა სიტყვა ჩაგვესმოდა, როგორც გალობა.
და ფიქრებიდან თავბრუსხვევით წრედის დახაზვა
და პირობები დამსხვრეული, როგორც ლავიწი,
ჩემი მხრიდან და,
ყველა ჟინი გამიასმაგდა,
რომ ახლაც თითქოს ჩემთან ხარ და მაინც არ ვიცი,
სად მიფრინავენ მერცხლები და რატომ სტოვებენ,
ადამიანებს ვისაც მათი მზერა უყვარდა,
ან რატომ ცდილობს მოფუსფუსე გლეხი ტოტებზე
ვერ გამოსული კვირტებიდან ღმერთის დანახვას.
დღეა თბილი და თოვლი მზესთან ტირილს აგრძელებს
და დაკარგული რწმენასავით ქრება ზამთარი...
და ვაკვირდები გაზაფხულის დღეებს გამვლელებს
და ვფიქრობ შენზე, რომ უბრალოდ აღარ დამთავრდე.
და მაინც მცივა და ხელების სუნთქვით გათბობა,
ვფიქრობ, მერცხლები ბრუნდებიან, როგორც ზამთარი.
უფლება არ მაქვს და ლექსია ჩემი გალობა,
და პატიება, რომ სიყვარულს გავუთამამდი.

თუ დამივიწყებ

(მხოლოდ შენ)

სიცივე გატყდა, მაგრამ მზეა ჩემზე გამხდარი,
და სითბოს როგორც სიახლოვეს შენსას ვერ ვხვდები.
იქ, სადაც თითქოს ყველა გრძნობა დავასამარე,
იქ, საიდანაც ბრუნდებიან მხოლოდ მერცხლები.

მე მოგაკითხავ, მოგძებნი და გადმოგიბირებ,
გამოგიტაცებ (ცხენის არა) ქარის ჭენებით.
გზად თავმომწონეს მოგატარებ მთაში გვირილებს
და უსათუოდ, უსათუოდ, გაგახსენდები.

და მეტყვი, ვიცი, რომ სიყვარულს ზღვარი არა აქვს,
რომ მონატრება სასტიკია, როგორც გოდება
შინაგანი და გამიხსენებ, ალბათ, ამაღამ,
და, რა თქმა უნდა, ყველაფერი მოგაგონდება.

და ამ სიცივეს, დავიწყებით ჩამოზვავებულს,
ჩვენ მოვერევით დამსხვრეული, მკვდარი მაჯებით.
და ვუერთგულებთ საუკუნოდ რწმენას, რამეთუ,
უერთმანეთოდ ვერასოდეს გავიმარჯვებდით.

და ბუხრის გულში მოგიზგიზე ცეცლის თვალებში,
ამოვიკითხავთ სამომავლო მზერას და ბილიკს.
არც გაიფიქრო, რომ ოდესმე ხელი გაგიშვა,
არც გაიელვო, რომ ოდესმე უშენოდ ვივლი.

მე მოგაკითხავ, მოგიტაცებ (მუდამ გახსოვდეს).
და თუ მოითხოვ სიკვდილსაც კი ასე შევხვდები.
რაც გინდა ის თქვი, მაგრამ მაინც ვერ მიგატოვებ
იქ, საიდანაც ბრუნდებიან მხოლოდ მერცხლები.

***

მტკივნეულია როცა ღამეს უცქერ და ხვდები,
რომ მის ხსოვნაშიც მოგონებამ სული დალია.
როცა უბრალოდ, სამყაროა უხვი და წლები,
წლები უბრალოდ მახეა და დრო კი გალია.

როცა შენამდე მოსასვლელი გადამიკაფე,
და მე უღმერთო დამნაშავის მერგო ამპლუა.
და მე ჩამქრალი, სასიკვდილე, გწერდი დილამდე
იმ ღამეს, ჩემი სიკვდილივით გადავმალულვარ.

ხის ფესვებივით ღრმა მიწაში დავმიწებულვარ,
გავმქრალვარ როგორც პირობები მოტყუებული.
და დღეს მარტივით ამინდია, როგორც ჩვეულა,
და ამინდივით შემომატყდა სულზე სხეული.

ძველი ლექსივით მიმავიწყდა შენი თვალები,
ჩვენი ბავშვობის ოცნებებსაც ვმარხავ ღრუბლებში.
შენ სადაცაა, ვიღაც უცხოს ცოლი გახდები
და მე უცოლოს საუკუნოდ დამემდურები.

ძლივს გადალახულ შემოდგომას

დასასრულისკენ გაემართა მთელი ბავშვობა,
მოგონებების ერთი მწკრივიც მომცილდა გულზე.
კვალი დატოვა იარებად რაც კი მახრჩობდა
და ახლა ზამთარს ცარიელი აწმყოთი ვუცქერ.
დღეს ყველა ლექსი, ყველა სიტყვა თუ
რამე ვერ ვთქვი,
ღრმა ფიქრებიდან მომაკვდავი კვნესით მეძახის.
ზამთარმა კიბის საფეხურზე შემოდგა ფეხი,
ახლა თოვლია შენზე სათნო, შენზე სპეტაკი.

გაივლის

ხვალ წაშლის, ალბათ, შენ ნაკვალევს დეკემბრის ქარი
და ჩემს ოთახში შენი ხსოვნაც განიავდება.
რადგან ვიღაცა ამ ყველაფრის შემცვლელი არის
და მერე, ალბათ, შენ მოგიწევს ღამის გათევა.

ხვალ, ალბათ, შენი სურათიც კი აღარ მექნება
და მოგონებებს გავისტუმრებ დაუბრუნებლად.
შენ კი ამ ლექსსაც გადააქცევ ისევ ეჭვებად
და ცრემლის გამო სისველეც კი წაგკრავს ტუჩებთან.

ხვალ უფრო მალე ასრულდება, ვიდრე გგონია,
გაივლის ესეც, ჰო გაივლის, ჩემში გაივლის.
და შენ დაგრჩება უჩემობის მელანქოლია
და დარწმუნდები, რომ შენს თვალებს აღარ განვიცდი.

ხვალ, ალბათ, შენი დანახვაც კი არ მენდომება,
გადაგიფიქრებ, დაგივიწყებ, წაგშლი გულიდან.
არ ასრულდება არასოდეს შენი ოცნება,
მთელი სიცოცხლე გეხსომები (ნახე, თუ გინდა).

ხვალ სულ სხვაგავარი დაგიდგება ყოფა უჩემოდ,
ხვალ უცხო გზებით შენ მოგიწევს წასვლა აქედან.
გაგახსენდები ყოველ წუთში, მწვანე ფურცელს რომ
დახედავ ზედ და ჩემი ხელი აღარ დაგხვდება.

რადგან ვიღაცა შენი თავის შემცვლელიც არის,
და დამიჯერე შენ მოგიწევს ღამის გათევა.
ხვალ წაშლის, წაშლის შენ ნაკვალევს დეკემბრის ქარი
და ჩემს ოთახში შენი ხსოვნაც განიავდება.

თამაზ ჩიკვაიძე

ეპიზოდი საფრანგეთში ანტისაბჭოთა ემიგრაციის ცხოვრებიდან

2012 წელს ქართველმა მკითხველმა საბჭოთა საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის პოლკოვნიკის გელა სუდაძის შესანიშნავი წიგნი „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“ მიიღო. წიგნის ღირსებას ის აძლიერებს, რომ მასალები აღებულია უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებიდან და დაწერილია ობიეტურად და მიუკერძოებლად.

დაზვერვა სახელმწიფოს არსებობისთვის ერთ-ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ინსტიტუტია. არცერთ დიდ თუ პატარა ქვეყანას არ შეუძლია არსებობა დაზვერვის გარეშე. ისტორიას არ ახსოვს კამათი იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა დაზვერვა. იყო მისი აქცენტების შეცვლის, ანდა ზოგიერთი მეთოდის უარყოფის მცდელობაც, მაგრამ უარის თქმა დაზვერვაზე – არასოდეს.

თავიანთი ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებთან წლების მანძილზე თანამშრომლობდნენ ცნობილი მეცნიერები, პოლიტიკოსები, ხელოვნების და კულტურის წარმომადგენლები, მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეები და თვით ქვეყნის პირველი პირებიც.

ცნობილია, რომ რუსი მწერალი, დრამატურგი და დიპლომატი ალექსანდრე გრიბოედოვი ((1795-1829) ამავე დროს იყო რუსეთის იმპერიის დაზვერვის რეზიდენტი. ის 1822 წელს მივლინებული იქნა თბილისში, საქართველოს მთავარმართებელ ა.პ.ერმილოვის შტაბში.

ცნობილი მოგზაური, გეოგრაფი, ცენტრალური აზიის მკვლევარი ნ.მ. პრჟევალსკიც იმავდროულად იყო რუსეთის სამხედრო დაზვერვის თანამშრომელი – გენერალ-მაიორი.

პოლკოვნიკი სუდაძე შემდეგ აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ერთ-ერთ საარქივო საქმეში (რომელიც, სამწუხაროდ, განადგურებულია), ამოიკითხა, რომ რუსეთის იმპერიის სპეცსამსახურის (შსს პოლიციის დეპარტამენტის – ჟანდარმერიის) თანამშრომლები იყვნენ საბჭოთა მეცნიერები, აკადემიის ნამდვილი წევრი ნიკო მარი (1864-1939) და ისტორიკოსი ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929), ორივე გენერალ-მაიორი. არსებობს ბევრი სხვა მაგალითი იმისა, თუ როგორი წარმატებით თანამშრომლობდნენ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ცნობილი პიროვნებები თავიანთი ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებთან. ბევრისთვის უცნობია ის ფაქტი, რომ სათავგადასავლო რომანის „რობიზონ კრუზოს“ ავტორი დანიელ დეფო ბრიტანეთის დაზვერვის ერთ-ერთი დამაარსებელი და ამ საქმის კარგი ორგანიზატორი იყო. ბოლშევიკური რუსეთის დაზვერვის შექმნასთან დაკავშირებით სამკაციანი კომისიის ერთ-ერთი წევრი თვით იოსებ სტალინი იყო.

როდესაც ჩვენი ქვეყანა, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ხშირად ბედის უკულმართობით, სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგა, ან აუცილებელი ხდებოდა მოწინააღმდეგის შესახებ ყოვლისმომცველი და უტყუარი ინფორმაციის მოპოვება, ამ დროს საჭირო იყო განსაკუთრებული საქმიანობა.

ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს დავით აღმაშენებლის დროინდელი ფეოდალური საქართველოს „სპეციალური სამსახურების“ ჩამოყალიბება და მათი საქმიანობა. ამ მიზნით დავით აღმაშენებელმა მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა, კერძოდ, მანდატურთუხუცესის დაქვემდებარებაში შექმნა „ესტოვართა“ (მზვერავთა) მძლავრი აპარატი, რომლის მეშვეობითაც დავითის დროის ისტორიკოსის აზრით, მეფემ თვით მონაზვნების ბოროტი და კეთილი საქმეებიც კი იცოდა. დავითისდროინდელი ეპოქის დაზვერვისა და ძებნის სამსახურების როლი

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

და გავლენა მაშინდელ საზოგადოებაზე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მათმა ფორმებმა და მეთოდებმა თავისებური ასახვა ჰპოვა აღორძინების ხანის გენიალურ ქმნილებაში – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“ კი.

1917 წელს რუსეთის იმპერიაში გრანდიოზული მოვლენები მოხდა. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლოციის შემდეგ, რასაც იმპერატორ ნიკოლოზ II-ის გადადგომა მოყვა. მარტში, დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით, კავკასიის მეფის ნაცვლის ინსტიტუტის მსგავსად, მე-4 სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების მონანილეობით, ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელიც დროებითი მთავრობის განკარგულებაში იყო, მას უნდა ემართა ამიერკავკასია.

რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, საქართველოში შეიქმნა დამოუკიდებელი მმართველობითი ორგანო – ამიერკავკასიის კომისარიატი, ხოლო 1918 წლის თებერვალში რუსეთის დამფუძნებელი კრების კავკასიელი დეპუტატებისაგან – უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – ამიერკავკასიის სეიმი. ასევე ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელიც სულ მალე დაიშალა.

ჯერ კიდევ 1918 წლის პირველი ეროვნული ყრილობის მიერ არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ იმავე წლის 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

1921 წლის 11 თებერვალს საქართველოს საზღვართან, ლორეს ნეიტრალურ ტერიტორიაზე, მოხდა აჯანყების პროვოცირება, იმიტაცია, რაც რუსეთის XI არმიის საქართველოში შემოჭრის საფუძველი გახდა. ნითელი არმიის ნაწილები თბილისში შემოიჭრნენ და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოება გამოცხადდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თბილისი დაცარიელდა, ნაწილი ქართველებისა შინ ჩაიკეტა. ქალაქში მხოლოდ უცხოელები და სხვადასხვა ჯურის ავანტურისტები დააბიჯებდნენ. ქართველი მოსახლეობა რუს სამხედრო შენაერთებს ზიზღით უყურებდა. დედაქალაქში მასობრივი ძარცვა-გლეჯვა დაიწყო, რასაც, ძირითადად, შემოჭრილი დამშეული ჯარისკაცები აკეთებდნენ. ისინი იპარავდნენ ყველაფერს, რისი მოპარვაც შეეძლოთ, ძვირფასეულობიდან დაწყებული ავეჯით დამთავრებული. ნადავლს მანქანებზე აწყობდნენ და რკინიგზით რუსეთისკენ აგზავნიდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა (ნოე ჟორდანიას მეთაურობით), 1921 წლის 17 მარტის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, იძულებული გახდა ბათუმის პორტიდან, უცხოეთის გემებით (იტალიური „კირალი“, ფრანგული „ვესტა“ და „მარია“), საზღვარგარეთ გახიზნულიყო.

მთავრობას ბევრი ჩინოსანი და საქმიანი წრის წარმომადგენელი გაჰყვა. გახიზნულთა პირველი ნავსაყუდელი სტამბოლი აღმოჩნდა. ლტოლვილების პირველი ნაკადი ქართულმა კათოლიკურმა ეკლესიამ შეიფარა. თურქეთის ხელისუფლებამ საქართველოდან დევნილებს უყოყმანოდ მისცა თავშესაფარი. თავდაპირველად, ემიგრანტული მთავრობა სამშობლოდან განდევნას დროებით მოვლენად თვლიდა და სტამბოლიდან წასვლას არ ფიქრობდა. დევნილთაგან ზოგიერთმა ბიზნესი წამოიწყო, შექმნა მეურნეობები და საბანკო დაწესებულებებიც კი გახსნა.

უცხო სახელმწიფოთაგან საქართველოს გახიზნული მთავრობის წარმომადგენლებთან ურთიერთობა თურქეთმა დაამყარა, 1921 წლის ბოლოს კი – ვატიკანმა.

რომის პაპმა კარდინალ მუსტეროს პირით ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა ლტოლვილებს და მოითხოვა სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება. ვატიკანის პარალელიურად საქართველოს დევნილ მთავრობასთან კონტაქტში შევიდნენ სხვა ქვეყნებიც, განსაკუთრებით პოლონეთი, რაც იმაში გამოიხატა, რომ ქართველი გენერლები ალექსანდრე ზაქარიაძე და ვლადიმერ ბაქრაძე, იუნკერთა და ოფიცერთა ჯგუფი პოლონეთის არმიაში ჩაირიცხა. ქართველებით საბერძნეთიც დაინტერესდა და ქართველ იუნკერთა ერთი ნაწილი სამხედრო სასწავლებლებში ჩარიცხა.

1921 წლის ბოლოს და 1922 წლის დასაწყისში საქართველოს დევნილი მთავრობის ძირითადი ბირთვი სტამბოლიდან საფრანგეთში გაემგზავრა, ხოლო ქართველი ემიგრაციის ნაწილი თურქეთში დარჩა.

უსახსროდ და მატერიალური მხარდაჭერის გარეშე დარჩენილმა მთავრობამ სამშობლოდან ჩამოტანილი 248 ყუთი ძვირფასეულობიდან სახაზინო ნივთების ნაწილი (რომელსაც არ ქონდა სამუზეუმო და ისტორიული ღირებულება) გაყიდა და მიღებული თანხით შეიძინა დაბა ლევილის მამული და ორსართულიანი სასახლე. „შატო“, სადაც ბინა დაიდეს კარლო ჩხეიძემ, ნოე რამიშვილმა, გიორგი ერაძემ, მიხეილ არსენიძემ, ვლადიმერ გოგუაძემ და სხვებმა.

მიუხედავად საქართველოში და საზღვარგარეთ შექმნილი რთული ვითარებისა, საქართველოს დევნილმა მთავრობამ გადაწყვიტა, არ შეენელებინა პოლიტიკური აქტივობა და გაეგრძელებინა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. პირველი, რაც დევნილმა მთავრობამ გააკეთა, ის იყო, რომ კარლო ჩხეიძის (თავმჯდომარე), ექვთიმე თაყაიშვილის, სიმონ მდივნის და ნოე ჟორდანიას მონანილეობით შეიკრიბა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, რომელმაც გამოაცხადა მთავრობის განახლება – კოალიციური მთავრობისა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისაგან პოლიტიკური ცენტრის შექმნა.

ამ პოლიტიკური გადაწყვეტილებით საქართველოს დევნილმა მთავრობამ მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებს დაანახა, რომ მათ უნარი შესწევდათ მოეხდინათ პოლიტიკური ძალების კონცენტრაცია ერთი მიზნის – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მისაღწევად.

საბჭოთა ხელისუფლება და მისი სპეციალური სამსახურები აქტიურად ცდილობდნენ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დაშლას, ანტისაბჭოთა ძალების დაქსაქსვას და ემიგრანტი ლიდერების ფიზიკურ განადგურებას. განსაკუთრებით სპეცსამსახურები მაშინ გააქტიურდნენ, როცა საქართველოს 1924 წლის აჯანყება დამარცხდა და ამ აჯანყების გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი შეფიცულებით საზღვარგარეთ აღმოჩნდა.

ემიგრაციაში გამოჩენის პირველ დღეებიდანვე საბჭოთა საგარეო დაზვერვა დეზინფორმაციის გავრცელებითა და ინტრიგების ხლართვით ცდილობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ქართული ემიგრაციის ლიდერების ერთმანეთთან დაპირისპირებას და ამ გზით მათი ავტორიტეტის შელახვას და აქტიური პოლიტიკური საქმიანობიდან ჩამოცილებას.

1925 წლიდან დაწყებული ქართულ ემიგრაციაში გამოიკვეთა რამდენიმე მებრძოლი დაჯგუფება, რომლებზეც დიდი გავლენა ჰქონდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს. ესენი იყვნენ ქ.ჩოლოყაშვილის შეფიცულები, „სამხედრო კავშირი“ და „თეთრი გიორგი“. აღსანიშნავია, რომ ქ.ჩოლოყაშვილის ეროვნულ გმირად აღზევების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვოდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც შეეცადნენ ამ ფაქტის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას. თუკი ქართველი სოციალ-დემოკრატები ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციებსა და თვით ქ.ჩოლოყაშვილს გადაბირებდნენ, ქართველთა ეს ერთობა საბჭოთა ხელისუფლებისთვის საშიში ხდებოდა, როგორც საზღვარგარეთ, ისე საბჭოთა საქართველოში. აქედან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლებამ და მისმა სპეცსამსახურებმა მიზნად დაისახეს, არ დაეშვათ ამ ჯგუფების სოციალ-დემოკრატების მხარეზე გადასვლა, უფრო მეტიც, რაც შეიძლება დაეძაბათ და გაემწვავებინათ მათ შორის ურთიერთობა.

ქ.ჩოლოყაშვილის მიმართ განხორციელდა მთელი რიგი ინტრიგები, რომელთაგან ერთი განსაკუთრებით მტკივნეული იყო, როცა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ დაგებულ მახეში – „ჩერვონცებად“ წოდებულ საქმეში იგი გააბეს.

1927 წლის 14 თებერვალს საკუთარ საცხოვრებელ სახლში საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ემიგრანტი ნესტორ ერისთავი. ეს უკანასკნელი გახლდათ ქაქუცას ახლო მეგობარი, ყოფილი სამხედრო მოსამსახურე და რეპუტაციაშელახული პიროვნება, რომელიც ქაქუცასთან ცხოვრობდა. ქართველი ემიგრანტების დაპატიმრების მიზეზი შემდეგი ისტორია გახდა:

ნ.ერისთავი დაუკავშირდა თავის ძველ ნაცნობს პეტერბურგიდან სიმონოვიჩს და შესთავაზა, თითქოსდა ქ.ჩოლოყაშვილის კუთვნილი „ჩერვონცების“ გადახურდავება. ამასთან, დასძინა, რომ ქ.ჩოლოყაშვილს ეს ფული მიღებული ჰქონდა საბჭოთა კავშირიდან. ამ ოპერაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ნ.ერისთავი სიმონოვიჩს გასამჯელოს სახით გადასცემდა 1000 ფრანკს. ეს უკანასკნელი დათანხმდა შეთავაზებულ წინადადებას და რამდენიმე საათის შემდეგ მიიტანა 150 ცალ გაყიდულ ჩერვონეცზე 22000 ფრანკი. რამდენიმე დღის შემდეგ აღმოჩნდა, რომ „ჩერვონცები“ ყალბი იყო. ყოველგვარი ხმაურის გარეშე ბანკმა მოსთხოვა სიმონოვიჩს უკან ნაღები თავისი „ჩერვონცები“ და თანხა სასწრაფოდ დაებრუნებინა. ორდღიანი ძებნის შემდეგ სიმონოვიჩმა მიაგნო ნ.ერისთავს, რომელმაც კატეგორიულად უარყო „ჩერვონეცების“ გადახურდავების ფაქტი და ურცხვად განაცხადა, რომ საერთოდ არ იცნობდა მას. ამ უკანასკნელს ისღა დარჩენოდა, დახმარებისთვის ბანკის ადმინისტრაციისთვის მიემართა, ბანკმა კი სასწრაფოდ პოლიცია ჩართო საქმეში.

ქ.ჩოლოყაშვილის დაპატიმრებით ძალზე შეწუხდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და სიტუაციის გასარკვევად ლევილიდან დევნილი მთავრობის ორი წევრი – კანდელაკი და ფირცხალავა მიავლინა. დევნილმა მთავრობამ ქ.ჩოლოყაშვილის და ნ.ერისთავის დასაცავად სასწრაფოდ დაიქირავა ცნობილი ფრანგი ადვოკატი ბატაი.

1927 წლის 3 მარტს ქ.ჩოლოყაშვილი განთავისუფლებული იქნა წინასწარი პატიმრობიდან. სასამართლო პროცესზე ქ.ჩოლოყაშვილის და ნ.ერისთავის ადვოკატებმა საქმე იმდაგვარად წარმართეს, რომ ყალბი „ჩერვონცების“ საქმე მთლიანად დაბრალდა სიმონოვიჩს, რომელიც, თითქოსდა, საბჭოთა ხელისუფლების დავალებით მოქმედებდა.

ყალბ ჩერვონცებთან დაკავშირებით შემდგომში ცნობილი გახდა, რომ ისინი მიუნხენიდან პარიზში იყო ჩამოტანილი ემიგრანტ შალვა ქარუმიძის მიერ. ნ.ერისთავისა და ქ.ჩოლოყაშვილის დაპატიმრების შემდეგ შალვა ქარუმიძე პარიზიდან გაქრა. ქართული ემიგრაციული წრეებისათვის ადრეც იყო ცნობილი შ.ქარუმიძის კავშირები საბჭოთა სპეცსამსახურებთან.

საბჭოთა დაზვერვას, როგორც ჩანს, დაგეგმილი ჰქონდა ყალბი ჩერვონცების საქმით მაქსიმალურად დაეძაბა ურთიერთობა ისედაც ერთმანეთზე გადაკიდებული ქართული ემიგრაციის ლიდერებსა და მათ მომხრეებს შორის. ასეა თუ ისე, ამ საქმემ ქ.ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულების ავტორიტეტი ფრანგული საზოგადოების თვალში, ძირს დასცა.

რამდენიმე სიტყვა თვით დაზარალებულ სიმონოვიჩზე: მე-20 საუკუნის დასაწყისში პეტერბურგში იუველირი არონ სიმონოვიჩი დიდი გავლენით სარგებლობდა. სამეფო კარზე იგი წარადგინა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მეუღლის – ალექსანდრა თევდორეს ასულის მეტად გავლენიანმა ფრეოლინამ სოფიო ორბელიანმა. დედოფლისთვის განსაკუთრებით ძვირფასი ნაკეთობის მიყიდვის დროს სიმონოვიჩი ძალიან აკლებდა ფასს, ვინაიდან იცოდა დედოფლის მომჭირნეობა. დედოფალი ყველა ნივთს სამეფო კარის იუველირ ფაბერჟეს აფასებინებდა და უხაროდა, რომ ბრილიანტებს თითქმის ნახევარ ფასად ყიდულობდა.

არონ სიმონოვიჩმა შეძლო ყოვლისშემძლე გრიშკა რასპუტინთან დაახლოება და მისი პირადი მდივანი გახდა. მისი გავლენით იგი სამეფო კარის მინისტრების დანიშვნაშიც კი ღებულობდა მონაწილეობას. მის გავლენას ხაზს უსვამს ერთი ასეთი ფაქტი:

დედოფალს გერმანიაში ღარიბი ნათესავები ყავდა და სურდა მათთვის ფულის მიწოდება, მაგრამ მიდიოდა მსოფლიო ომი და გერმანიასთან რუსეთს ყველანაირი კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა. ეს საქმე, გრიშკას თხოვნით, სიმონოვიჩმა ითავა და ბანკირ რუბინშტეინის საშუალებით მოახერხა გარკვეული თანხის გერმანიაში გადარიცხვა, რითაც დედოფლის მადლობა დაიმსახურა.

ცოტა ხნის შემდეგ ბანკირი რუბინშტეინი სხვა საქმეზე დაიჭირეს და დედოფალი პანიკაში ჩავარდა, რომ მისი ფულადი ოპერაციები საქვეყნოდ არ გამჟღავნებულიყო. რასპუტინის საშუალებით ბანკირმა მოახერხა საპატიმროს დატოვება და სიმონოვიჩმა დედოფლისაგან ასეთი დეპეშა მიიღო: „სიმონოვიჩ, გილოცავ. ჩვენი ბანკირი თავისუფალია. ალექსანდრა“. დედოფალი თავის გაჭირვებულ ნათესავებს ეხმარებოდა და კანონს რომ არღვევდა, ამას გულწრფელად განიცდიდა, მაშინ როდესაც ვლადიმერ ლენინი გერმანიის გენერალური შტაბიდან სერიოზულ თანხებს ღებულობდა რუსეთში რევოლუციის მოსახდენად და სიტუაციის ასარევად.

არონ სიმონოვიჩს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა პეტერბურგის ქართველ თავადებთან, რომელთა უმეტესობა ნიკოლოზ II-ის დაცვაში მსახურობდა. მან პეტერბურგში საჭადრაკო კლუბი გახსნა, რომლის დირექტორად დუმის დეპუტატი ვარლამ გელოვანი დანიშნა. კლუბს საჭადრაკო ერქვა, თორემ, სინამდვილეში, დღე და ღამე აქ ბანქოს თამაში მიდიოდა. იგი განსაკუთრებით ახლო იყო ქართველ თავადებთან – ალეკო ამილახვართან და უჩა დადიანთან. სასახლეში მათი მორიგეობის დროს იგი მათთან ერთად მთელი ღამე ბანქოს თამაშით ერთობოდა, რომელშიც ხშირად ნიკოლოზ II-ც იღებდა მონაწილეობას. თებერვლის რევოლუციის დროს სხვა მინისტრებთან ერთად არონ სიმონოვიჩიც დაიჭირეს და მინისტრებისთვის განკუთვნილ სახელმწიფო სათათბიროს სპეცპავილიონში მოათავსეს სულ რამდენიმე დღით. მალე პირადად კერენსკიმ გაათავისუფლა და უბრძანა, უსაფრთხოების მიზნით, პეტერბურგი დაეტოვებინა. მოხერხებულმა იუველირმა ნასვლის დროს ხელი თაბაშირში ჩაასმევინა, რომელშიც ერთი მილიონი მანეთის ბანკნოტი და ათასი კარატის ბრილიანტი მოათავსა. მას ექიმის ცნობაც ქონდა, რომ თაბაშირი მხოლოდ ოცი დღის მერე მოეხსნათ.

მეორე მსოფლიო ომის დროს, საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, გერმანელებმა პარიზში დაპატიმრებული ებრაელი სიმონოვიჩი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს, სადაც იგი 1942 წელს გარდაიცვალა.

მესხთა ცხოვრება

გიგა მაისურაძე

ამბავი თეიმურაზ ოქრომელიძისა

(გაგრძ. დასაწყ. იხ. N13 2021 წ. N1 2022 წ.)

მეორე დღესვე დააკეცა თავისი ნაბადი თავის ცხენს, დაემშვიდობა სუყველას და უთხრა: ნუ გეშინიათ, მე იქიდან უფრო ყურს გიგდებ, ვინემ აქედანაო. ბავშვებს თავზე ხელი გადაუსვა, მოახტა ცხენს და მშვიდობითო – უთხრა და მარჯვეთ გააქანა ცხენი. ჩავიდა ფაშასთან. ფაშამ მაშინვე ქაღალდი მისცა და თან კაციც გააყოლა. სადაც უნდა გამოცხადებულიყო, იქ მიიყვანა. მაშინვე სუარების ვიზბაშმა წაიკითხა ფაშის მიწერილი ქაღალდი. აათვალიერა. იმასაც მოეწონა თეიმურაზი. გაგზავნა სხვა ონიბაშთან. აქ იყვნენ ოციოდე ვაჟკაცები. ცხენი თავლაში შეაყვანინეს, ტანი გამოუცვალეს, ცხენისთვის კარგი თათრული აღვირი და უნაგირი მისცეს, იქვე ახლო საწოლები იყო. ერთ პატარა ოთახში ხუთ კაცთან ერთად მოათავსეს... დილით მოვიდა ვიზბაში. ამას ბაითარ აღას ეძახდნენ. ამან სუარები სათითაოთ ამოიკითხა, ბოლოს თეიმურაზ გვირჯი-ოღლი ამოიკითხა და ქართულად უპასუხა გორელმა, მე ვარო. ვიზბაშმა იცოდა, რომ თათრული არ იცოდა თეიმურაზმა და გაიცინეს ამხანაგებმა. არა უშავს, ისწავლის. ასწავლა ბურდაიმ: აქა ვარ. თეიმურაზმა სამი წელიწადი იმსახურა ახალციხეში, ძალიან კარგი ლაპარაკი ისწავლა თათრულათ. ფაშა მალ-მალე ხედავდა და თათრულათ რომ პასუხს მისცემდა თეიმურაზი, ფაშას ეცინებოდა ხოლმე. თეიმურაზი ყველამ შეიყვარა. ასლანასთანაც ხშირათ ადიოდა სვირში, ცხენის ფულიც გადაუხადა და მეტი პატივიცა სცა. ძმასა და მეზობლებსაც ბევრს ეხმარებოდა. მერე, ფაშის დავალებით, თეიმურაზი არტაანში გადაიყვანეს. იქ ერთი გადახვეწილი ქართველის გოგო უთხოვია, მაგრამ თათრულ წეს მისდევდნენ. მერე სუარობისათვის თავი დაუნებებია, იქ გორულათ ბაღი გაუშენებია და იმათი ნაშიერი და გიორგი ოქრომელიძის ნაშიერი თითქმის 1917 წლამდე ერთი მეორესთან მიდი-მოდიოდნენ საზღვრების ჩაკეტამდე. და იმ ადგილას, სადაც თეიმურაზს ბაღი ჰქონია, დღემდე გვირჯიოღლების ბაღჩას ეძახოდნენ. გიორგი ოქრომელიძეს შეეძინა ვაჟიშვილი და ძმის სიყვარულით იმასაც თეიმურაზი დაარქვა და ისიც იმაზე კარგი იზრდებოდა.

ამბავი როსტომ აბაშიძის გათათრებაზე

რადგანაც როსტომის სამი შვილი გაიქცა ღამით და რომ იმაზე ეჭვი არ მიეტანათ, მეორე დილითვე დაჰყარეს ხმა, რომ სამი ძმანი მაისურაძიები გაქცეულანო. როსტომი ადგა დილით ადრიან, მივიდა იქ მბრძანებელ ამირანთან და უთხრა: ჩემი ცოლ-შვილითი ვთათრდებიო. მაშინვე მიუცია ქაღალდი, რომ ხერთვისში ჩასულიყო და ჩაწერილიყო. ასპინძის ზევით სოფლები ხერთვისში ეწერებოდნენ, ამიტომაც როსტომი ჩაეწერა რუსტან-ბეგად, შვილი სოლომონი კი სულეიმან-ბეგათ. ჩაანერინა დანარჩენიც – ცოლი, რძალი და შვილიშვილი. გადმოცემით, ზოგი ასე ამბობს, რომ როსტომი და მისი მამა ყოფილან ბატონები. ამას ამტკიცებს თოკელი არჩილ ლეკიშვილი. თავიანთ გვარზეც მელაპარაკა, რათ ეძახიან ლეკიშვილებს. ერთმა კიდევ მოხუცმა იქაურმა ზარიძემ მელაპარაკა, რომ იმ დროს ჩვენ თამარაშვილები ვყოფილვართო. როსტომ აბაშიძეს და მის მამაპაპას ჩვენები დიდბატონიანთ ეძახდნენო. ამიტომ ბეგებათ ჩაწერესო, რადგანაც ბატონის ჩამომავლები იყვნენო. 1944 წლამდი ისინი მუსხელ მაისურაძეებს ენათესავებოდნენ, მისვლა-მოსვლა ჰქონიათ, ისინი გაასახლეს შორეულ ყაზახეთში. იმის შემდეგ არ ვიცით მათი ამბავი და ან რისთვის არის საჭირო ეს... ზევით აღვნიშნეთ, რომ სხვადასხვა სოფლებიდან თითო-თითოდ მოვიდნენ სხვადასხვა გვარი: 1.ჯინჭველაძე, 2. ოქრომელიძე, 3. მაისურაძე, 4. მელიქიძე, 5.ივანიძე, 6.ინასარიძე, 7. ქურდაძე, 8.ჟუჟუნაძე, 9. ლომიძე. დანარჩენები ძალიან გვიან, ზოგი ზედსიძედ, ზოგი კიდევ მერე. მაგალითად: ხმალაძე, ბერიძე, ხატიძე, მაგრამ სხვადასხვა ტომები კიდევ წინ. პავლიენი ყოფილან ყაზანჯეევები – ცხოვრობდნენ სოფ. უდეში. იმათ პაპას პავლე ყაზანჯეევს უდეში სახლის აშენებისას თუ დანგრევაზე ერთი თუნგი ოქრო უშოვია, არავინ გამიგოსო, გამოქცეულა და მოსულა მუსხში, მიწა უყიდია, დაწერილა ოქრომელიძეთ ერთი კვამლი. ოქვრიები ცხოვრობდნენ სოფ. ურაველში. ამათაც ბევრი მიწა ჰქონიათ. პავლე ყაზანჯეევს ოქვრიენთთვის მიუცია ოქრო, წაურთმევია მამული, ურაველში ჰქონდა ბევრი სარწყავი ყანები. ურავლელ ოქრომელიძეს უთქვამს, ვითომ, რომ, ოქრო-მამე-ოქროვო. იმასაც მიუცია და დაურქმევია ოქვრიენი, რომლებსაც დღესაც ოქვრიენთ და პავლიენთ ეძახიან. მერე ბატონებიდანაც ბევრი მიწა იყიდა ლომიძიებმა. ანდრიაწმინდიდან გამოსულან. ასე სოფელ მუსხში მონგვრეულია ცხრა-ათი კვამლი და რამდენიმე ათეული წლის მანძილზე გაიზარდა სოფელი, გაიზარდა კარგი ვაჟები და ქალიშვილები, მეზობლები ერთი-მეორეში დამოყვრებულან, ნათლიობა და მოკეთობა დამყარდა, მაგრამ, საუბედუროთ, ქართველების და რუსების შეკავშირებამ გააბრაზა ახალციხის ფაშა სულეიმანი, შეკრიფა ჯარები, დაიქირავა ლეკები დაღესტანში, ესხმოდნენ ქართლსაც და კახეთსაც და არც ჩვენ დაგვაყარეს მუსხში სიკეთე.

ფაშას რაღაც ეჭვი მიეტანა მუსხელებზე, ემუზათ რომ არ თმობდნენ ქრისტიანობას, გვატყუებენ, რომ მაჰმადიანები ვართო და დაუყენა ჩუმად მეთვალყურეთ ჰასანბეგი. ამას მისცა დაქირავებული ლეკები 9-10 კაცის რაოდენობით და ყველა ქართულ სოფელს ამოწმებდნენ ჩუმათ, მარხვის დროს, ვნახოთ, ქართველებს მარხვა უჭირავთ თუ არაო. ჰურის ჭამისას პირჯვარს იწერენ თუ მაჰმადს ახსენებენო. ამიტომაც ჰასანბეგმა ბევრჯერ მისცა ლეკებს ნება, რომ ქართულ სოფლებზე ეთარეშათ. მუსხელებს ბევრჯერ დაესხნენ, მეცხვარეები შეკოჭეს და ცხვრის ფარები წაასხეს, ხან მწყემსებს საქონელს ართმევდნენ და ასე აწამებდნენ. მერე დაიწყეს ქალიშვილების მოტაცება, ბავშვების მოპარვა და ოსმალეთში გაყიდვა. მარტო მუსხში კი არა, ყველგან ქართულ სოფლებში და თვით ქართლშიც და დასავლეთ საქართველოშიც, ე.ი. იმერეთშიც. მუსხში კარგი ვაჟკაცობა წამოიზარდა. ზემოთ ავღნიშნე, რომ გიორგი ოქრომელიძეს გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც ძმის სახელი თეიმურაზი დაარქვა, მაისურაძე თომას და სიმონას შემდეგ მესამე ვაჟი გასჩენია, დაურქმევია გიორგი, ისიც 18-19 წლისა ყოფილა, ჯონდი მელიქიძე ისიც 19 წლისა, თორნიკე ჯინჭველაძე და გაბრო ივანიძეც. ამ ხუთ ვაჟკაცს მოულაპარაკებიათ, რომ ამ ლეკების და ჰასანბეგის წინააღმდეგ გასულან, იარაღი დამალული ჰქონიათ, მოამზადეს და მზადყოფნაში იყვნენ ყოველთვის და ელოდნენ, როდის გაუსწორდებოდნენ ამ საზიზღარ მტრებს, სულ ამას ვფიქრობ, მართალია 1801 წელს შეუერთდა საქართველო რუსეთს, მაგრამ თითქმის ათი თხუთმეტი და ოც წელზეც მეტი დრო გავიდა, რომ ახალციხეში ისევ თათრები და ლეკები თარეშობდნენ. ერთ დღეს, როდესაც ჰასანბეგი თავის ლეკებით მუსხის საქონელს დაესხა თავს და მიუდიოდა, იმ დროს ჩვენი მუსხელი გმირები იარაღით ხელში ჩაუსაფრდნენ მუსხის გადაღმა, ქვიშრობის ხევში და ის იყო ლეკებმა საქონელს ცემა-ტყეპით და მათრახების ტყლაშუნით მიერეკებოდნენ, თეიმურაზი, ჯონდო, თორნიკე, გიორგი და გაბრო წამოუცვივდნენ, ლეკები სამნი იყვნენ და თამამები, მაგრამ ამათ დანახვაზე უცაბედად ისე დაიბნენ, რომ ხელი ვეღარ გამოიღეს, ვიღაც უცნაურ ხალხათ ჩათვალეს. ბიჭებმა იარაღი აჰყარეს, ერთი კარგად სცემეს და უთხრეს: დაეხსენით ამ სოფელს, თორემ მეორეთ თუ შემოგვხვდით, ვაი თქვენც და თქვენს ჰასანბეგსაცო. ლეკებმა ამბავი მიუტანეს ჰასანბეგს. ჰასანბეგი ბრაზზე სკდებოდა და გულში ამბობდა, – მაცალონ მაგ ლეკებმა, როგორ უნდა ცემა და გათამამებაო. და ისიც ატრიალებდა თავის შესაფერ დროს, რომ როდის შეხვდებოდა და ამოიყრიდა ჯავრს მუსხელი ბიჭებისას. არც თეიმურაზს, ჯონდოს, თორნიკეს, გიორგის და გაბროს ეძინათ, ახალ ულვაშ-აშლილი ხუჭუჭ ქოჩრიანი, მხნე და გულადი ვაჟკაცები ყოველ დღეს ვარჯიშობდნენ, ცხენის ჭენება, ხმლით ფარიკაობა, ცხენზე გაწოლა, ფეხზე გაჭენება, მუცელზე ამოკვრა, ზედ მოქცევა და თოფის მიზანში ამოღება და სხვადასხვა ათასნაირ ვარჯიშს ატარებდნენ. მხოლოდ სუყველანი – ჯონდოც, გიორგიც, თორნიკეც და გაბროც თეიმურაზს ემორჩილებოდნენ, როგორც ყველაზე ჭარბი იყო ყველაფრით, – ღონითაც, შეხედულებითაც, გულადობითაც. თუმცა არც მეორეები არ ჩამორჩებოდნენ ერთიმეორეს, მაგარამ თვითონ ბიჭებმა აირჩიეს ხელმძღვანელათ, რომ არასდროს არ არეულ-დარეულიყვნენ და უცხო პირსაც ჰგონებოდა ვინმე ნასწავლათ და დიდ კაცათ, ამიტომაც მისცეს ამხანაგებმა მთელი უფლება თეიმურაზ ოქრომელიძეს. მუსხელებს საქართველოდან მოსდიოდათ კარგი ამბები რუსებთან ხელშეკრულების მერე. ისე ვეღარ თარეშობდნენ ლეკები და თათრები. სხვადასხვა მტრები, ხანდისხან თუ სადმე დაესხმოდნენ და ალაგ-ალაგას იტაცებდნენ ბავშვებს, ქალებს და ვაჟებსაც, მაგრამ მათ ისევ შინაური ქურდები და ავაზაკები უწყობდნენ ხელს. დაიწყეს საქართველოში ეკლესიების შეკეთება, მღვდლების კურთხევა, ჯვრის წერა, ნათლობა, ნიშნობა და ქორწინება. აი ამ ამბებმა ჩვენი მუსხელებიც და ბევრი ქართული სოფლებიც გაათამამეს და იწყეს მუსლიმანური წესების უარყოფა. აი, ერთხელ, მუსხში, გიორგი ოქრომელიძის მეთაურობით, შეკრებილიყო ხალხი და რაღაცა ქრისტიანულ დღესასწაულზე ლაპარაკობდნენ და პირჯვრის წერით ასწავლიდნენ ერთიმეორეს. გიორგი ოქრომელიძესაც აფასებდნენ, კარგი კაცი გამოდგა, სოფელს ბევრი კარგი რამ ასწავლა, სოფელი გაიზარდა, გამდიდრდა, ყანები ბლომათ აითვისეს გიორგი და ისაკის ხელმძღვანელობით, მამულს ერთნაირათ უყოფდნენ და ყველას, კარგსაც და არვარგსაც ერთნაირად აძლევენო. ყველა გვარს განურჩევლათ კარგი თვალით უყურებდნენ და ასე ტკბებოდნენ, მაგრამ ურჯულო მტერი არ ასვენებდა და ურღვევდა ტკბილ ყუდროებას და არ აძლევდა მოსვენებას და სვრიდა ბევრჯერაც სისხლში, რის გამოც იძულებულები ხდებოდნენ ეპასუხათ: აი იმ დღეს, როცა მუსხელები შეკრეფილიყვნენ, სწორეთ იმ დროს, თავს დაესხა ჰასანბეგი თავის დაქირავებული ლეკებით, ექვსი კაცის რაოდენობით. იმ დროს სწორეთ იქ იყო ჩვენი თეიმურაზის ჯგუფიც, თავის იარაღით. ჰასანბეგმა თვალი შეასწრო იმ იარაღიან ბიჭებს, თუმცა ბიჭები მალე გაეცალნენ იქაურობას, მაგრამ ჰასანბეგმა ბოროტი მზერა გააყოლა ვაჟკაცებს და მიაძახა: თქვენ, ჰეი, ძაღლის ლეკვებო, ჭკუაზე მოდით, თორემ მე გასწავლი, როგორ უნდა ცემა და წინააღმდეგობა, ეხლავე თავებს მოვჭრი თქვენს მამებსაც და თქვენცო. ბიჭებმა არ უსმინეს, მოახტნენ ცხენებს და მიიმალნენ და შორიდან ჩუმათ უცქეროდნენ, ვნახოთ, რას იზამს ჰასანბეგიო. ჰასანბეგმა ხალხს უბრძანა, თუ სიკვდილი არ გინდათ, ეხლავე წადით და თქვენვე გამოურეკეთ საქონელი ამ ლეკებსაო. რა ექნათ, შიშით ადგნენ და თვითონვე გამოურეკეს. ზოგს, ვინც არ ემორჩილებოდა, ლეკები ხმალს სიბრტყეზე სცემდნენ. ზოგმა სულ გამორეკა, ზოგმა დამალა. ჰასანბეგი ისე გამოუცდელი და მშიშარა ვინმე არ გახლდათ, რომ ხუთი-ექვსი ბიჭისა შეშინებოდა და სოფლისთვის თავი დაებებეინა და არ აეკლოს და არ აეწიოკებინოს. თეიმურაზი და მისი ამხანაგები ჰასანბეგს სულაც არ გახსენებია, სამ ლეკს უბრძანა, თქვენ ეს საქონელი ახალციხეში გარეკეთ, ჩვენ მალე ჩამოვალთო. ლეკებმა საქონელი გაირეკეს, სოფელს გააცილეს, მაგრამ იმათ საუბედუროთ, თეიმურაზმა ბიჭები ამაღლების ქვევიდან მუსხის უკან მიმალა, თვითონ ქარხნი სერზე, ე.ი. თეთრიკლდის თავიდან უთვალთვალებდა. სამ ლეკმა რომ საქონელი გამორეკა და თვითონ ჰასანბეგმა სოფელში სხვა თარეში დაიწყო, მაშინ თქვა: – ბიჭებო, ღმერთი ჩვენსკენ არიო, ჩავიდნენ და ღელესთან მიიმალნენ. ლეკებს სულ არ უფიქრიათ ბიჭებზე, მაგრამ უცებ ორი ბიჭი წინიდან ეჩვენნენ და შეუყვირეს, სამი ბიჭიც უკნიდან ეკვეთნენ და ისევ თავები დააგდებინეს სამივე ლეკს, რომ არავითარი ხმაური და ყვირილი არც მომხდარა. თუნდაც რომ მომხდარიყო, მუსხში არც გადვიდოდა ხმა. თეიმურაზმა ბიჭებს უთხრა, ეხლა სოფელს უნდა მივეშველოთ, მაგრამ ისე ჩუმათ უნდა შევცვივდეთ, რომ ჰასანბეგმა და ლეკებმა ვერ დაგვინახონო. ასეც მოიქცნენ. საქონელი იქვე დაყარეს, ახლანდელ სასაფლაომდი ჩავიდნენ. სოფელი მაშინ ეკლესიის ქვემოთ იყო. წყარომდის ჩაიპარნენ, დაზვერეს. დაინახეს, რომ ჰასანბეგი თეიმურაზის მამას ანამებდა თურმე. იქ სხვა ბიჭებიც შეხვდნენ. იმათ უთხრეს, ლეკები სოფელში თარეშობენო. თეიმურაზმა ამ ბიჭებს უთხრა: ბიჭებო, ჩვენ ლეკები დავხოცეთ, საქონელი იქვე დავყარეთ, აწი ნუ გეშინიათ, გასწიეთ, ლეკებს იარაღი აჰყარეთ და საქონელი წამოასხით. ჩვენ ამათ გავუსწორდებით. თეიმურაზმა უცებ შეიმუშავა გეგმა. ბიჭებს უთხრა, ორი სოფლი ქვედა თავში ჩაესაფრენით, თუ გამოგვექცნენ, იქ დაჰვდით, თუ ჩვენსკენ მოიწიეს, თქვენ უკნიდან შეუტიეთ. ჩვენ სამივე ჰასანბეგს დავესხმებით და მეორე, ლეკებიც უნდა ვიგულისხმოთ. ჯონდო და გიორგი იქვე დატოვა და სამმა ჰასანბეგისკენ გასწია. ამ დროს უკვე მოსწყენოდა თეიმურაზის მამის ცემა და ოჯახის აწიოკება ჰასანბეგს და ის იყო ცხენზე უნდა გადამჯდარიყო, თეიმურაზმა ცხენი ცხენს დაატაკა. ჰასანბეგმა მოასწრო, ცხენიდან ჩამოხტა და იარაღი უნდა ეხმარა, რომ თორნიკემ დაასწრო და შეუყვირა, ხელები მაღლა აეწია. თეიმურაზი ცხენიდან გადმოხტა, საყელოში სტაცა ხელი და მიწაზე გაშხლართა. გაბრო კედელს ამოფარებოდა და ლეკებს ათვალიერებდა. ამ დროს ლეკებმა გაიგეს ჰასანბეგის დაჭერის ამბავი და გაქცევა დააპირეს, მაგრამ რას ხედავენ – ზემოდან საქონელი ჩამორეკეს მუსხელმა ბიჭებმა. იქვე ჩამალული ჯონდო და გიორგი წამოცვივდნენ, მათ კედელთან ჩასაფრებული გაბროც გამოეხმაურა. თეიმურაზმა და თორნიკემ ჰასანბეგი გაკოჭეს და იმათაც ლეკებისკენ გასწიეს. სოფელი ფეხზე დადგა. ლეკები დაიბნენ და დანებდნენ. გაბრომ, თეიმურაზმა და თორნიკემ თოფები დაუმიზნეს ლეკებს – არ გაინძრეთო. ჯონდომ და გიორგიმ იარაღი აჰყარეს. თეიმურაზი ისევ ჰასანბეგთან მიიჭრა, ხელები არ გაიხსნასო და ბიჭებს უთხრა – ლეკებსაც ხელები შეუკარით და აქ მორეკეთო. სოფელი მოინგვრა. ზოგი ჯავრობს, რასა შვრებით, სულ გაგვწყვეტენო, ზოგი იძახის, – ჯან, ბიჭებო, ახია, მაგათი დედაო. თეიმურაზმა ხალხს დაუძახა და უთხრა. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი გვირჩევნიაო. სახლში შევიდა და რას ხედავს – მამამისი სიკვდილის კარზე მისულა, დედა თმებს იგლეჯს. მეზობლებმა ნაგვები გიორგი ოქრომელიძე ცხვრის ტყავში ჩააწვინეს. ჰასანბეგს ჰკითხა თეიმურაზმა: რად სჩადი ასეო. – რა უყოთ, რჯული ასე გვეუბნებაო.

ლეკებს უთხრა: თქვენ რაღათ შვრებით ეგრეო? – ჩვენც ჰასანბეგის ბრძანებას ვასრულებთო. მეზობლებს მიუბრუნდა და უთხრა: ლეკებიდან რომელი დავტოვოთ ცოცხალიო. ერთზე თქვეს, ეს შედარებით ყველას სჯობს, სვინდისიანაო. ის ცალკე სახლში შეაყვავინა და თორნიკე დაუყენა. მეზობლებს უთხრა: სუყველანი მომმორდით ჩქარა! შენ იყავი, ჰასანბეგო, ღორივით დაკვლას რომ მიპირებდიო? ჰასანბეგმა ხმა არ გასცა, ბიჭებს შეუტია და ბრძანებით უთხრა: რას მიყურებთ, ამას მე შევჭამ, ეგენიც თქვენაო. ჰასანბეგი ფეხზე დააყენა და უთხრა: კიდევ იზამ ასეთ საქმეს, დაეხსნები ქართველებს თუ არაო?

– არ ვიცი, – უთხრა ჰასანბეგმა. მაშინვე იშიშვლეს ბიჭებმა ხმლები და სამივეს თავი ძირს გაგორდა. მერე ის სამი ლეკიც მარხილით ჩამოიტანეს და კაკლიწყაროს შევიდნენ. ფოტოროში მიწა ამოსჭრეს და ექვსივე ერთად ჩაყარეს. მეშვიდე ლეკს ხელები გაუხსნეს, ჰურიც აჭამეს, წერილი დაუწერეს ჰასანბეგის შვილთან და დაუბარეს: თუ მამაშენივით იზამ, ამირბეგო, იცოდე, შენც ეს დღე გელისო. მისცეს თავისი ცხენი და გაუშვეს ლეკი.

იმ ღამით თეიმურაზს, ჯონდოს, გიორგის, თორნიკეს და გაბროს არ დაუძინიათ, ათასნაირად ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ იმათი იქ ცხოვრება აღარ შეიძლებოდა და იმავე ღამეს სოფელს უნდა გასცლოდნენ.

გიგა მაისურაძე მეუღლესთან ერთად

ამბავი ხუთი ამხანაგისა

იმავე ღამით შეიარაღებული თეიმურაზი, ჯონდო, გაბრო, თორნიკე და გიორგი შესხდნენ ცხენებზე, გადაიწერს პირჯვარი, ღმერთს შესთხოვეს – ხელი მოგვიმართეო, ერთმანეთსაც შეჰფიცეს ძმობა, ერთად გამარჯვება და ერთად სიკვდილი. დანანებით გადაავლეს თვალი მშობლიურ სოფელს და დაეშვნენ ხევებზე, უგზო-უკვლოდ იარეს წყვდიად ღამეში. ისინი თავს ესხმოდნენ ქართველების მტრებს, რომლებიც იტაცებდნენ ბავშვებს, ქალებს და ვაჟკაც ბიჭებს და თურქეთში ჰყიდდნენ. ისინი თავს აფარებდნენ ხან იმერეთის, ხან აჭარა-აბასთუმნის მთებსა და ტყეებს, ხან ჯავახეთში – შავნაბადას, აბულის, სამსრის და ქოროღლის მთას. შორს გავარდა მათი გმირობის ამბავი. ახალციხის ფაშა გააბრაზა და გააცოფა ჰასანბეგის სიკვდილმა. ცოფს აყრიდა ლეკ-ოსმანის გუნდებს, აქეთ-იქით აგზავნიდა, გაქცეულებს გზებს უკრავდნენ და ემუქრებოდნენ. არც ჰასანბეგის უფროსი ვაჟი ამირბეგი იყო გულხელდაკრეფილი. თეიმურაზის დამჭერს ათას ოქროს პირდებოდა, ოღონდ ხელში ჩამაგდებინეთო. ყველა სოფელში თავისი ჯაშუშები ჰყავდა დაქირავებული, მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა თეიმურაზის ბიჭების დაჭერა, პირიქით, ისინი თვითონ ესხმოდნენ მოწინააღმდეგის ბანდას თავს და ბევრსაც ხოცავდნენ. ერთხელ, ქობლიანის ერთ ჭალაში, შეხვდნენ არლელების გამძარცველ ბანდას. ნადავლი პატრონებს დაუბრუნეს, თათრებს ხელ-ფეხი შეუკრეს, შუბლები და ტანი დაუსერეს და ისე გაუშვეს, – წადით და აღარ მოიქცეთ ასეო. თეიმურაზი თავის ბიჭებით მთიდან მთაზე, ტყიდან ტყეში გადადიოდა, თან თავს აფარებდა და მტრის ჯავრს ყრილობდა. ერთ ღამეს, ხუთივე გმირი აჭარის მთაზე იყვნენ ჩასაფრებულები, რომ თავეთმა მაცნემ აცნობა, იმ ღამით იმერეთიდან ტყვეთ მიუდიოდათ ოსმალეთში გასაყიდათ ბავშვები, ქალიშვილები და ბიჭები. სწორეთ იქ გაატარეს, სადაც ჩვენი ვეფხვი რაინდები იყვნენ მიმალულები. იმ დროს თორნიკეს რიგი იყო დარაჯობისა. მას შემოესმა ჩუმი კვნესა და ტირილი, ხალხს ძალით მიერეკებოდნენ თათრები. თორნიკემ იმწამსვე გააღვიძა და აცნობა ბიჭებს. მათ მაშინვე მოითათბირეს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ვინ საიდან და რომელი მხრიდან უნდა შებმოდნენ მტერს. მაშინვე მოახტნენ ცხენებს და ოთხივე მხრიდან ეკვეთნენ ისეთი ხმით, ისეთი სისწრაფით, თითქოს ასნი იყვნენ. ჯერ თითო თოფი დასცალეს, მერე დამბაჩები და შემდეგ ხმლებით დაერივნენ. ტყვეები ცალ მხარეს მიიბუზნენ. ბიჭებმა მთელი ბანდა ამოხოცეს, ცხრა-ათი კაცის შემადგენლობით, მაგრამ თეიმურაზისთვის ცხენი დაეჭრათ, ყური და თვალი ჩამოეგლიჯათ. გიორგი კლავში დაჭრილიყო, გაბროს თავი გასტეხოდა, რაღაცას დატაკებოდა. ტყვეთ წამოსხმულები გაკვირვებულები მისჩერებოდნენ და არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ და სად იყვნენ. ის კი იცოდნენ, რომ ეს გმირები ქართველები იყვნენ და ქართულად უკიოდნენ – დაჰკა მაგას, არ გაუშვაო! მათ თათრებს იარაღი აჰყარეს, მერე ტყვეებთან მივიდნენ, ხელები დაუხსნეს, თუმცა ზოგს ერთიმეორისთვის უკვე დაეხსნათ ხელები.

აათვალიერეს ცეცხლის შუქზე ყველანი. თეიმურაზმა ჯონდოს დაავა-

ლა, მოშორებით ყოფილიყო და ყური დაეგდო, რომ სხვა არავინ დასხმოდა თავს. გიორგის ნახმლევი უნდა შეეხვია, რომ ამ დროს ერთმა ქალიშვილმა თავიდან მანდილი მოიხადა და შესახვევად მიეშვალა. გიორგიმ ქალს შეხედა და ძალიან მოეწონა და შეჰფიცა, თუ გადავრჩი ცოცხალი, მოგნახავ და უსათუოდ ცოლად შეგირთავო. ქალიც დასთანხმდა. გიორგის ასეთი ლექსი უთქვამს:

ქალმა თვალი ჰკრა ვაჟკაცსა
და მის ალესილს იარაღსა,
მერე მანდილით შეუკრავს
მარჯვენა ხელის იარასა.
უსიტყვოდ უთხრა სათქმელი,
იმედით მისცა პირობა,
ჭაბუკს შეუკრა ნახმლევი,
გულში კი დარჩა ჭრილობა.

თეიმურაზმა იმერელ ვაჟებს დაურიგა თათრების იარაღი და გააფრთხილა, რომ კარგად მოეხმარათ და აღარავის ჩასცვივოდნენ ხელში. იმერლებმა დიდი მადლობა გადაუხადეს თავიანთ მხსნელებს, ხელებიც დაუკოცნეს. უკვე გათენებულიც იყო. ორივე მხარე გამარჯვებას ულოცავდნენ ერთმანეთს.

ჩვენი ბიჭები ზამთრისთვის თბილ ადგილებს ათვალიერებდნენ. დადგა დეკემბერიც. თეიმურაზს თავისი ამხანაგებით აწყურის მაღლა ტყეში მოეკალათებინა და აწყურშიც ხშირად ჩადიოდნენ ღამღამობით. აქ ერთ, ასლან გვარამაძის ქალიშვილზე – მზექალაზე ეჭირა თვალი და ძალიან შეუყვარდა. ასლანას და სასიდედრო თამარსაც ძალიან მოსწონდათ და უყვარდათ, პირობა მიეცემული ჰქონდათ, რომ საშობაოთ ნიშანი უნდა მიეტანა თეიმურაზს, მზექალა და დედამისიც ემზადებოდნენ. აცხობდნენ ქადას, ხაჭაპურებს, სხვადასხვა ნამცხვრებს. სასიძოს სულითა და გულით ელოდნენ... ასლანას მოეწყინა და საწოლზე წამოწვა და ჩაეძინა. ვითომ სიზმარში ხედავს, სასიძო მოვიდა თავისი მაყრიონით. ასლანა გამოეგება, მიიპატიჟა, მეზობლები და ნათესავებიც მოიპატიჟა, მზექალა ჩააბარეს თეიმურაზს. სუფრა გაშლილია, ვითომ ყანწებით წითელი ღვინო ხელიდან ხელში გადადის და ყველა ჰარალეს და თარალეს გაიძახიან...

თუმცა მესხეთი თათრების ხელში იყო, მაგრამ ჩუმათ ქრისტიანულ წესებს ატარებდნენ, ამიტომაც საშობაოთ ყველა ქართველს ღორის ხორცით უნდა აეხსნილებინა პირი, მაგრამ ღორს ვერავინ ინახავდა. ამისთვის ან გარეული, ან ზემოქართლიდან უნდა მოეტანათ ღორის ხორცი. ჩუმათ გამოყოფილი ჰყავდათ მღვდელი და დიაკვანი. ჩვენ მესხელებს გამოეგზავნათ იოანე მღვდელი და ამას უნდა მოეტანა. ჩვენი თეიმურაზის გმირები შეპირდნენ, რომ ჩვენ მოგიტანთ დათქმულ ალაგზე, იოანე მამაო, და იქიდან შენ წაიღეო. ამიტომაც ჩვენმა გმირებმა წინა დღით ინადირეს აწყურის მაღლა ტყეებში, შეხვდათ მთელი ჯოგი. თითომ თითო ღორი მოკლა, დანარჩენები გაუშვეს, ცოდო არიან, ეს გვეყოფა ჩვენც და თეიმურაზს ნიშნობის დღისთვისო. ერთი ღორი თეიმურაზს გაუგზავნეს, ორი ღორი სოფლელებს. ბიჭებმა გამოქვაბულში დაანთეს ცეცხლი და მწვადები შენვეს, თითო-ოროლა ჭიქა არაყიც გადაჰკრეს, თეიმურაზს გზა დაულოცეს. თეიმურაზმა მობოდიშებით უთხრა: ვიცი, ძმებო, ყველას გინდათ წამოსვლა, მაგრამ ერთი უნდა წამომყვეთ, ჩემთვის კი სულ ერთი ხართ, კენჭი ყარეთ და რომელსაც შეგხვდებათ, ის წამომყევით. გიორგი და თორნიკე თოფებს წმენდნენ, ჯონდო და გაბრო ხორცს ჭრიდნენ და ხურჯინებში აწყობდნენ. თეიმურაზი ცხენს უნაგირს ადგამდა, ბიჭებმა ბოლოს კენჭი ყარეს და თორნიკეს ერგო წაყოლა. აბა, ბიჭებო, აღარ დავაგვიანოთ, ეს ხევ-ღელე სანამ დაბნელდეს, უნდა ჩავიაროთ, ჯერ იოანე მღვდელი უნდა ვნახოთ, მერე ასლანას ვეწვევით. ბიჭებმა ცხენები მოიყვანეს, ხურჯინები აჰკიდეს, ბიჭებმა თითო ჭიქა კიდევ დაალევინეს, თვითონაც დალიეს და გზა დაულოცეს და თეიმურაზი და თორნიკე გაისტუმრეს. გზები უკვე კარგა დაეფიფქა თოვლს და ბინდში თეთრი ბილიკი ლამაზად მოსჩანდა. ცაზე შავი ღრუბელი გადაეფარა, დაიწყო თოვა. ბიჭები მტკვრამდე ჩამოვიდნენ, გატოპეს და დანიშნულების ადგილისკენ წავიდნენ, იქ, სადაც იოანე მღვდელი ეგულებოდათ. დაინახეს თოვლიან ბილიკზე ცხენების კვალი ეტყობოდა. – ეს კვალი გუშაგების კვალი არ არის, – თქვა თორნიკემ. გადმოხტა ცხენიდან, კარგად დააკვირდა და ჩაილაპარაკა: რაღაცა ბანდას გაუვლია, უსათუოდ ბევრი კვალი ჩანს. მიჰყვნენ კვალს და ისიც სწორედ იქით მიდიოდა, სადაც ისინი უნდა მისულიყვნენ. აგერ ძველი ეკლესია, აგერ ის მუხები, სადაც იოანე მღვდელი იქ უნდა იყოს. თეიმურაზმა ბულბულისავით დაუსტვინა, სიგნალი მისცა, მაგრამ არავის უპასუხია. ცოტა კიდევ წინ წაიწიეს და რას ხედავენ, მუხის ტოტზე კაცის თავია ჩამოკიდებული. იქვე იოანეს გვამი ეგდო, ხმლით აკუწული. მიათვალ-მოათვალიერეს და სხვა ვერაფერი ვერ დაინახეს. მიხვდნენ, რაც მოხდა. ეკლესიის კედელთან ამოთხარეს სამარე და სასწრაფოდ იქ დამარხეს. ბლომად დააყარეს ქვა და ღოდი, რომ ნადირს არ ამოეღო, ღორის ხორციც, რაც იოანესათვის მიჰქონდათ, იქვე დაყარეს, მეორე ორივე ხურჯინში გადაყეს და აიმსუბუქეს. მოახტნენ ცხენებს და წაჰყვნენ იმ კვალს, საითაც ისინი წასულიყვნენ. კვალი თოვლზე კარგად ეტყობოდა და მტკვარს უერთდებოდა საყუნეთთან. ბიჭებიც გაჰყვნენ ისევ კვალს, რომელიც წყალგაღმა გადიოდა აწყურისკენ. ბიჭებიც შარაგზას გაუყვნენ, ცხენებს სადავეები მიუშვეს და გზადაგზა იმეორებდნენ, იქნებ დროზე მივეწიოთ მათ და საწყალ იოანეს ჯავრს ამოვიყრიდეთო. ქარი უზომოდ ზუზუნებდა და ნამქერს ზედ სახეზე აყრიდა, მაგრამ ამას არაფრად არ თვლიდნენ და იარაღს იმარჯვებდნენ. წინ აღიმართა დევივით დიდი აწყურის ციხე. ბიჭებს თან უხარიათ და თან რაღაც უცნაური განცდა დაეუფლათ. უკვე წრიოხის ღელესაც მიუახლოვდნენ და ცხენები შეაჩერეს. თორნიკემ კივილის ხმას მოჰკრა ყური და თეიმურაზს უთხრა: – ხომ გესმის, იქ რაღაც უბედურება ხდება. თეიმურაზმაც ყური დაუგდო და სწორედ თავის სასიმაროს სახლის მხრიდან მოდიოდა ეს უბედური კივილის ხმა. ნუთუ მართლა იქიდან მოდის ეს კივილი, თუ ყური მატყუებს, ნუთუ ქალი მოსტაცეს ასლანს, არა მგონია, ასლანა ჯერ კიდევ ისე მოხუცი არ არის და არც ეგრე ადვილად ჩაბარდებოდა მტერს, მაგრამ, ვინ იცის, ყველაფერია შესაძლებელი. ჰოდა, დანისლა ვაჟკაცის გული სხვა ფიქრმა. ამირბეგს დიდი ხანია მზექალაზე უჭირავს თვალი და აი, ჩემზე შურიც იძია ნამდვილად და რაიმე მახეც დამიგო. ჰო, ეს ნამდვილად ასე იქნება, – უთხრა თორნიკეს თეიმურაზმა. – სიფრთხილე გვჭირდება, მზად ვიყოთ, ასე გამოივლიან და ჩვენც აქ უნდა დავხვდეთ, ან სიკვდილი, ან გამარჯვება.

საწყალ ასლანას სიზმარი უკუღმა აუხდა, როცა სიზმარში ჰარალ-თარალეს იძახდნენ და წითელ ღვინოს სვამდნენ, უცებ ლეკებმა კარების ურდული შელეწეს და ასლანას სახლში შეცვივდნენ. მძინარე ასლანას თოფის კონდახი ფერდში ჩასცხეს, ხმლები და ხანჯლები იძრეს, ასლანას უკივლეს –ადე, გიაურო, შენი მზექალა ჩვენს ამირბეგს უნდა წავუყვანოთ, თორემ ეხლავე გაგაქრობთო.

– რას ამბობთ, თქვე უღმერთოებო, რა დამიშავებია. სანამ ცოცხალი ვარ, არავის დავანებებ ჩემს შვილს. გესმით? – ხმა გაიკმინდე, თორე, ეხლავე თავს წაგაცლით. ასლანამ ხანჯალზე იტაცა ხელი, ვითომ ლეკები უნდა გაერეკა. მეთაური მიუხვდა, რომ ის ნებით არ დაუთმობდა ქალიშვილს, მაშინვე გაუქნია თავისი ლეკური და ასლანას თავი ბუხრისკენ გაგორდა. დაიკივლეს საწყალმა თამარმა და მზექალამ. მზექალა დედას გულში უძვრებოდა, ლეკები მისცვივდნენ, დედას შვილი მოჰგლიჯეს, პირში ცხვირსახოცი ჩაუდეს, გაკოჭეს, ნაბადში შეახვიეს.


ძველი აწყური

მეთაურმა ცხენზე, წინ, მუხლებზე დაიჭირა და გაჰქუსლეს ასალციხისკენ. სულ ექვსნი იყვნენ. თეიმურაზი და თორნიკე ისევ იმაზე ლაპარაკობდნენ თუ არ მოკლეს ადვილად ვერ დაიმორჩილებდნენ ასლანას.

სოფლიდან წივილ-კივილის ხმა უფრო მატულობდა. უკვე ცხენების ფეხის ხმა და ფრუტუნიც მოახლოვდა. – აქეთ მოდიან, ეტყობა ქალი მოიტაცეს, ამ ურჯულოებმა. – თქვა თეიმურაზმა. – მოდიან და ჩვენც საკადრისად დავხვდებით, – გაამხნევა ამხანაგი თორნიკემ. ცხენები იქვე, მოსახვევთან, ნაძვებში შეაფარეს და თოფ-დამბაჩები მოამზადეს,

– ფრთხილად, ბიჭო, თორნიკე, მიზანში ამოიღე და ისე ესროლე, ქალს არ მოვარტყათ. ქალი წინ ეყოლებათ და უმიზნო ტყვიით ის უბედურიც არ ვიმსხვერპლოთ, – უთხრა თეიმურაზმა. გამტაცებლებიც მოუახლოვდნენ.

ის იყო მოსახვევში შემოვიდნენ, რომ სწორედ მაშინ თოფებმა ზედი-ზედ იგრიალეს, მერე დამბაჩები დააყოლეს. ცხენები დაფრთხნენ, ფეხი ვეღარ მოიკიდეს და სამი მხედარი შავ ღელეში გადაიჩეხა, უკან მომდევრები გონს მოეგნენ და ნაძვებიდან ნასროლ ცეცხლს ცეცხლითვე უპასუხეს. კიდევ ორი ზუსტი გასროლა და ორი მხედარი ძირს ჩამოვარდა. ბიჭები ცხენებს მოახტნენ. ეგონათ უკვე დავამარცხეთო, მაგრამ ერთმა უჩვეულოთ შეჰკივლა, ღელედან ორი-სამი მხედარი ამოვიდა და ერთი-მეორე გაამხნევეს და ჩვენი გმირებისკენ წაიწიეს. თოფდამბაჩა ვეღარ იხმარეს ბიჭებმა. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. საქმე ბასრი ხმლისა და მკლავის ძალაზე მიდგა. ორს ოთხი ეხვეოდა, მეხუთეს ქალი ეჭირა და ბრძანებებს იძლეოდა. თორნიკე ლომივით დაუტრიალდა ლეკებს, მისი ხმალი ელვასავით ჰყრიდა ცეცხლს. თეიმურაზმა უკანა მხრიდან წამოუარა ლეკებს და ერთი მოქნევით ერთ მათგანს თავი წააცალა და გოგრასავით გააგორა. თორნიკეძაც ერთი მოქნევით ცხენი და კაცი ძირს დასცა. თორნიკესაც ცხენი მოუკლეს. დარჩა თორნიკე უცხენოდ და ორი ლეკი ებრძვის. მბრძანებელმა იხილთა და ქალი გაიტაცა. თეიმურაზმა დაინახა და გაქცეულს გამოუდგა, მაგრამ მალევე გონს მოეგო, რომ იქ გაჭირვებული ამხანაგი მაიტოვა. მაშინვე ცხენი შემოაბრუნა და უკნიდან მიუხტა ლეკებს. ერთი კიდევ შეუყვირა და ერთი ლეკი იქვე გამოასალმა წუთისოფელს. მეორემ ცხენი მიაბრუნა და გაქცეულს გამოუდგა. თორნიკემ მაშინ შენიშნა, რომ მკლავიდან დაჭრილიყო და სისხლი ხელისგულზე მოჟონავდა. თორნიკეს კლავი შეუხვია, იქვე მკვდარ ლეკს თავს დასდგომოდა თავისი მერანი და ფეხით ანძრევდა და ვითომ აღვიძებდა. თეიმურაზი მივარდა ცხენს აღვირში, ხელი სტაცა და თორნიკეს მიუყვანა. – აბა, ჩქარა, თორემ იმ ურჯულოებს ვეღარ მივეწევით, გაგვასწრებენ. – ჯაგლაგა ცხენით როდის იტაცებენ ქალს, – უთხრა თეიმურაზმა და მოახტნენ ცხენებს და გაქუსლეს. ახალციხის გზაზე შეაჯიბრეს ცხენები. არც ლეკისეური ალაბულა ჩამორჩებოდა თეიმურაზის ქურან ცხენს. გაქცეულების ნაკვალევს ისარივით მისდევდნენ ჩვენი გმირები. – ვეცადოთ, ახალციხეში არ შეგვასწრონ, თორემ, ამდენი ამაგი და გაჭირვება ცარიელზე ჩაგვივლის, – ეუბნებოდნენ ერთმანეთს. ისე ჩაირბინეს აგარა, მუგარეთის და ფერსიის ქვევით მოსახვევები, რომ ვერსად თვალი ვერ მოჰკრეს და მერე წინ უკვე კარგად დაინახეს ქათქათა თოვლზე შავნაბდიანები. ისინიც ჩქარა მიერეკებოდნენ ცხენებით. მდევრებს იმედი მოემატათ და ერთხელ კიდევ შეუკივლეს ცხენებს. ცხენებმაც თითქოს იგრძნეს პატრონის წადილი და მინას გაეკრნენ. წინ გაქცეულთა ღანდი თანდითან ახლოვდებოდა. მოთმინებიდან გამოდიოდნენ ჩვენი გმირები და წამი საათად ეჩვენებოდათ. გაქცეულებს უკვე სასროლზე მისწვდნენ. შავნაბდიანი წინ ხელში დამბაჩას ატრიალებდა. აი ჭკუაშიც დაუჯდა, მოსწია კიდეც და თეიმურაზს მუხლში მოარტყა, თუმცა ძლივს იგრძნო თეიმურაზმა. უფრო განრისხდა, ყირიმი ფეხზე შეაყენა და დასცა. მისმა ხმამ, თითქოს კლდეები ჩამოწვაო, ისე დაიქუხა. ლეკმა ხელები ჩამოუშვა და მოცელილივით დაეცა მიწაზე. ეხლა ჯერი წინ მიმავალზე მიდგა, მაგრამ მისი საკითხი ხმალსა და ცხენს უნდა გადაეჭრა, რადგან ტყვიის სროლა აღარ შეიძლებოდა, ვაითუ ქალს მოვარტყაო. ამიტომ ცოცხლად უნდა დაეჭირათ და ისე გასწორებოდნენ. ლეკმა გაიგო, რომ უკვე გასაჭირში იყო, ამიტომ ზედმეტი ბარგის მოშორება იკადრა, ამოიძრო ხანჯალი, ნაბადი გადაჭრა, ქალს ხელი ჰკრა, რომ გაქცეულიყო, მაგრამ ქალი ლეკს აფთარივით ეცა ყელში და უნდოდა ყველა ჯავრი მასზე ამოეყარა, – მამის სიკვდილიც და ოჯახის აწიოკებაც. ლეკმა რაკი ხელი ვეღარ გააშვებინა ქალს, მკერდში დასცხო ხანჯალი და ძირს გადააგდო. უკვე გვიანღა იყო. ქალი უსულოდ ეგდო. მდევრებმა ლეკი შუაში მოიმწყვდიეს. ლეკმა შიშით ხელები მაღლა ასწია, – ნუ მომკლავთ, მე ყველაფერს მართალს გეტყვით. მაგრამ რაკი ნახეს ქალი მკვდარი იყო, თორნიკეს ხმალმა გადასწყვიტა სამართალი ლეკისა. განრისხებულმა თეიმურაზმა ლუკმა-ლუკმა აქნა ლეკის გვამი. თუმცა მაინც ვერ ინელებდა და ფეხებით ქელავდა და სცემდა. თეიმურაზი მივიდა ქალის გვამთან, ერთი კიდევ დაჰკვირდა, რომ კვდარი იყო და ლომივით დაიღრიალა: მზექალავ, რომელ მხეცს შეშურდა ჩვენი ბედნიერება. მშობლებიც გაგიმწარეს, მეც ცოცხლად დამმარხეს. ვაი ჩემს კაცობას, დროზე ვერ მოგისწარი და ვერ გიშველე. ამდენი სისხლი დავღვარე, მაგრამ მტერმა სისხლითვე გადმიხადა! ბევრს მწარე-მწარე სიტყვებს ეუბნებოდა, გულში ჩაიკრა თავისი საყვარელი უსულო არსება და მწარედ მოსთქვამდა. მინასაც და კლდესაც აატირებდა გმირის გოდება. იქვე გაქვავებული თორნიკეც მწარე ცრემლსა ღვრიდა მეგობრის ასეთ მძიმე მწუხარებაზე და გოდებდა.

უკვე განთიადი ახლოვდებოდა, მამლის ყივილს ძაღლების ყმუილიც მოჰყვა. ამ ხმაურზე თორნიკე გამოფხიზლდა, მეგობარს მხრებზე ხელები ჩაავლო და უთხრა: რას ვშვრებით, სადა ვართ. ჩვენც დაგვხოცავენ და უბედური ქალიც დასამარხი დაგვრჩება. ადექ, ძმაო! თორნიკეს რჩევამ თეიმურაზიც გამოაფხიზლა, ცხენზე ძლივს შეჯდა, ჭრილობა გაცივებოდა, სისხლი კი ისევ ჟონავდა, მაგრამ არც თორნიკე იყო კაი დღეში, ისიც მარცხენა მკლავში იყო დაჭრილი, მაგრამ მსუბუქად. არ ნაღვლობდა. თორნიკემ მზექალას გვამი თეიმურაზს მიაწოდა ცხენზე. თეიმურაზმა გულში მიიკრა და ღრმა ფიქრებს მიეცა. თორნიკეც მოახტა ცხენს და სოფელ კლდის ხევ-ხევ გაუდგნენ გზას, ზევით ტყისკენ. ავიდნენ მაღალ გორაზე, იქ ცალკე ერთი დიდი ნაძვის ხე იდგა, თეიმურაზმა იფიქრა, რომ გზის გაგრძელება აღარაფერს არგებდა და ამიტომ იმ ნაძვის ძირთან მივიდნენ. ცხედარი თორნიკეს გადასცა, თვითონ ცხენიდან ჩამოხტა, ცხედარი ისევ ჩამოართვა, გულში ჩაიკრა ნაძვის ძირას მიჯდა და აქვითინდა. თორნიკე მიუხვდა მეგობარს და უთხრა: აქ მივაბაროთ, ძმაო? თეიმურაზმა თავი დაუკრა პასუხის ნიშნად. თორნიკემ ცხენები მოაფარა, ამოიღო ხანჯალი და სამარის თხრა დაიწყო. უკვე გათენებული იყო. ყველაფერი კარგად ჩანდა. თორნიკემ იქაურობა მიათვალიერა. ამდენ ამბავსა და თავგადასავალს, რა თქმა უნდა, სიფხიზლე ესაჭიროება. და, დაინახა, რომ ამათ ნაკვალევს სამი ცხენოსანი ვინმე მოსდევს. თორნიკეს შეეშინდა, საფლავის თხრას თავი დაანება, საჩქაროდ თავისი და თეიმურაზის თოფები და დამბაჩები გატენა და ჩაესაფრა, რომ პასუხი გაეცა. თეიმურაზი კი რაღაც ღრმა ფიქრებს მისცემოდა და თანაც სთვლემდა, უცდის თორნიკე მდევრების მოახლოებას, რომ გაიგოს, ვინ არიან. უცებ იცნო ისინი, ჯონდო მელიქიძე წინ მოუძღვის, გიორგი და გაბროც უკან მოსდევენ. – ჩვენი ბიჭებიაო, – ხმამაღლა დაიძახა და, – აქეთ ბიჭებოო, – გასძახა. თორნიკე წინ შემოეგება და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. თეიმურაზის ხელში რომ მშვენიერი ქალის სხეული დაინახეს, ბიჭები მიხვდნენ, რომ გზაში რაც სანახაობა მომხდარიყო, ყველაფერი ამის თაობაზე უნდა ყოფილიყო მომხდარი. თორნიკემ დაწვრილებით უამბო და მერე ისიც უთხრა, რომ იქ უნდა მიებარებინათ მიწისთვის, თავიანთი ძმისა და საყვარელი ამხანაგის მზე. აბა ბიჭებო, ჩქარა გვიშველეთ და გავცილდეთ აქაურობას. ბიჭებმა ხანჯლებით ამოუთხარეს სამარე მზექალას, ნაბადში გაახვიეს და ისე ჩაასვენეს, ზედ ნაძვის ტოტები დაახურეს. ხუთივემ მუჭებით მიწა მიაყარეს ცრემლის ღვრით. იქ ყველა თავიანთი გაჭირვება მოაგონდათ, უსახლკარობა, აქეთ-იქით ხეტიალი და ტანჯვა. მაშინ დაეთხოვნენ და შეჰფიცეს, რომ არასდროს არ დაივიწყებდნენ მის სახელს და მის ობოლ საფლავს. თეიმურაზი ძალიან შეაწუხა ჭრილობამ, ცხენზე ვეღარ ჯდებოდა. ამხანაგებმა გადაწყვიტეს, რომ მისი მორჩენა იმ ზამთრის თვეებში შეუძლებელი იყო, ამიტომ ის უნდა გადაეყვანათ იმერეთში და ასეც მოიქცნენ. გააკეთეს საკაცე, ჩააწვინეს თეიმურაზი შიგ და რიგრიგობით ორ-ორმა შეიარეს ბოგისა და სვირის შუა, გადავიდნენ ქომის ეკლესიისკენ. ასე ტანჯვით და წვალებით გადაიყვანეს ბაღდადისაკენ. მოიკითხეს ბიჭები, აჭარის მთაზე რომ თათრების ხელიდან გაანთავისუფლეს, იპოვეს ვასო ქუთათელაძე, სიმონ სიხარულიძე, გიორგი გამყრელიძე წითელ ხევში. ვასომ დიდი სიხარულით მიიღო სტუმრები, თუმცა ბიჭებს არ უნდოდათ, რომ ხალხს გაეგო მათი ამბავი და იქ ყოფნა, იმიტომ, რომ მთავრობა მოითხოვდა და შეიძლება დაეჭერათ, როგორც გავარდნილები. ამიტომ ვასო ქუთათელაძემ მონახა სიმონი და გიორგი, თეიმურაზი თვითონ დააწვინა თავის სახლში და მკურნალობდა. სვიმონმა თორნიკე და გიორგი წაიყვანა და პატივსა სცემდა, გიორგი გამყრელიძემ ჯონდოს და გაბროს ისე გაატარებინეს მთელი ზამთარი, როგორც საკუთარ ძმებს, პატივსა სცემდნენ როგორც საყვარელ სტუმრებს. ჩვენი გმირები ხშირად მიდიოდნენ და ერთად თავს იყრიდნენ თეიმურაზთან ვასოს ოჯახში, ლაპარაკობდნენ თავიანთ თავგადასავალზე.

თეიმურაზი გამოჯანმრთელდა და ერთხელ, როდესაც ხუთივე ერთად იყვნენ შეკრებილი და თავიანთი სანდო იმერლები ვასო, სიმონი და სხვები. თეიმურაზმა წამოიწყო, სათითაო, მოიგონა, როგორ შეისწავლეს ხუთივე მუსხელმა ცხენზე ამხედრება, ჭენება ფეხზე დგომით, გადასვლა ერთი მხრიდან მეორე მხარეს ცხენებზე, ფარ-ხმლით ვარჯიში, დაკრა და აცილება, თოფისა და დამბაჩების მიზანში ამოღება, მათი დაშლა, ტყვია-წამლის და ვაზნების გაკეთება, მოიგონა პირველად როგორ მოკლეს ჰასანბეგი და მისი ლეკები, თავისი მამის წამება, მოიგონა არლის ჭალაში როგორ გაკოჭეს მძარცველები, შუბლზე ჯვრიები ამოსჭრეს და ისე დაყარეს, საქონელი პატრონს როგორ დაუბრუნეს. მოიგონა აჭარის მთაზე როგორ დაეცნენ და ცხრა-ათი კაცი როგორ სწრაფად განყვიტეს, ტყვე იმერლები გაათავისუფლეს და მათი იარაღი მათ დაურიგეს. მერე იქიდან შავნაბადას და ქოროღლის მთას როგორ მიაშურეს, ახალქალაქის აბულის მთაზე როგორ დახოცეს თათრები და თუშების ფარა წაართვეს და დაუბრუნეს პატრონებს. მოიგონა მზექალას გაცნობა, მისი სიყვარული, მასთან პირობა, რომ დანიშვნა აღარ დააცალეს ურჯულო ლეკებმა, ნიშანში ქეიფის მაგივრად მთელი ღამე ტანჯვა, საწყალ იოანეს თავის მოჭრა, მისი დამარხვა, იმავე ღამეს ერთი ამხანაგით, თორნიკეთი ექვსი ლეკის დახოცვა, თვითონაც რომ დაჭრეს, თორნიკეც. მზეც მოუკლეს იმ ღამეს. ეს ყველაფერი და თავისი მზექალა იქ, უადგილო ადგილას მხოლოდ ერთ ნაძვის ხეს რომ ჩააბარეს. ამ ყველაფრის მოგონებაზე აღელდა ძალზე თეიმურაზი და უთხრა თავის ძმადნაფიცებს, რომ იმისი სურვილი იყო ის, რომ, ეს ყველაფერი მოხდა ჰასანბეგის შვილის – ამირბეგის სიტყვით და თუ მე იმის ჯავრს არ ამოვიყრი, ვერ ვიცოცხლებ. ამირბეგს თურმე მამამისის სიკვდილის შემდეგ მუსხში თითო ოჯახზე ათი ოქრო და ორი სული საქონელი წაურთმევია ყველასთვის. სხვათა შორის, ამ გმირების ამბავი მთელ იმერეთში მოფანტულიყო და ლაპარაკობდნენ. ჩვენ გმირებს არ სურდათ იმერეთში დარჩენა, ამიტომ სხვადასხვა სოფლებს აფარებდნენ თავს, უცდიდნენ მზის ამოსვლას, იმ მზის, რომელიც გაათბობდა და გაუშუქებდა გზას. ეს იყო მხოლოდ ის, როდის შემოვიდოდნენ რუსები მესხეთში, იმათ ერთად რომ გაეხარათ მუსხელებსაც. მათ მართალია მაჰმადიანობაზე ჰქონდათ ხელი მოწერილი ახალციხის ფაშასთან, მაგრამ სინამდვილეში კი ჩუმად ქრისტიანულ რჯულს მისდევდნენ, ღამით მიდიოდნენ გამოქვაბულებში და მაღაროებში, ზოგი კარებს დარაჯობდა, ზოგი კი შიგ მაღაროში ანათლინებდა შვილებს და იწერდნენ ჩუმათ ჯვარს. სოფელ მუსხში რუსების შემოსვლამდე გახდნენ ოც კომლამდე, ე.ი. ოც ოჯახამდე. მაგრამ იმ დროს ისეთი კავშირი, სიყვარული და ერთიმეორის ნდობაც ჰქონიათ, რომ ერთმანეთს არც გასთქვამდნენ და არც უღალატებდნენ. თუმცა ჩუმათ მაინც ვიღაცებმა დააბეზღეს მუსხელები ახალციხის ფაშასთან, რომ გურჯები ქრისტიანულ რჯულს მისდევენო, მაშინ ფაშამ ეგზეკუცია ჩაუყენა სოფლებში და ჩუმათ ამოწმებდნენ ერდოდან ან ბუხრებიდან, ხან ღამით მიეპარებოდნენ და უთვალთვალებდნენ. ქართველებიც ფრთხილათ იყვნენ. მარხვის დროს სუფრაზე ყველიც ედოთ და გათლილი თეთრი ბოლოკიც და

გაგრძელება გვ.9 ▶

ფარნა-ბექა ჭილაძე (ჩილაშვილი, ფაჰრეთინ ჩილოღლუ) დაიბადა 1956 წელს თურქეთში, ორდუს ილის უნიეს ქართულ სოფელ აქბაბაში. მწერლის წინაპრები ზემო აჭარიდან, კერძოდ, მაჭახელადან XIX საუკუნის ბოლოს გადასულან და შავი ზღვის სანაპიროზე, უნიეს რაიონის ერთ-ერთ სოფელში დასახლებულან.

ფარნა-ბექა ჭილაძე მოღვაწეობას 1980-იანი წლებში, სტამბოლში, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იწყებს. ამ დროიდან მისი ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს.

ფარნა-ბექა ჭილაძის რედაქტორობით თურქეთში აღდგა ჟურნალი „ჩვენებურები“ (1993-1997წწ). შემდეგ გამოსცემდა ჟურნალ „მამულს“ და რედაქტორობდა ორენოვან ჟურნალ „ფიროსმანს“ (2007-2010). იგი თურქულ ენაზე ადაპტირებული დედაენის ავტორიცაა, რომელიც წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს თურქულენოვანი ბავშვებისთვის ქართული ენის შესასწავლად. საქართველოში 2004 წ. გამოსცა ლექსების და მოთხრობების კრებულები: „აპრილის ლექსები“, „დამტოვე შორს“, „უსიყვარულოდ ბედნიერება არ არსებობს“. 2006 წელს კი გამომცემლობა „არტანუჯში“ დაისტამბა მწერლის რჩეული მოთხრობების თარგმანების კრებულები – „სასაზღვრო ფიქრები“ და „სანამ თოვს“, სადაც ასევე მისი ქართულ ენაზე თარგმნილი ლექსებიცაა შესული. ასევე ქართულად გამოიცა ფარნა-ბექა ჭილაძის პუბლიცისტური წერილები „ერთი წვეთი ლიმონი“ და საბავშვო კრებული „ნამცეცა“.

იგი ინტენსიურად ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. მან თურქულად თარგმნა და გამოსცა „შუშანიკის წამება“, მიხეილ ჯავახიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ერლომ ახვლედიანის, ნაირა გელაშვილის, ოთარ ჭილაძის, დათო ტურაშვილის და სხვა ქართველი მწერლების წიგნები, ასევე ოცი ქართველი მწერლის მოთხრობების კრებული „თანხმიერ ასობგერათა ანთოლოგია“, „ქართული პოეზიის მცირე ანთოლოგია“, თურქულენოვანი წიგნი „ქართველთა ისტორია“, რომელიც მკითხველს აწვდის ინფორმაციას საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

გარდა ამისა, ფარნა-ბექა ჭილაძე თურქულ პრესაში და საკუთარ ბლოგზე სისტემატურად აქვეყნებს პუბლიცისტურ წერილებს საქართველოს ისტორიასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე, – საარქივო მასალებზე დაყრდნობით – ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის სტატიებს. მისი თურქულენოვანი ბლოგი „თეთრი ფიალა“ ერთნაირად საინტერესოა როგორც თურქეთში, ასევე საქართველოში მცხოვრები ქართველებისთვის.

ჩვენი გაზეთის მიმდინარე ნომერში სწორედ ამ ბლოგიდან გთავაზობთ მის სტატიას, რომელიც ერთ-ერთი აქტუალური მოვლენის საპასუხოდ დაიბეჭდა.

ლეგენდა ნორაშენზე

წიგნის ელექტრონული ვერსია, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, ამ ტექსტის გამოქვეყნებიდან 4 დღის შემდეგ, გასული წლის 9 დეკემბერს, KMKD-მა (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ასოციაცია, თურქეთი) თავისი გვერდიდან აიღო.

ფარნა-ბექა ჭილაძე

ნ.მარის 1916 წ.
მოგზაურობის დღიურიდან

თურქეთში არსებულმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ასოციაციამ (Kültürel Mirası Koruma Derneği) 2021 წლის დეკემბერში, პროექტის ფარგლებში მომზადებული ნაშრომი – „ართვინი – რისკის ქვეშ მყოფი არქიტექტურული მემკვიდრეობა“ გამოაქვეყნა. როგორც ჩანს, საგამომცემლო ჯგუფმა, ართვინში საველე სამუშაოების ჩატარების შემდეგ წიგნში თავი მოუყარა სტატიებს, რომლებიც ეხება თურქეთში რისკის ქვეშ მყოფ ეკლესიებს. ამ ნაშრომს იმდენი დამახინჯებული ასპექტი აქვს რომ, მასზე, შესაძლოა, რამდენიმე სტატიაც კი დაიწეროს. თუმცა მე ამ სტატიაში მხოლოდ ერთ საკითხზე შევჩერდები, მხოლოდ იმის გამო, რომ იგი უახლეს ისტორიას ეხება და ამ დამახინჯებულ ასპექტთაგან ერთ-ერთის დანახვას გაგვიადვილებს.

წიგნში აღნიშნულია, რომ პროექტი განხორციელდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით.

არტანუჯის რაიონის სოფელ ლონგოთხევში, – დღევანდელ ბულანიქში (Bulanık) მდებარე ახალდაბის ეკლესია ნაშრომში დაფიქსირებულია როგორც ნორაშენის ეკლესია. გარდა იმისა, რომ სტატიის სათაურია „ნორაშენის (იენი რაბათის) ეკლესია“, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ სხვა სტატიებისაგან განსხვავებით, ამ სტატიის ავტორი მითითებული არაა და, X-XI საუკუნეებში აგებული ახალდაბის ეკლესია, ანდაც გვიანდელი სახელით ცნობილი იენი რაბათის (ახალი რაბათის) ეკლესია, მთელ ტექსტში მოხსენიებულია როგორც „ნორაშენის ეკლესია“. მანამ, სანამ სტატიას – „ნორაშენის (იენი რაბათი) ეკლესია“ - განვიხილავთ, ბანუ ფექოლისა და ჩაღლა ფარლაქის „წინასიტყვაობას“ შევეხები. წიგნის კონტრტიტულიდან ვგებულობთ, რომ პროექტის მენეჯერი ჩაღლა ფარლაქია, ხოლო რედაქტორი – ბანუ ფექოლი.

თავდაპირველად შევეხები დღევანდელი ართვინის რეგიონის ისტორიული მდებარეობის საკითხს. ოსმალების მიერ XVI საუკუნეში დაპყრობილი ქართული მიწების (დღესდღეობით თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული) ერთი ნაწილის ფართოდ გავრცელებული სახელი ტაო-კლარჯეთია, რომელიც რამდენიმე რეგიონს მოიცავდა. თუმცა, აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ იმხანად ქართული გავლენის ქვეშ მყოფი რეგიონების ყველა დასახლებაში მოსახლეობა მხოლოდ ქართული, ანუ ჰომოგენური იყო. კლარჯეთის მოსახლეობის უმრავლესობა რომ ქართველებისა და ლაზებისაგან შედგებოდა და, ართვინის პროვინციის დიდ ნაწილს მოიცავდა, ამას ოსმალური წყაროებიც ადასტურებენ. ამასთან, თუკი მთლიანად დღევანდელ ართვინის პროვინციაზე ვისაუბრებთ, სხვა სურათს დავინახავთ, – ხოფისა და არჰავის რაიონები ისტორიული ლაზეთის ნაწილი იყო და მოსახლეობის უმრავლესობაც ლაზებისაგან შედგებოდა. იუსუფელის რაიონის ნაწილი ტაოს შემადგენლობაში იყო, სადაც სომხური მოსახლეობის მნიშვნელოვანი წილი მოდიოდა, კლარჯეთში კი, მცირე გამონაკლისების გარდა, ისტორიულად სომეხი მოსახლეობა არ სახლობდა. ამის დაფიქსირება აუცილებელია, რათა გავიგოთ, როგორ ახდენენ ბანუ ფექოლი და ჩაღლა ფარლაქი წიგნის – „ართვინი – რისკის ქვეშ მყოფი არქიტექტურული მემკვიდრეობის“ – „შესავალში“ ამ მხარის ისტორიის მანიპულირებას.

მათი აზრით სომხურად „ტაიქით“, ხოლო ქართულად – „ტაოს“ სახელით ცნობილი მხარე ართვინის პროვინციას და ერზრუმის პროვინციის ნაწილსაც მოიცავდა. ეს მხარე დროთა განმავლობაში სამხრეთით გაფართოებულა და X საუკუნეში სომხურად ტაიქ-კლარჯქად, ქართულად კი ტაო-კლარჯეთად ქცეულა. სტატიის დანარჩენ ნაწილში კი, დღევანდელი ართვინის პროვინციის დიდი ნაწილის და ერზრუმის პროვინციის ნაწილის მომცველი რეგიონი ტაიქ-კლარჯქად / ტაო-კლარჯეთადაა მოხსენიებული (ტაო-კლარჯეთის სხვადასხვა ფორმით მოცემული დასახელება ბანუ ფექოლსა და ჩაღლა ფარლაქს ეკუთვნის). შეიძლება ვიფიქროთ, რომ წინასიტყვაობაში რეგიონის ისტორიის თხრობისას ავტორებმა შეცდომა დაუშვეს. თუმცა, თუკი ყურადღებით წავიკითხავთ, დავინახავთ, რომ ეს არა თუ შეცდომა, არამედ მანიპულაციაა. ავტორები ირწმუნებიან, რომ ართვინის რეგიონი თავდაპირველად სომხური ტაიქის რეგიონში მდებარეობდა, გაფართოების შემდეგ კი ამ მხარეს „ტაო-კლარჯეთი“ ეწოდა. ხსენებულ წინასიტყვაობაში აქცენტი მხოლოდ ტაოზე გადააქვთ, სადაც არ ახსენებენ კლარჯეთს. შემდეგ კი თხრობაში შემოჰყავთ ართვინი, როგორც ტაიქ-კლარჯქის ნაწილი მხოლოდ მას შემდეგ, რაც გრიგოლ ხანძთელზეა საუბარი: რომ ბერ გრიგოლ ხანძთელის მეთაურობით VIII საუკუნეში ართვინის (ანუ კლარჯეთის) მხარეში ქართველების გადმოსახლება მოხდა, რომლებიც სომხებმა შემწყნარებლურად მიიღეს და, შემდეგ, აქ მაცხოვრებელი სომხები მართლმადიდებლობაზეც კი მოექცნენ. ანუ, იმის თქმას ცდილობენ, რომ ართვინის (ანუ კლარჯეთის) მხარეში VIII-XI საუკუნეებში მცხოვრები მართლმადიდებლების უმრავლესობა არა ქართველი, არამედ სომეხი იყო. რახან გადმოსახლებულების შემწყნარებლურად დამხვდურები სომხები იყვნენ, გამოდის, რომ ართვინის რეგიონის მკვიდრ მოსახლეობასაც ისინი წარმოადგენდნენ (ჩემს სამ სტატიაში – „არტანუჯელი სომხები“, „შავშეთელი სომხები“ და „ფხიკიური – იმერხევის ერთადერთი სომხური სოფელი“ – განხილული მაქვს დღევანდელი ართვინის პროვინციის თუ რომელ სოფლებში ცხოვრობდნენ ისინი, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ ამ სტატიებს). აქვე დავამატებ, – იმავე პერიოდში ართვინის პროვინციის დღევანდელი ცენტრალური ნაწილის სოფლებში სომეხი მოსახლეობა საერთოდ არ გვხვდება. ისინი მხოლოდ ქალაქ ართვინში ცხოვრობდნენ, რომლებიც ძირითადად ხელოსნობას და ვაჭრობას მისდევდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს ბულანიქის (Bulanık) სახელით ცნობილი ძველი ლონგოთხევის ნორაშენად მოხსენიების საფუძველი ამ წიგნის წინასიტყვაობიდანვე შეიქმნა. სტატიაში, სახელწოდებით – „ნორაშენის (იენი რაბათის) ეკლესია“, რომლის ავტორი უცნობია, აღნიშნულია, რომ „ნორაშენის (იენი რაბათის) ეკლესია მდებარეობს ისტორიული გუგარქის პროვინციის კლარჯქის მხარეში, სოფელ ბულანიქის (ძველი სახელი ნორაშენი) ჩრდილოეთით“. „გუგარქის პროვინციის კლარჯქის მხარეში მდებარეობის“ საკითხს გვერდზე გადავდებ და ამჯერად ნორაშენზე შევჩერდები. სახელი ნორაშენი, ან იენი რაბათი, არტანუჯის სანჯაყის 1835 წლის ოსმალეთის მოსახლეობის აღწერაში არსად არ არის ნახსენები. რადგან, იმ პერიოდში, სოფელს, სადაც იენი რაბათის ეკლესია მდებარეობდა და, რომელიც, ასევე, იენი რაბათის ციხედ და ახალდაბის ეკლესიად იყო ცნობილი, ლონგოთხევი ერქვა. 1835 წლის არტანუჯის სანჯაყის როგორც „მუსლიმური“, ასევე „არამუსლიმური“ დავთრები გამოქვეყნდა ფარუქ თაშქინისა და ალი ირფან ქაიას მიერ სახელწოდებით „არტანუჯის აღწერების დავთრები (1835)“. ამ აღწერაში „Longothev„-ად დაფიქსირებულ სოფელ ლონგოთხევში 36 კომლი, მათ შორის 134 მამაკაცი ცხოვრობდა. თუკი იმაზე არ გავამახვილებთ ყურადღებას, რომ ოსმალეთის მმართველობის ამ პერიოდში მხოლოდ მამაკაცების აღწერა ხდებოდა, ჩანს, რომ სოფელ ლონგოთხევში მხოლოდ მუსლიმები ცხოვრობდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არტანუჯის სან-

ჯაყში, გარდა იმისა, რომ სოფელი სახელად „ნორაშენი“ არ არსებობდა და, სოფელში, რომელსაც ვითომდა ნორაშენი ერქვა, ერთი სომეხიც კი არ ცხოვრობდა.

რუსული ჩანაწერებიდანაც კარგად ჩანს, რომ ვითარება სრულიად შეიცვალა რუსული ადმინისტრაციის დროს. რუსების მიერ 1886 წლის მოსახლეობის აღწერაში, რომელიც 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ტაო-კლარჯეთის მათ ხელში გადასვლის შემდეგ განხორციელდა, ირკვევა, რომ ლონგოთხევი და იენი რაბათი ორი ცალკე სოფელია. ასევე, რუსების მმართველობის დროს ლონგოთხევად (Лонготхеви) დაფიქსირებულ სოფელში 413 სული ცხოვრობდა. სოფელში, რომელიც ძველად ქართველებით ყოფილა დასახლებული, აღწერისას ქართველად მხოლოდ 5 სული, დანარჩენი მოსახლეობა კი თურქად (393 სული) და ქურთად (15 სული) ჩაუწერიათ. ხოლო იმ სოფელში, რომელიც რუსული მმართველობის მიერ იენირაბათად (Энирабат) არის დაფიქსირებული, 121 სომეხი ცხოვრობდა. რაბათი ეწოდებოდა ციხის გარშემო არსებულ, ხელოსნებითა და მოვაჭრეებით დასახლებულ უბანს. ამ ჩანაწერებიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსული მმართველობის პერიოდში სომხები სოფელ ლონგოთხევის ციხის და ეკლესიის გარშემო შესაძლოა მხოლოდ 1835 წლის მოსახლეობის აღწერის შემდეგ დასახლებულიყვნენ, რომლებიც, როგორც ითქვა, ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდნენ. რადგანაც ართვინის ოკრუგში რაბათი სხვა დასახლებულ ადგილებსაც ერქვა, ამ სოფელს, ახალად გაჩენილი სომხური დასახლების გამო, „ახალი რაბათი“ ეწოდა. ცნობილია ისიც, რომ ეს დასახლება ქართულად ახალდაბაა, რადგან აქ მდებარე ეკლესიაც იგივე სახელს ატარებს.



ა.მ. პავლინოვის ჩანახატი . 1888 წელი

სავარაუდოა, რომ ახალდაბის ეკლესია, რომელიც მონასტრის მთავარი ეკლესია იყო, სწორედ თამარ მეფის დროს, დიდვეზირ ანტონ გნოლისთავის ძის მიერ იყოს განახლებული. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ ეკლესიის სიახლოვეს ერთი ადგილი „ანტონეთად“ მოიხსენიება, ამასვე ამტკიცებს (სტატიის უცნობ ავტორის კი ეს ადგილი „ანტონისად“ ჩაუწერია). გასაკვირი არაა, რომ სომეხი მოსახლეობა ახალდაბას იგივე მნიშვნელობის მქონე „ნორაშენად“, ხოლო ახალდაბის ეკლესიას „ნორაშენის ეკლესიად“ მოიხსენიებს. სიახლე არაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისაგან განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე ხალხი თავიანთ განსახლების ადგილს საკუთარ ენაზე მოიხსენიებს. ამ სტატიის ავტორის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცდილობს XIX საუკუნეში გაჩენილი სომხური დასახლება ისტორიულად სომხური განსახლების ადგილად წარმოაჩინოს.

მოდით, შევეხოთ ასევე იმას, თუ რატომ არ ატარებს ვითომც ნორაშენის სახელის მქონე, დღევანდელ ბულანიქად ცნობილი სოფელი ძველ სახელს. 1922 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ კლარჯეთის რეგიონი ანკარის მთავრობას გადასცა, ართვინის ლივის მოსახლეობაც დადგინდა. ამ აღწერაში, რომელიც „1922 წლის აღწერითაა“ (1922 Nüfus Cetveli) ცნობილი, ლონგოთხევი Longothev-ად, ხოლო იენი რაბათი Rabat-ად, ორ სხვადასხვა სოფლად იქნა დაფიქსირებული. ამ პერიოდში ლონგოთხევში 41 კომლი (179 სული), ხოლო რაბათში 8 კომლი (44 სული) ცხოვრობდა. ორივე სოფლის მოსახლეობა კი „თურქად“ იქნა ჩაწერილი. ამ ჩანაწერიდან ვგებულობთ, რომ სოფელ იენი რაბათში (ანუ ნორაშენში, როგორც მას სომხები უწოდებდნენ) ამ პერიოდში სომეხი მოსახლეობა აღარაა დარჩენილი. ამ სოფლიდან სომეხი მოსახლეობის გაქრობა სხვა თემაა და ამ სტატიაში არ შევეხები. ამასთან, თუ ვივარაუდებთ, რომ XIX საუკუნეში გაჩენილ ამ დასახლებაში სომხები 1835 წლის აღწერიდან მალევე დასახლდნენ, მათ აქ მაქსიმუმ 85 წელი, ხოლო თუ ვივარაუდებთ, რომ ისინი რუსეთის მმართველობის პერიოდში დასახლდნენ, მინიმუმ 40 წელი უნდა ეცხოვრათ. ამ მოკლე პერიოდში, შესაძლოა, სოფელი ნორაშენად, ხოლო ეკლესია ნორაშენის ეკლესიად მოიხსენიებოდეს, მაგრამ ეს ამ სოფელს ნორაშენად, ხოლო ეკლესიას ნორაშენის ეკლესიად ვერ აქცევს. ეს სოფელი ისტორიულ სომხურ სოფლად, ხოლო მეათე საუკუნეში აგებული ეკლესია სომხურ ეკლესიად ვერ ჩაითვლება. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ 1925 წელს ლონგოთხევის სახელი ბულანიქად (Bulanık), ხოლო იენი რაბათის სახელი ჩამლიქად (Çamlık) გადაკეთდა. ჩამლიქი მცირე ხნის განმავლობაში ცალკე სოფლად დარჩა, მოგვიანებით კი სოფელ ბულანიქს უბნად შეუერთდა. შეუძლებელია სტატიის – „ნორაშენის (იენი რაბათის) ეკლესია“ უცნობმა ავტორმა არ იცოდეს, რომ ნორაშენი სოფელ ბულანიქის ძველი სახელი არაა. წარმოუდგენელია, რომ ავტორს, რომელსაც სოფელ ბულანიქის ძველი სახელის მოხსენიება სურს, ხელი არ მიუწვდებოდეს იმ წყაროზე, რომელიც დასახლების (უფრო) ძველ სახელს ეხება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წიგნის – „რისკის ქვეშ მყოფი არქიტექტურული მემკვიდრეობის“ „წინასიტყვაობის“ ავტორებმა ბანუ ფექოლმა და ჩაღლა ფარლაქმა რეგიონის ისტორიის დამახინჯებით გზა გაუხსნეს ვარაუდებს, რომლებიც ამ წიგნში „ნორაშენის (იენი რაბათის) ეკლესიად“ მოხსენიებული სტატიის ავტორმა „ნორაშენის ლეგენდით“ შეამკო.

თურქულიდან თარგმნა
რუსუდან ბერიძემ

მესხთა ცხოვრება

◀ დასაწყისი გვ. 6-7

ასე აჩვენებდნენ, ვითომდა ყველსა ჭამენ. ასე ტანჯვით და ვაებით შეინარჩუნეს სანყლებმა ქრისტიანობა და ქართული ენა, ქართული ზნე და ჩვეულებანი... ასე იწვალეს რუსების ახალციხეში შემოსვლამდე... რუსების, ქართველების, სომხების, გენერალი პასკევიჩის, ბაიბურტკის – ორბელიანის და სხვა გენერლების მეთაურობით, ძალით გარეკეს თათრები ახალციხიდან. თათრის ფაშა, რომელმაც პირველ შემოსვლის დროსვე მოანგრია რაბათში ციხის ეკლესია და თათრული მრგვალი გუმბათი მოაშენა, ზედ ნახევარი მთვარე და ვარსკვლავი აღმართა, იქ იყო და იქიდან აძლევდა ბრძანებას. ჩვენმა გენერლებმა შორეთიდანვე მომართეს ზარბაზნები. დაუშინეს მოქცევის ციხეს, რომელიც გზას უკეტავდა. მარჯვნივ გაუვალი ტყე იყო, მარცხნივ მტკვარი და ტყიანი კლდე და მთები. ციხე დაამტვრიეს და შეტევაზე გადმოვიდნენ. თათრებმა პირველი დარტყმითვე იგრძნეს, რომ სხვა ძალა შემატებოდათ ქართველებს. რუსებმა და ქართველებმა ზევიდან შემოუარეს, თათრის ჯარი რკალში მოიმწყვდიეს და თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს. თათრის ნაწილი გაქცეული ჯარი აწყურის ჯარებს შეუერთდა და აწყურის ციხეში გამაგრდნენ. აქაც დიდი მსხვერპლი გაიღეს ორივე მხარემ. რაკი აწყურიდანაც მოშალეს, წნისის ვაკემდე უკან აღარ მოუხედიათ თათრებს. რუს-ქართველთა ჯარებმა ახლა შურდოზე გადმოსჭრეს გზა და გამოიტანეს ზარბაზნები. სოფელ კლდეს თავიდან დაუშინეს თოფ-ზარბაზნები. აქედანაც გააქციეს თათრები. თათრებს რაბათის ციხეში ჰქონდათ ზარბაზნები. ჩვენმა სნაიპერებმა ერთი ტყვია სალოცავის მთვარეს მოარტყეს. გადმოცემა ასეთია. მეორე ზარბაზნის ტყვია თათრების ზარბაზნის ლულაში მოარტყესო. მაშინ შეშინებული თათრები თავის ფაშით ერთად აიბარგნენ და წავიდნენ უკან და უკან სხვილისზე, ვალეზე. ბადელადანაც წავიდნენ თავიანთ საზღვრამდე... რუს-ქართველ და სომეხ გენერლებს ახალციხის აღებისათვის და გამარჯვებისთვის მისცეს ჯილდოთ მიწები. მაგალითად ორბელიანს მისცეს მთელი ირმოსანის აქეთ სავერძიამდე; სომეხ ბაიბურტიანს – ზანზობიდან ემპელომდე მთელი ჩორჩოს ხევები; სეხნიევს – ფუღა, ურავლის მიწები დურგლიშვილებს; ზოგმა ისევ დანარჩენი გენერლებისაგან იყიდეს მიწები, რომლებმაც არ ინდომეს. მესხეთში მაშინ ბევრი სომხები გადმოასახლეს, მაგალითად ყარსიდან, არზრუმიდან, ართვინიდან, რადგანაც თათრები აწიოკებდნენ და აწამებდნენ. სომეხმა გენერლებმა ისინი დაასახლეს სულ კარგ მიწებზე მთელი ახალქალაქის სომხები და ახალციხისაც. საწყალი ქართველები კი დარჩნენ მიმალულ ადგილებში. ძალიან მცირე და უვარგისი მიწები დარჩათ გლეხებს და სახელმწიფოს. კარგი მიწები იგდეს ბატონებმა და ვისაც ოქრო და ვერცხლი ჰქონდა. ზოგიერთი გლეხი კი ბოლო ხანებში ჰყიდდა უკანასკნელ ხარსაც და ცხვარ-ძროხასაც, რომ შეეძინა თავისთვის საკუთარი მიწა – მამული.

სტილი დაცულია
(გაგრძელება იქნება)

ფოლკლორი

ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწფე. ამ ხელმწიფეს მოუკვდა ცოლი. ხელმწიფეს ყავდა ერთი ვაჟი. ამ ხელმწიფეს როდესაც ცოლი მოუკვდა, მან მოიყვანა მეორე ცოლი. დედინაცვალი ხელმწიფის შვილს უჯავრდებოდა და ყოველთვის ცემდა. ერთხელ ამ ბიჭმა იფიქრა, რო გაპარულიყო სახლიდან.

იარა ბევრი თუ ცოტა, ერთ მეცხვერს შეხვდა, რომელიც ცხვარს აძოვებდა. ბიჭი შეეკითხა:

– თქვენ მეცხვარე არ გჭირდებაო?

– აგერ, ერთი წელიწადი მისრულდება ერთ თვეში და მერე შენ დადექ ჩემ მაგივრად ცხვარშიო.

ამ ბიჭმა იფიქრა, რომ სანამ ეს ერთი თვე გავიდეს, მამაჩემი გაიგებს, რომ გამოვიპარე და თავს მომკვეთსო. ადგა და წავიდა. იარა ბევრი თუ ცოტა, შეხვდა მეღორეს. მეღორს უთხრა:

– თქვენ მეღორე არ გჭირდებაო?

მეღორემ მეცხვარესავით უთხრა:

– ერთი თვე მაკლია ერთ წელიწადს, მერე შენ იყავი ჩემ ადგილასო.

ეს ბიჭი კიდევ წავიდა. იარა ბევრი თუ ცოტა, შემოაღამდა გზაში. იქვე იდგა ერთი ხე. ეს ბიჭი ავიდა ამ ხეზე, მაგრამ შიშისაგან კანკალებდა. თან ერთი ფიცარიც აიტანა. ამ დროს ხის ძირიდან იმ ბიჭს შემოესმა ჩურჩული. თურმე მოსულიყვნენ ამ ხის ძირას ჯიბგირები და იყოფდნენ ფულს. ამ ბიჭს შიშისაგან ჩამოუვარდა ფიცარი. ამ ჯიბგირებს ეგონათ, რომ ღმერთმა ჩამოაგდო ფიცარი და ძალიან შეეშინდათ. ამ დროს ბიჭი ჩამოვიდა ხიდან და ჯიბგირებს უთხრა:

– მე ღმერთისგან გამოგზავნილი კაცი ვარ, ვინც ჯიბგირები და ქურდებია, ერთიანად უნდა დავხოცოო.

ამ ქურდებს ძალიან შეეშინდათ და უთხრეს:

– ოღონდ არ დაგვხოცო, აგერ ეს ყუთი შენ გქონდესო. ამ ყუთში არიან ჭინჭველები, ვისი ჯავრიც გჭირს, ეს ჭინჭველები უსწორდებიან ყველა იმათო.

ბიჭს ძალიან გაუხარდა, გაუშვა ქურდები და თავად გაუდგა გზას. იარა ბევრი თუ ცოტა, შეხვდა იმავე მეცხვარეს. უკვე ერთი წელიწადი შესრულებულიყო და მეცხვარე მიდიოდა სახლში. ამ დროს ეს ბიჭი დაუდგა ხელმწიფეს მეცხვარედ. ხელმწიფემ ერთხელ უთხრა ამ ბიჭს:

– ცხვარი იქითა გვერდზე წაასხიო.

ბიჭმა იმას არ დაუჯერა და სხვა გვერდზე წაასხა. როდესაც მორეკა ცხვარი, ხელმწიფე შეეკითხა:

ცხვარი საით გყავდაო?

ვაჟმა უთხრა:

– სადაც შენ მითხარი, იქით მყავდაო. ხელმწიფეს ძალიან გაუკვირდა, რო არ მოკლეს ეს ბიჭი. მეორე დღეს უთხრა ვაჟს ხელმწიფემ:

– ახლა მეორე მხარეს წაასხი ცხვარიო. ვაჟმა გადაწყვიტა, რო იქით წაესხა ცხვარი, სადაც რო ხემწიფე ეუბნებოდა. წაასხა ბიჭმა იმ გვერდზე და აბალახებდა ცხვარს. თითონ დაჯდა და სალამურს უკრავს. მერე დაინახა, რო ერთი ქალი ხელების თამაშით მოქროდა. თამაშობდა და ბიჭს უყვიროდა: – ბიჭო, აქ ჩამოდი, აქ დაუკარი სალამური, უნდა ვითამაშოო.

ერთი ვერძი ამ ცხვარში ენად იქცა და უთხრა ბიჭს:

– არ ჩახვიდე, თორემ ეს ქალი მოგკლავსო. ბიჭმაც დაუჯერა და არ ჩავიდა. ეს ქალიც ამოდიოდა გორაზე, რო ეს ვერძი გაექანა, შუბლი დაარტყა და მოფლითა ქალი.

როდესაც ცხვარი მორეკა, ხელმწიფეს ერთი მხრივ გაუხარდა და მეორე მხრივ ეწყინა, რომ ქალმა ეს ბიჭი ვერ მოკლა. უკვე წელიწადი შესრულდა და ბიჭმა მოითხოვა თავისი წილი. ხელმწიფეს არ უნდოდა ბიჭისთვის მიეცა ფული, მაგრამ რა უნდა ექნა?

ამ დროს ამ ბიჭის მამამ შეიტყო, რომ ბიჭი ამა და ამ ადგილას არის გაპარული. ამ ბიჭის მამა ადგა და სანახავად წამოვიდა. როდესაც მოვიდა, ნახა თავისი ბიჭი. ძალიან გაუხარდა, რო შვილი იპოვა. მერე წავიდა თავის სახელმწიფოში და გამოგზავნა წერილი შვილთან, რო აუცილებლად ჩამოდიო. წერილი შიკრიკს გამოატანა. შიკრიკმა გზაში გახსნა, წაიკითხა და სხვანაირად დაწერა: „მე მოვდივარ ჩემი ლაშქრით შენ მოსაკლავადო“. მაშინ ბიჭი ადგა და გაემგზავრა თავისი მამის სახელმწიფოში. როდესაც მიუახლოვდა, ჭიანჭველებს უთხრა:

– ეს ქალაქი სულ გაანადგურეო, ოღონდ ერთ კაცს, რომელიც ტახტზე იჯდება, ხელი არ ახლოთო, – მამაზე ეუბნება.

სულ მთლად გაანადგურეს ჭიანჭველებმა ეს ქალაქი. ამ დროს შეიტყო ხელმწიფემ, რომ მთელი ქალაქი გაუნადგურებიათ ჭიანჭველებს. ადგა ეს ხელმწიფე და წავიდა თავის შვილთან. როდესაც მივიდა ამ თავის შვილთან, უთხრა:

– შენ რატომ გაანადგურებინე ჭიანჭველებს ჩემი სახელმწიფოო?

– იმიტომ, რომ შენ მოდიოდი ჩემზე ლაშქრადო, უნდა მოგეკალიო.

მაშინ ხელმწიფემ უთხრა:

– რო მე სხვანაირად დავწერე, მე გთხოვდი, რო ჩამოსულიყავი ჩემ სახელმწიფოშიო, ალბათ შიკრიკმა გამოცვალა ის წერილიო.

ვაჟს ძალიან შეეცოდა, რომ ამდენი ხალხი დახოცა, შეწუხდა, ამოიყვანა ჭიანჭველები ყუთიდან და უბრძანა, – მეც მომკალითო!

ჭიანჭველებმა ეს ბიჭიც იქვე გააშეშეს.

მთქმელი **ნოდარ ზარიძე**,
ახალციხის რაიონი, სოფელი თოკი.
ჩაიწერა **ნონა ღამბაშიძემ**
1965 წელს.
თსუ ფა N3818

ფოლკლორი მუამა და „აბდულმესიანის“ ეროვნული

ეძღვნება პროფესორ ბორის დარჩიას

ლექსითი ნაწარმოების ერთ-ერთი საინტერესო ილეთია, ხერხია მუამა. ეგ გახლავთ სრულიად გასაგებ სალექსო სტროფთა სისტემაში მეტრითა და რიტმით განუსხვავებელი, ოღონდ სრულიად გაუგებარი სიტყვებით გაჯერებული პოეტური აბზაცის შერევა. თვალნათლიობისათვის მოვიყვან ორ ნიმუშს. თავის ერთ-ერთ ფუტურისტულ-ზაუმურ ლირიკულ გნომას ვლადიმერ მაიაკოვსკი ასე წარმოგვიდგენს.

Нет на прорву карантина,
Мандолинят из-под стен:
Тара-тина, тара-тина,
Тара-тина,
ten!

მართალია, ეს მომღერალი გიტარის ნამდვილი იმიტაციაა, ოღონდ ვერვინ ვერასოდეს ახსნის აქ მომარჯვებული სიტყვებისა და სინტაგმების აზრს.

მოვიყვანოთ მეორე ნიმუში.

მ. თავდიშვილმა თარგმნა არაბი პოეტის აბდურაჰმან ბაჰის ლირიკული ქმნილება ,,ქართველი მუსლიმის ლოცვა“. ამ თარგმანის მე-5 სტროფი ასე გამოიყურება:

ჩემი ხორცი ფასობს იმდენს,
რასაც გონით წარმოვიდგენ:
,,სადი ბინდენ, მალო იდენ,
სალამათან ალოიდენ,
ელბიჯ ოლდუმ სალოიდენ,
ჩოხ და იალ განოიდენ!“

(გაზ. ,,ლიტერატურული მესხეთი“, 2018, №11).

ხაზგასმული სიტყვები არაბულადაც გაუგებარია და ქართულადაც. ამიტომ მთარგმნელმა ისინი უცვლელად გადმოიღო.

ახლა ვისაუბროთ იმაზე, თუ როდის და რატომ გაჩნდა ეს უცნაური ფორმა.

მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ აღნიშნული ფორმა ჩაისახა და განვითარდა XV საუკუნის ირანულ პოეზიაში და მერე სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა, ოღონდ ამაზე უწინარეს ამ ფორმალისტურ ხერხს არ იცნობდა მსოფლიო. ცნობილი ორიენტალისტი ევგენი ბერთელსი მიუთითებს: ,,XV საუკუნეში სპარსული პოეზია ცალმხრივად განვითარდა. ამან გამოიწვია ფორმობრივი ვირეშმაკობანი და სრული სიძულვილი შინაარსისადმი. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, თუ ავტორი მიზნად ისახავს მკითხველის გაოგნებას ტექნიკური ჯამბაზობით, მაშინ იქ შინაარსს არა ესაქმება რა“ *(ბერთელსი ე.ე., რჩეული შრომები, ნავო და ჯამი, მ., 1965, გვ. 125 (რუსულ ენაზე).*

ზემორელე რომ ნიმუშები შემოგთავაზეთ, იმათშიც, რა თქმა უნდა, სწორედ ეგაა მთავარი – მკითხველის გაოცება ტექნიკური ოსტატობით, რითმის სასწაულებრივი ერთხმიანობითა და ევფონიით, აგრეთვე მუსიკალური ინსტრუმენტის (ვთქვათ, გიტარის) ზედმიწევნითი აჟღერებით.

მაშასადამე, დადგენილია ეპოქა და არეალი ახალი ფორმალისტური ჟანრის შექმნისა: **ესაა XV საუკუნე და სპარსულენოვანი სიტყვაკაზმული მწერლობა.**

ახლა ისა ვნახოთ, თუ როგორ მივიდა საქმე ამ ფორმალისტური ჟანრის გაჩენამდე.

სპარსული პოეზია ფირდოუსის, ნიზამისა და სხვა გენიოსთა შემდეგ, თითქმის ამოიწურა. ფორმობრივი თვალსაზრისით, მან ყველა შესაძლო საშუალება გამოიყენა. ამან გამოიწვია ახალი გზების ძიების საჭიროება. ამის გამოისობით ძალა მიეცა გადაკვრით ნათქვამებს (,,ნამიოკებს“); იმგვარი სიტყვის ძიებას, რომელსაც აქვს არაერთი მნიშვნელობა (2,89,90). ამ გზას ბუნებრივად მივყავართ უკვე არსებული და გამოყენებული რთული ფორმის **მაჯამის** როლის გაძლიერებამდე, ოღონდ ახალ ვითარებაში არც ეგაა საკმარისი. ამჟამად საჭირო ხდება მაჯამის უკიდურესად გართულება. გაჩნდა თეორია: მთავარი ის კი არ არის, **რა ითქვა,** არამედ — **როგორ ითქვა.** ამ ვითარებაში გაიმართა შეჯიბრება – ვინ უფრო რთულად იტყვის, უკეთ შეახამებს ბგერებს, სიტყვებს, გამოთქმებს, რიტმსა და მუსიკას. მაშ, უმთავრესი ყურადღება მიექცა ქმნილების გარეგნულ მორთვა-მოკაზმვას. მდგომარეობა იმდენად საგანგაშო შეიქმნა, რომ XV საუკუნისავე მგოსნები ჯამი და ნავოი მსჯელობენ ფორმისა და აზრის ჰარმონიულობის აუცილებლობაზე *(ბერთელსი ე.ე., რჩეული შრომები, ნავოი და ჯამი, მ., 1965, გვ. 124-125 (რუსულ ენაზე).*

კიდევ მეტი: იმდენად საჭირო გახდა მუამების გასაღების ძიება, ჯამიმ საგანგებო სახელმძღვანელოც კი შეთხზა მუამების გასაგებად *(ბერთელსი ე.ე., 123).* აღნიშნულ პრობლემას ჯამი ამის შემდეგ კიდევ სამჯერ მიუბრუნდა *(ბერთელსი ე.ე., 243).*

ბერთელსის მოსაზრება პირწმინდად გაიზიარა ქართულმა მეცნიერებამ. აკად. ალ. ბარამიძე ბრძანებს: ,,XV-XVIII საუკუნეების რიგმა სპარსელმა მწერალმა უკიდურესად გაართულა პოეტური ენა, მას მისცა რებუსების, შარადებისა და გამოცანების ხასიათი; ქმნიდა ნამდვილ ,,თავსატეხ ფოკუსებს“, პოეტური ხერხების ადგილს იჭერდა ხრიკები. ასეთ ლექსებში მთავარი ყურადღება ექცეოდა გარეგნულ-ფორმალურ მხარეს, აზრობრივ-შინაარსობრივი მხარე კი იჩრდილებოდა ან სრულიად უგულვებელყოფილი რჩებოდა. მეტიც, არცთუ იშვიათად პოეტები ლექსებიდან ერეკებოდნენ აზრს, შინაარსს, საგანგებოდ თხზავდნენ რთული და დახლართული სისტემის მქონე ,,სათარგმანებელ“ და ამოსაცნობ (ამოსაშიფრავ) ტექსტებს. იმდროინდელი სპარსული პოეზიის ბევრი ნიმუში უკიდურესი ფორმალისტური ვარჯიშის შედეგია... ასეთი იყო, მაგალითად, ომონიმური (მაჯამური) ლექსები, ე.წ. **თეჯნისები** და კიდევ უფრო თავსამტვრევი **მუამები.** მუამას ტიპის ლექსების შესახებ ... ე. ბერთელსი ამბობს: ,,მუამა სრულად გამოხატავს XV საუკუნის ლიტერატურის ძირითად ტენდენციას – ტექნიკის თანდათანობითი გართულების გზით მიაღწიოს ფორმის უკიდურეს სრულყოფასა და შინაარსის ლიკვიდირებას. მუამაში შინაარსი ნულს უტოლდება. აქ უკვე აღარ იხილვის არცა აზრი, არცა გრძნობა; დარჩა მხოლოდ სიტყვათა თამაში, და უფრო მეტიც – სიტყვათა ნაწილებისა და ნაწილაკების გადახმიანება. მუამად რომ ყალიბდებოდა, ლიტერატურა ეწეოდა თვითიმკვლელობას, კარგავდა რა სულ მცირე საზოგადოებრივ ღირებულებასაც კი!“ *(ბარამიძე ალ., თეიმურაზ პირველის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ, 167. იხ. კრებული ,,ლიტერატურული ძიებანი“, XII, თბ., 1959).*

ამრიგად, უკვე დადგენილია და არც ერთი ქართველი ან უცხოელი მეცნიერი სადავოდ არ ხდიან იმას, რომ ფორმა **მუამა** წარმოიქმნა XV საუკუნის სპარსულენოვან პოეზიაში. სამაგიეროდ, არც არავის დაუყენებია საკითხი ასე: თუ XV საუკუნემდე მსოფლიომ არ იცოდა **მუამის** ფორმა,

მაშინ მისი ნიმუში არ უნდა ჭაჭანებდეს XII საუკუნის მგოსნის შავთელის ,,აბდულმესიანში“.

სინამდვილე კი სხვაგვარია. ჩვენთა ძველთა მეცნიერთა მიერ ,,აბდულმესიად“ მიჩნეულ სახოტბო პოემაში ნამდვილად გვაქვს მუამის ნიმუში. ეს იმას ნიშნავს, რომ ეგ 107 სტროფიანი ხოტბა არ გახლავთ XII ს-ის ძეგლი. მაშასადამე, იგი გამოდის მე-17 საუკუნის ავტორის, სპარსულ მუამებში საკმაოდ გზაგაწალდული პოეტის მიტროპოლიტ იაკობ შემოქმედელის 1661 წელს შენათხზი ,,ქება მეფისა არჩილისა“.

ახლა უშუალოდ ვნახოთ ეს **მუამური** და ძველთა ჩვენთა მეცნიერთა **უამური** ადგილები საძიებელი ტექსტისა.

ე.ნ. ,,აბდულმესიანში“ არასოდეს არავის გაუხდია საკამათოდ 24-ე სტროფი. მაშ, ტექსტოლოგიურად იგი სადავო არაა და ნამდვილად ეკუთვნის ხოტბის ავტორს.

მითითებული ხანა მუამის მკაფიო ნიმუშია. ეს პოეტური აბზაცი დღემდე ვერავინ გაშიფრა. სწორედ ამაზე მიუთითებენ თვით ქართველი მეცნიერები: ,,ამ მხრივ დამახასიათებელია ,,აბდულმესიას“ ერთი სტროფი, ფაქტობრივად დღემდე გაუშიფრავი:

ბრძანონ სამალად, არ თუ სამალად:
ელი ამო სით, ეს რომ არა მით?
მასთანა შორად, – ართუა შორად! –
ელია-ზოსით, ესრომ – არამით.
ქველად ჭერითა, რისხვით, ჭერითა
ელი ამ ოსით, ესრო მარ ამით.
მასარ ა რითა? მას არ არითა,
ელ ია-ზოსით, ეს რომ ა, რა მით?“

(ქართული მწერლობა, I, თბ., 1984, 165).

იმავე წიგნში ასევე მითითებული და ახსნილია ამდაგვარი ,,რთული“ სტროფების რაობა: ,,მაჯამური რითმისადმი დამოკიდებულება ზოგჯერ



შავთელი. ნახ. დავით შუღლიაშვილისა

წარმოადგენს ამა თუ იმ ავტორის მთელ პოეტურ კრედოს, კერძოდ, მის მიმართებას აღმოსავლური პოეზიისადმი, რომლის წიაღშიც ლექსის ფუნქცია ხშირად ფორმალური ნიშნებით განისაზღვრებოდა; ლექსი გასართობ, თავსატეხ და თავშესაქცევ სამშვენისად იყო ქცეული“ *(ქართული მწერლობა, I, თბ., 1984, 165-166).*

სწორედ ამდაგვარი თავსატეხი და ფორმალისტური თავშესაქცევია ქართველი ავტორის **ტიპური მუამა.**

ან კი შევემზადოთ კატეგორიული დასკვნის ჩამოსაყალიბებლად!

რაკიღა მსოფლიო ლიტერატურა XV საუკუნემდე არ იცნობს არავითარ მუამას, ბუნებრივია ვთქვათ: მე-12 საუკუნეში შეთხზულ ,,აბდულმესიაშიც“ შეუძლებელია ყოფილიყო ამ ფორმის პოეტური აბზაცი. მაშასადამე, ჩვენ წინაშე არსებული 107 სტროფიანი ხოტბა შეთხზულია XV საუკუნის აქეთ, კერძოდ კი - მე-17 საუკუნეში, ანუ **მუამური სტილის** მოძალების, აფეთქების ეპოქაში. ეს ხანა მოიცავს XV- XVII საუკუნეებს. ესე იგი, ხელთა გვაქვს 1661 წელს შეთხზული ლირიკული პოემა ,,ქება მეფისა არჩილისა“. მისი ავტორია მიტროპოლიტი იაკობ შემოქმედელი.

ახლა დგას საკითხი:

რაკიღა თავის პირველ ვრცელ ნაწარმოებში (1661) გამოიყენა ავტორმა ფორმა **მუამა,** ხომ არ მოუმარჯვებია იმხანად ,,მოდური“ ეგ ხერხი თავის მეორე, უფრო გვიან (1670-იან წლებში) დაწერილ პოემაში?

თუ ამ ფორმის გამოყენება აქაც დადასტურდა, ეს კიდევ ერთი მძლავრი არგუმენტი იქნება საკითხის საბოლოოდ და უთუმცაოდ გადასაწყვეტად.

საქვეყნოდ ვაცხადებთ:

თავის პირველ ვრცელ ნაწარმოებში რომ ერთხელ და მოკრძალებით გამოუყენებია ეგ ,,მოდური“ ხერხი ავტორს, მეორე ვრცელ პოლემიკურ პოემაში რამდენიმეჯერ და უფრო თამამად, უფრო დიდოსტატურად მოუმარჯვებია იგი. ,,უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“ წარმოადგენს ბაგრატ ბატონიშვილის პოლემიკური პროზაული ტექსტის ,,წყობილ მარგალიტად“ ქცეულ ქმნილებას *(ბორის დარჩია, ბაგრატ ბატონიშვილი, თბ., 2011, 44-45).* ბაგრატ ბაგრატიონს არავითარი მუამური ადგილები არ აქვს თავის ტექსტში. მუამები ნაწარმოებში შეაქვს ტექსტის გამლექსავ იაკობ შემოქმედელს და ამითაც ეპოქის დამლას ადებს თავის ნამუშაკევს. ჯერ განვიხილოთ 42-ე სტროფი. იგი ერთობ თავისებურია. მოშაირე ყოველ ცალკე სტრიქონს იწყებს და ამთავრებს ორი სიტყვით – ელი ელისეს:

ელი ელისეს მის წილად ხალენს მოსს
ელი ელისეს.
ელი ელისეს ცეცხლ-ეტლით ცად
მგზავრობს ელი ელისეს,
ელი ელისეს ღვთისაგან მადლს
მისცემს ელი ელისეს,
ელი ელისეს მკურნალად სენთა
ჰყოფს ელი ელისეს.

(იაკობ შემოქმედელი, პოეტურ თხზულებათა სრული კრებული, ბორის დარჩიას რედაქცია; წიგნის რედაქტორია მურმან თავდიშვილი, თბ., 2014, 41).

ამგვარი ფორმა პირველად გამოსცადა და შეგვთავაზა ი. შემოქმედელმა. კიდევ უფრო საინტერესოა მომდევნო, 43-ე, პოეტური აბზაცი. ამგვარი მუამა სრულიად ,,უცხო ხილია“ მსოფლიო პოეზიაში. ხანა სრულდება ავტორის სიამაყის გამომხატველი მითითებით – ეს **მუამური ფორმა** მე შემოვიღე, მე დავამკვიდრეო:

აბანაკად, აბანაკად, აბანაკად, აბანაკად,
იაგუნდად, იაგუნდად, იაგუნდად,
იაგუნდად,
ნამუსიკად, ნამუსიკად, ნამუსიკად,
ნამუსიკად,
ესე დასად, ესე დასად, შემოვიღე ესე დასად.

(იაკობ შემოქმედელი, პოეტურ თხზულებათა სრული კრებული, ბორის დარჩიას რედაქცია; წიგნის რედაქტორია მურმან თავდიშვილი, თბ., 2014, 41-42).

საგულისხმოა, რომ ამ მუამურ პოეტურ ხანას დედანში, ბაგრატ ბატონიშვილის პროზაულ ტექსტში, არაფერი შეესატყვისება. მაშ, იგი მოიფიქრა და ტექსტში ჩართო თავად შემოქმედელმა.

მუამის შექმნაში ან უკვე საკმაოდ გაწაფულმა ლირიკოსმა თავის მეორე ვრცელ პოემაში სხვა ნიმუშებიც შეიტანა. ავტორს განსაკუთრებით მოსწონს მუამის ისეთი ფორმა, როცა სტროფში თავრითმა და ბოლორითმა ერთდროულად კეთდება. ამ დროს ფორმალიზმი ზეობს და აზრი ერთგვაროვნად ითრგუნება, ოღონდ რა ბედენაა! ეგ პოეტს ვერ შეაფერხებს. ის თამამად მიდის წინ დასახული მიზნისაკენ. ამ მხრივ საგულისხმოა 101-ე სტროფი:

აბა რა ბის *მოვისმინოთ,*
იგავს ბრძანებს ***აგ არაკად,***
ა ბარაბის *წილ მიცემით თვით დაეფლვის*
აგარაკად,
აბ არაბის *მეძვის მსგზავსად, თუ გვემს*
რისხვით ***აგარ აკად,***
აბარაბის *ცოდვის მთხრებლში სვიმონ*
პოვეს ვინ პარაკად.

(იაკობ შემოქმედელი, პოეტურ თხზულებათა სრული კრებული, ბორის დარჩიას რედაქცია; წიგნის რედაქტორია მურმან თავდიშვილი, თბ., 2014, 59).

აღნიშნული ხერხი მარჯვედ გამოუყენებია ავტორს 111-ე ხანაშიც. აქ თავრითმაა **დავით,** ხოლო ბოლორითმა გახლავთ **ებან-ებანსა:**

დავით *მგალობელთ მთავარი ქნარსა*
სცემს, ***ებან-ებანსა,***
და ვით *სიმდაბლის მუშაკი, ღირსებით*
ებანე ბანსა!
დავით *ბერსაბეს ტრფიალობს,*
სარკმლით სჭვრეტს ***ე ბანე ბანსა,***
დავით *ფსალმუნთ თქმით ტიროდა,*
მისთვის არ ***ებან ებანსა.***

(იაკობ შემოქმედელი, პოეტურ თხზულებათა სრული კრებული, ბორის დარჩიას რედაქცია; წიგნის რედაქტორია მურმან თავდიშვილი, თბ., 2014, 62).

იაკობ შემოქმედელი ცდილობს, უფრო გაართულოს მუამა და არა ოდენ თავრითმა და ბოლორითმა მოძებნოს, არამედ სტრიქონის მთელი მეორე კარედი ერთიან რითმად და მუსიკალურ ინსტრუმენტად წარმოადგინოს. ეგ საინტერესო ცდა დაფიქსირებულია 123-ე ხანაში:

ნუ უცხოდ გიჩნს სატანასგან
ბელიარსით მოაბას რა!
ბრანგვად გარყვნის საძოვარი,
ბელი არსით მოაბას რა!
მართლის სისხლი რომ დაღვარა,
ბელი არსით მოაბასრა,
ღვთით მოაკლდა მტერთ მახვილსა,
ბელიარსით მოაბასრა.

(იაკობ შემოქმედელი, პოეტურ თხზულებათა სრული კრებული, ბორის დარჩიას რედაქცია; წიგნის რედაქტორია მურმან თავდიშვილი, თბ., 2014, 67).

ამრიგად, თუ პირველ პოემაში მხოლოდ ერთხელ მიმართა მუამას ჩვენმა ავტორმა, მომდევნო ქმნილებაში ეგ ფორმა უფრო უკეთ, მარჯვედ და ბევრჯერ მოიმარჯვა. კერძოდ, ხუთჯერ გამოუყენებია იგი!

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ: ფორმა მუამა გავრცელდა XV საუკუნის ლიტერატურაში. იგი დიდ ავალას იძენს XV- XVII საუკუნეებში; გაუგებარმა, ბურუსიანმა სტრიქონებმა ლამის წალეკეს ამ დროის ლირიკული ქმნილებანი. ამის გამო თუ იყო, რომ ჯამი და ნავოი, XV საუკუნის მეორე ნახევრის მგოსნები, აღუშფოთებია ამ ამბავს და დაუწყიათ იმაზე ფიქრი, თუ რითი შეწინააღმდეგებოდნენ ამ ლიტერატურულ ეკვილიბრისტიკას; ჯამის საგანგებო ტრაქტატიც კი შეუდგენია, სადაც ცდილა, ესწავლებინა მკითხველისათვის მუამის ხიმანკლობათა გამოცნობა; ქართულ მწერლობაში მუამა შემოვიდა XV- XVII საუკუნეებში, უფრო ზუსტად – XVII საუკუნიდან. ამის გამო XII საუკუნის პოემა ,,აბდულმესიაში“ ეგ ხერხი შეუძლებელია იყოს გამოყენებული. მაშასადამე, ჩვენ წინაშე არსებული 107 სტროფიანი ტექსტი არ გახლავთ XII ასწლეულის შემოქმედებითი პროდუქტი. ის მე-17 საუკუნის მხატვრული მატიანეა და აღწერს არჩილ მეფისა და მამამისის – ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზის — მოღვაწეობას. აქ ხოტბაშესხმულია 14 წლის ახალგაზრდა ხელმწიფე არჩილ II ბაგრატიონი. ავტორი ხოტბისა გახლავთ შემოქმედის მიტროპოლიტი იაკობ დუმბაძე. ქმნილება შეთხზულია 1661 წელს.

მურმან თავდიშვილი,
პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზო ადამიას ახალი წიგნი „შეხვედრა დიდ მწერალთან“

საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ კარგად ცნობილი, მრავალი პრემიის ლაურეატი მხატვრისა და მწერლის ბატონ რეზო ადამიას ესსეისტურ პროზას ყოველთვის ახლავს, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „წარმოსახვათა, აზრთ-განცდათა და გენიის თვითმყოფად შედევრ-უკვდავებაზე“ სიღრმისეული წვდომა. წიგნი იწყება რუსთაველის პრემიის ლაურეატი მწერლის რეზო მიშველაძის, აკადემიკოს როინ მეტრეველისა და ჟურნალ „ოლე“-ს მთავარი რედაქტორის აკაკი დაუშვილის შესანიშნავი წერილები, რომლებიც ყურადღებას მთავარ სათქმელზე ამახვილებენ. ავტორი წიგნში დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ორ ნაწარმოებს განიხილავს „დიდოსტატის მარჯვენას“ და „მთვარის მოტაცებას“, რომელიც იწყება ახალგაზრდა მხატვრის დიდ მწერალთან შეხვედრის საინტერესო მოგონებით, თუმცა ესსეისტური პროზა ისეთი საინტერესო მიმართულებაა, ყოველთვის გიტოვებს სათქმელს, ინდივიდუალურად შეაფასო. ამ წერილში შევეცდები ჩემეული ხედვაც გაგანდოთ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ წიგნი გაფორმებულია თავად მხატვრის – რეზო ადამიას მიერ შესრულებული დიდი მწერლის გრაფიკული პორტრეტებით.

ავტორის თხზულება, მიძღვნილი დიდ კონსტანტინე გამსახურდიას უკვდავ შემოქმედებაზე რომ წავიკითხე, იმის განცდა გამიჩნდა, რომ იგი სამყაროს სამივე განზომილებას ეხება: კოსმოსს – უდიდეს გონს და სამყაროს შემქმნელს, სულიწმიდას,–შემოქმედის წარმოსახვისას, აზრებსა და განცდებს; და მიწიერი ყოფის სიღრმეებს–გენეტიკურ მეხსიერებას, რომლის გარეშეც არ ამოიმართება განცდილი წარსული. აი, ამ სამის გაერთიანება ქმნის ერთიან სივრცეს სრულყოფილებისა. ბატონი რეზო ბრძანებს: „რატომღაც თავად მიჭირს დაჯერება, რომ, თურმე, წმინდანებს, მეცნიერ-ფილოსოფოსებს და ხელოვნების დიდ შემოქმედთ, თავიანთი პირადულ-უსასრულო დრო აქვთ მზის სისტემაში, ხოლო უმთავრესი ანმყო? – განუყრელ სტუმარ-მოძრავ მეგობარია მათი...“ თავადვე დასძენს: „რელიგიური რწმენის თანდაყოლილი კულტურა, უფალ-კოსმოსთან სიახლოვე, სიკეთე-სიყვარულია, რომელიც მკურნალია მუდმივი, ამაღლებული სულიერი ცხოვრების კანონ-კონსტიტუციაა და ადამიანის ინტელექტუალური შინაგან-ზნეობრივი სიწმინდეა“. რეზო ადამიას თხზულებაში მოქმედება დიდი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას კოლხურ კოშკში ვითარდება.



ირგვლივ ყველაფერს ძველ-კოლხური ელფერი აძევს, მოვლილ მწვანე ეზოს, მისი საოცარი, ულამაზესი და უკეთილშობილესი ბინადრით–– შველით, რომელიც ნუშის თვალებით მისჩერებია მხატვარს და ნდობით მიახლებია; და ტრაპეზსაც, უგემრიელეს მეგრულ სამზარეულოს... ამიტომ ბუნებრივია, ავტორი ყურადღებას კოლხეთსაც უთმობს და, ძველი ბერძნების აზრთ-გამონათქვამზე დაყრდნობით, გვეუბნება: „დიდი კონსტანტინეს შემქმნელი ხალხი,–ძველი კოლხები, კოსმოსის მოყვარული ხალხიაო“. მართლაც, ულამაზეს კოლხურ-მეგრულ ოდაში გაზრდილი მწერალი, კოლხურ კოშკში ცხოვრობს და აქ იქმნება მისი შედევრები. ნათქვამია, ხის სიგრძე ფესვებიდან იზომებაო; ჰოდა, განა ძველი კოლხები კოშკებში არ ცხოვრობდნენ? ანტიკური პერიოდის ავტორები – ჰიპოკრატე, ქსენოფონტე, აპოლონიოს როდოსელი, არიანე, მიგვითითებენ, რომ ძველ კოლხეთში ძელურ-ფიცრული სახლები და კოშკები უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამასვე ადასტურებს არქეოლოგიური მასალა. თხზულებაში ავტორი შთამბეჭდავად აღწერს შეხვედრას კონსტანტინე ბატონთან, როგორი მოკრძალებით მიეახლება დიდ მწერალს, რას ფიქრობს და განიცდის მაშინ ახალგაზრდა მხატვარი. თანაც, მხატვარი რის მხატვარია, საინტერესო შედარება არ გააკეთოს. დიდ კონსტანტინესთან საუბრის მომენტში ის პარალელს ავლებს ფილოსოფოს ვოლტერთან: „უმალ გენიალური ფილოსოფოსის ვოლტერის ფიგურულ-შეპარვით ირონიულ-ძუნწად მომღიმარი

ქანდაკების პორტრეტ-სახე წარმომიდგა თვალწინო“.

მკითხველისთვის არ იქნება უცხო თუ ვიტყვი, რომ სასაუბრო ენა დროის ცვლასთან ერთად იცვლება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი იზრდება და იხვეწება, ზოგჯერ ბარბარიზმებითაც ავადდება და ძველი სასაუბრო ენაც დავიწყებას მიეცემა. ამასთან, მაშინ, როცა დიდი კლასიკოსი ეჭიდება საუკუნეების წინანდელ აზრებს, მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობის გამო კი არა, შინაგანი სურვილი და პასუხისმგებლობა ამოძრავებს იმდროინდელ ენა-დიალექტზე აამეტყველოს საუკუნეების წინ გარდასულ სულთა აჩრდილები, სული ჩაჰბეროს და თანამედროვე მკითხველს არა მარტო დაანახოს რა მდიდარი და ლამაზი ყოფილა ღვთიური ქართული ენა, არამედ შეგვახსენოს ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ქვეყნის, ერისა და სამყაროს წინაშე. აი, ეს გახლავთ დიდი კონსტანტინე გამსახურდიას კრედო, როცა ის ამეტყველებს პერსონაჟებს „დიდოსტატის მარჯვენა“-ში. აი, სწორედ ეს საიდუმლო არ გამოეპარა დიდ მხატვარს და მწერალს, ბატონ რეზო ადამიას და მის მიერ ლამაზ სიტყვებად, აზრებად თუ აფორიზმებად მოხატულ ნაწარმოებში თავადაც იტვირთა თანამედროვე თქმათა მშვენიერების გადმოცემის სირთულე. ბატონი რეზო გვეუბნება, კონსტანტინე ბატონის კალამს მგლის მუხლი ჰქონდა, მან ქართული ენა უკვდავ გენიად აქციაო. და, იქვე: „კონსტანტინე ბატონს გააჩნდა და გააჩნია პროზაულ-ლიტერატურული წერა-გამოხატვის უნიკალური ზე-კულტურა და ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით მოქმედებათა ძველ-კოლხური ცივილიზაციის ანუ ფორმადაუდებელ ეპოქათა მსგავსი შინაგანი მოქმედების საუბარი–მოყოლის ულამაზესი პროზაულ-მხატვრული–თვითნაბადი არტისტიზმიო“. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა ბატონ რეზო ადამიას წერის განსაკუთრებულ მანერას, წერის სტილსა და თხრობაში გამოყენებულ უამრავ აფორიზმში გადმოცემულ სიტყვათა წყობას და შინაარსს. გემოვნებასთან ერთად ამოუწურავია ბატონი რეზოს ფანტაზია.

დასასრულს, მინდა ქართველ მკითხელს მუვულოცო კიდევ ერთი შესანიშნავი წიგნის დაბადება, რომლის ავტორი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყველასათვის კარგად ცნობილი, გამოჩენილი მხატვარი და მწერალი, ბატონი რეზო (ემელიანე) ადამია გახლავთ, ხოლო მისი ლიტერატურული ქმნილება – შეხვედრა მარადისობაში გარდასულ, უკვდავ მწერალთან, დიდ, როგორც ავტორი ბრძანებს, კონსტანტინე ბატონთან, გამსახურდიასთან. ჩვენ ვუსურვებთ ბატონ რეზოს უამრავი ლიტერატურული შედევრით გაემდიდრებინოს ჩვენი ქართული ლიტერატურა და მისი ერთგული მკითხველი მრავალჯერ გაეხარებინოს.

ნინო კოპაძიძე,
სახელოვნო-საინფორმაციო გაზეთ „მირაჟის“ მთავარი რედაქტორ-გამომცემელი

იუბილე

ნინო ვარდიძე

ნინო ვარდიძე დაიბადა 1942 წელს ადიგენის რაიონის სოფელ არალში.

9 კლასის დამთავრების შემდეგ მცხეთის მხატვრულ-კერამიკულ სკოლაში დაეუფლა მომხატველის სპეციალობას.

1965-67 წლებში იყო მოსკოვის გამოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტის მსმენელი.

წლების განმავლობაში მისი ლექსები იბეჭდებოდა ადგილობრივ გაზეთებში. მის შემოქმედბას კარგად იცნობს რეგიონის მოსახლეობა.

აქვე გთავაზობთ პოეტის რამდენიმე ლექსს:

სიყვარული უსიყვარულოდ

მე სიყვარული დამარქვა მთვარემ,
უსიყვარულოდ ვიწვები მზეში,
ვერსად წავუველ ცეცხლოვან თვალებს,
რომ მაბრდღვიალებს ლექსების ეშხით.
სხვა სიყვარული არ განმიცდია,
მზე და მთვარეა ჩემი ნუგეში,
გადაღეღილ მკერდს წლები მიწვდიან
და მიხუტებენ ეულს უბეში.

მარტი მარტობს

მარტი მარტობს, მარტი მარტობს,
დავრჩენილვარ ქვეყნად მარტო,
სიყვარულს და სითბოს ვნატრობ,
აღარავინ აღარ მატკბობს,

მარტი, მარტი, მარტი მარტობს,
გზა-სავალი არ მაქვს ფართო,
თანაგრძნობით არვინ მათბობს,
სატრფიალოდ არვინ მატკბობს.

მოცარული დავალ ქვეყნად
ერთგულებას ხალხის ვნატრობ.
მარტი მარტობს, მარტი მარტობს,
დავალ ობლად მარტოდ მარტო.

მინდა ვწერო, მინდა ვხატო,
ქვეყნად ნეტა რა ვინატრო?
დავალ ცალად, დავალ მარტო,
მარტი მარტობს, მარტი მარტობს...

სიყვარულს და სიტკბოს ვნატრობ

***

შენი თვალები მზესავით მათბობს,
ჩემში შენ გამო გაზაფხულია,
ნუ მიმიტოვებ ციცქნა გულს მარტოდ,
შენი სუნთქვა ვარ ახლა სრულიად.

***

ჩემთან სიკვდილი მოვიდა...
იმდენს მეძახდა, ყვირილით მოკვდა!
მე არ მოვკვდები ჩემი სიკვდილით,
სხვისი წუხილი უმალვე მომკლავს...

შენი ნაბიჯები

გაუკვალავ თოვლში შენი ნაბიჯები
კიბის საფეხურზე ამჩნევია,
ნაზი გაღიმება არასოდეს
ჩემთან მორიდებით არ გჩვევია.

თოვლივით სათნოვ და
თოვლივით ფაფუკო,
ბაგეზე ღიმილი დაგკრთის,
წლები მიჰქრიან ახალ წლის ლოდინში,
და თმებზე ფიფქებად გაყრის.

ღიმილს ნაჩვევი ვარ,
სითბოს ნაჩვევი ვარ,
ნუ გამიხუნებ დარდით.
სოფლის ველ-მინდვრებს
თუ მაღლა ცის კამარას
შენი სურნელი ასდის.
მინდა კიდით-კიდე,
წლების დაუთვლელად
ბაგეზე ღიმილი გენთოს,
ჩემი საქართველო დაიცავი
და დამილოცე ღმერთო!

აკროსტიხი მარინე ლაბაძეს

მ ინდა ისე მიყვარდე, როგორც ჩემი ლექსები,
ა ყვავებულ ბუნებას კრძალვით ეალერსები,
რ ოგორ მინდა რომ ჰგავდე ყვავილების
დედოფალს,
ი ცი, რომ ეგ ღიმილი საუკუნედ მეყოფა.
ნ ეტავ შენებრ ლამაზი მეც მეხატოს თვალები,
ე გზომ ლამაზ სიტურფით ვირჩეოდე ქალებში!

პაემანი მთვარესთან

მე და მთვარემ სიყვარული
ავუხსენით ერთმანეთს.
იგი ჩემს თავს ფიცულობდა,
ვფიცულობდი მე – მთვარეს.
ის რომ ციდან დამყურებდა,
მე ვუმზერდი მიწიდან,
მაღლა მთიდან გადმომდგარი
მთელი ღამე მიცდიდა.
ალიონი მოგვეპარა,
ერთმანეთს რომ ვკოცნიდით,
მთვარეს შერცხვა, მეც გავწითლდი
და პლანეტას მოვცილდით.

მესხეთის ქართული თეატრი

ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ქ.ახალციხეში ჩამოაყალიბა მესხეთის ქართული თეატრი, რომელიც მომსახურებას გაუწევს ასპინძის, ადიგენის და ახალქალაქის რაიონებს.

თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნულია მიხეილ მეძმარიაშვილი, დასი შეივსო პროფესიონალი მსახიობებით და ადგილობრივი ძალებთ.

მესხეთის ქართული თეატრი სეზონს გახსნის ოქტომბრის შუა რიცხვებში. გახსნისთანავე მომზადებული იქნება ს.შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“, გ.ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო“ და ა.ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“.

ამჟამად მზადდება გ.ქელბაქიანის კომედია „შესაფერი ჯილდო“. პიესას სდგამს მ.მეძმარიაშვილი. მთავარ როლებს ასრულებენ: მ.მეძმარიაშვილი (ვლადიმერი), თ.ყიფშიძე (ელენე)), ვ.მაისელი (პანტლე), პ.ჯალაღანია (სიმონი), ო.მახარაშვილი და რ.ჯიჯუა (სუსანა), ვ.ივანიძე (გივი), ს.რუსია (ლექსო), თ. მანველიშვილი (ლამარა).

1945 წლის იანვრამდე თეატრი დასდგამს ს.მთვარაძის „საქორწინო მზადებას“.

გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“. N29, 1945 წელი

ძველიძველი მეურნეობა ცხმარეთში

სამცხე - სამესხეთოს მეურნეობა ძველის ძველი საქმეა მრთელს კავკასიაში და იქმნება, თუ არ ვსცდებით, მრთელ ქვეყნის გულზედაცა. იქ აუშენებია ნოეს კიდობანი, იქვე შეუნახიათ წყალ-რღვნას წინად ყოფილი წვრილნი, და შემდგომ წყალ-რღვნისა სპერს მხარედვე გამრავლებულა ნოე თავის ჩამომავლებითა. ამ სპერს მოსე იხსენიებს სამღთო წერილში სოფირად. აქედგან წარმომდგარია ჩვენს ენაში ლექსი სოფელი თუ თვითოეულ ერობის ადგილ სადგომის წოდება და თუ მრთელი ქვეყნის გუნდის საზოგადო წოდება! (ევსეპის ქორონიკონის ა. წიგნი. ბ. თავ. პიერო ქალდეველი).

ნოე მამა მთავარს წყალ-რღვნის შემდგომ ჯავახეთში უცხოვრია. ნოემ წყალ-რღვნის შემდგომ კიდევ 350 წელი იცოცხლა. თავდაპირველადვე მიჰყო ხელი მეურნეობის საქმეს, ხვნას, თესვას, რგვას, მყენას და ვენახის გაშენებასაცა. მით შემოვიდა ხმარებაში ღვინო. ნოეს, წარმართნი, ზადენსაც უწოდებდნენ. ცოლის სიკვდილის შემდგომ გადმოსულა, თავის შვილს იაფეთთან უცხოვრია აბასთუმნის მახლობლად. მით მის სადგომს სწოდებია ზადენი და სადაც დასაფლავებულა, დღესაც ჰქვიან ზადენგორა!

ნოემ საკმაოდ წარმატება დაატყო მეურნეობასა. მის გამო ხომალდს მისი შემოღებულობით, ეწოდა ნავი, ღვინოს ნინუა და სანათს – ნავთი (მნათი). სამესხეთოში ბევრგან ქრისტიანენი შვილებს ჯერაც ნინოს არქმევენ, აქამდის სულში გამჯდარი აქვსთ მამა პაპით მოყოლებული ნოეს პატივსაცემი სახელი!

ნოეს შვილის შვილნი მრავლდებოდნენ. იაფეთი აბასთუმნის მიდამოს; ქამი კახეთისკენ; სემი არარატისკენ და წარმატებაში მიჰყავდათ მშვიდობიანობით მეურნეობის საქმე. თანახმად თავიანთ მამის ნოეს კურთხევისა, როგორც სწერს მოსე საღმთო წერილში: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი სემისი და იყოს ქანან მონა მისსა. განავრცენ ღმერთმან იაფეთ და დაემკვიდრენ საყოფელთა შინა სემისთა და იქმენინ ქანან მონა მისსა (თ. 26). იაფეთის შვილები პირველში ძლიერ გამრავლდნენ კავკასიაში... რა აღმოჩნდა ნებროთ გმირი, მოინდომა გამეფება კავკასიაში. შეურყია მშვიდობიანი ცხოვრება ყოველ კაცსა, 50 წლის შემდგომ ნოეს სიკვდილისა; შეუერთდნენ იაფეთს შვილები: ჩრდილოდ უსაროს მთებამდის, აღმოსავლით ურმის ტბამდის და სამხრით სირის ურაპამდის, ეგრედ წარმატებაში შევიდა მეურნეობა პირველში, რომ ჩვენებური ურმის წოდება იმისგან დაშთენილია, და ურმითგანაც მეურნეობის ლექსი წარმოებულა.

ჟურნ. „ცისკარი“, N8, 1887 წ.

***

ცოდოა კარგი ვაჟკაცი,
უდროოდ დაიმარხოსა,
მოხუცი დედა ტიროდეს,
ცოლი სხვამ წაიყვანოსა.

***

ფასი იცოდეთ ვაჟკაცის,
შინ როდის რჩება ბინასა,
მუდამ ჟამს აბჯარს აისხამს,
მზეს ეგებება დილასა.
ომშიგან გადავარდების,
რკინას ზედა სცემს რკინასა,
ლაჩარი დაიმალება,
ვაჟკაცი ებრძვის წინასა,
მტერს მტრულად მედგრად შეუტევს,
მოკეთეს დახსნის ჭირასა.

***

მტერს რომ მუსრავდეს მტრულადა,
ვაჟკაცის საქმე, წესია,
ლაჩარს კი ომი აშინებს
საქვეყნო განაწესია.
ვაჟკაცი აბჯარს ჩაიცვამს,
ქრისტეს ახსენებს – მესიას,
ომის ყიჟინა, ქარცეცხლი
მისი მუდმივი წესია.

***

ტიალი წუთისოფელი
ტკბილ-მწარე არის, ცხადია,
ზოგისთვის ავისმოქმედი,
ზოგისთვის მართლაც კარგია.
იქნება სჯობდეს სიკვდილი,
როგორც კი დავიბადია,
მუდამ ჟამს დამწუხრებული,
ობლადა გავიზარდია.

***

შენ გაგიმარჯოს ხანჯალო,
მედგარ ვაჟკაცის ხელშია,
თათრებზე მეხის დამცემო,
მტერს რომ გადასჭრი წელშია,
გამცემსაც დაიმორჩილებ,
შიგ ჩაერჭობა ყელშია.

***

მესხებში ატყდა ჩოჩქოლი,
მტრები დაგვესხნენ თავზედა,
ვაჟკაცი ბიჭი გოგოლა
პურობად იჯდა სკამზედა,
ღვინის სტაქანი გასტყორცნა
ზედ შუა მოედანზედა.
– ხალხნო, შეგროვდით ყველანი
ჯავრი ვიყაროთ მტერზედა,
მწყემსები დაუხოციათ,
ჰყრიან გზის პირას გზებზედა.
აყეფდა გოგოლას თოფი,
ჭაბუკნი გაიყოლაო,
გვერდით დაუდგნენ ქალებიც,
ერთად მოგროვდნენ ყველაო.
გოგოლავ, დედა გენაცვლოს,
ნუ მოხვალ ცარიელიო,
სიმღერ-სიმღერით მოგევლოს
მესხეთის მთა და ველიო.

მთქმელი ოსიკო გიძოშვილი, 88 წლის. ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. ივლიტა.
ჩაიწერა სოსო გიძოშვილმა 2021 წლის დეკემბერში

***

სოფელ ზველში ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ თათრებიც. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ერთი თათრის ბიჭი, სახელად ბაშირა, ორკვირიანი შვებულებით ჩამოვიდა თავის სოფელში. მას მკერდზე ორი მედალი ეკიდა. ერთმა მეზობელმა ჰკითხა – ბაშირ, ეგ მედალი რისთვის მოგცესო?

ბაშირამაც, დიდი კმაყოფილებით, მაშინვე უპასუხა:

– „იესტ, იესტ! იქი მედალი ვერდილარ!“ (რაზეც დამასაქმებდნენ, სულ ვპასუხობდი: იესტ, იესტ! და მაგაში მომცესო.

***

მუსხში ერთმა ოჯახმა ე.წ. „ტრილიაჟი“ იყიდა. ვიდრე განსაზღვრულ ადგილს მიუჩენდნენ, იქვე, დერეფნის შესასვლელშივე, დროებით დადგეს. ოჯახის უფროსი ღრმად მოხუცებული ყავდათ. იმ ღამეს მოხუცს გარეთ მოუნდა გავლა. დერეფნიდან რომ გადიოდა, გაიარა „ტრილიაჟის“ წინ, სარკესთან. სარკეს თვალი რომ გააყოლა, საცვლებიანი კაცი დაინახა (თავისი თავი) და ხმამაღლა შეუძახა: „გამეცა, შე ოხერო, რა ფეხებში მებლანდებიო“.

***

სოფელ მუსხში ტობიდან რძალი მოიყვანეს. მეორე დღეს, გარეთ რომ გავიდა, მამლის ყივილის ხმა შემოესმა. ძალიან გაიკვირვა და ქმარს ჰკითხა: „ივან-ჯან, მამლები აქაც ყივიანო?!“

***

ზველში ცხოვრობდა ეფრემ ზედგინიძე. ერთხელ, ცხრა მაისს, როგორც მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ისიც მიიწვიეს გამარჯვების ზეიმზე. იგი საგულდაგულოდ მოემზადა და გაუდგა სასოფლო კლუბისკენ მიმავალ გზას. ომის ყველა მონაწილე სცენაზე მიიწვიეს. ყველას მკერდი მედლებითა და ორდენებით ჰქონდა დამშვენებული. ეფრემ პაპას ჰკითხეს: – პაპა, შენი მედლები სადღაა, რატომ არ გკიდია მკერდზეო?

ეფრემ პაპამაც მაშინვე გასცა პასუხი: – სად არის და ქვემოდად მკიდიაო!

კოსტიუმი გაიხადა და, თურმე, მედლები პერანგზე ჰქონია ჩამოკიდებული.

***

ერთი მუსხელი გლეხი მთაში წავიდა სათიბად. თივა რომ გახმა, ცოლს შემოუთვალა: რაც შეიძლება მალე ამოდი, თან წამოიღე ფოცხი და ორთითი, თივა მოვაგროვოთო.

ქალიც მაშინვე წავიდა, მაგრამ, სისწრაფეში, სამუშაო იარაღების წაღება დაავიწყდა. კაცმა ხელცარიელი რომ დაინახა ცოლი, გაბრაზებულმა შეუყვირა: თუ სამუშაო იარაღები არ მოგქონდა, რატომღა მოდიოდი, არ ჯობდა შენი სურათი გამოგეგზავნაო?!

მთქმელი მარიამ ჟუჟუნაძე, 89 წლის. ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. მუსხი.
ჩაიწერა გიორგი ჟუჟუნაძემ 2021 წელს

მესხური გამონათქვამები

*
ცა მწყალობდეს, წვიმის მოსვლა სულ არ მინდა.
*
ეკლესია არ აშენებულიყო, ბრმა კარებს მიადგაო.
*
სურვილით ერთხელ მზესაც დააბნელებო.
*
გლახა ამინდი გამოსწორდება, გლახა კაცი არაო.
*
ვის პურსაც ჭამ, იმის ცელი უნდა მოიქნიოო.
*
სადაც პურს არ გაჭმევენ, იქ შიმშილს ნუ იტყვიო.

მთქმელი სიმონ სამსონიძე, 81 წლის, ჩაიწერა ვაჟა სამსონიძემ 1980 წელს

როგორ წარმოიშვა გვარი ტივაძე

ტივაძეების გვარის წარმოშობის ადგილი სოფელი ერკოტაა, ჩვენი წინაპრები ხიზაბავრიდან გადმოსულან, ქუქჩიშვილების გვარიდან ყოფილან, რასაც, ხიზაბავრელი უხუცესებიც ადასტურებენ. ჩვენ ხშირად ვმასპინძლობდით ნაცნობ ხიზაბავრელ ქუქჩიშვილებს, მათგანაც საუბარში მომისმენია ჩვენი გვარის ნათესაური კავშირის შესახებ.. ტივაძეებს ერკოტაში ,,ქურჩიენთ - ქურჩიენთ“ გვეძახდნენ. ქუქჩიშვილები XVI ს-ის ბოლოს ოსმალების მიერ დაკისრებული დიდი გადასახადების გამო, გადარჩენის მიზნით, სანამ კათოლოკობას მიიღებდნენ, გვარად მანანაძეები ყოფილან. სოფლის დასავლეთით, ბაღვენახები და მარნები, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, ხელოვნურად გაშენებულ ტერასებზე ჰქონდათ. დღესაც ქუქჩიშვილების ერთი შტო ტერასების ქვედა მხარეს, მდინარის პირას, მემკვიდრეობით ფლობს მიწის ნაკვეთებს. ქუქჩიშვილებს ადრე მდინარეზე გაუკეთებიათ ტივი, რითაც კავშირი ჰქონდათ მდინარის მეორე მხარეს დასახლებულ სოფლებთან, კერძოდ: ბნელასთან და ოსკერიასთან, ზემო და ქვემო დადეშთან, ერკოტასთან, ვარნეთთან, სოფელ აწყვიტასთან და ა.შ. მდინარეზე გადასასვლელი ძველი ხიდი იყო მხოლოდ ტოლოშთან და ასპინძასთან. დინების ამ მონაკვეთში სხვა ხიდების ნანგრევი არსად არ არის შემორჩენილი. აქედან გამომდინარე, მდინარეზე ტივი დიდად ამოკლებდა შემოვლით გზას. თურმე, მეტივე ქუქჩიშვილებიდან ორი ძმა ამოსულა და დასახლებულა სოფელ ერკოტაში, ფერისცვალების ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. აქედან მომდინარეობს მათი ზედმეტი სახელი ,,ტივა“. მისი შემოკლებული ფორმის გამო კი მიიღო გვარი ტივაძე.

1959-61 წლებში ჩემი სოფლის მოსახლეობა ჩამოასახლეს ასპინძაში. მათი დასახლება მოხდა ერთ უბნად, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ე.წ. ერეკლეს ნახიდართან, სადაც ტივაძეები ერთმანეთთან ახლოს დავსახლდით. მიგრაციის გამო ასპინძის გარდა ჩვენი გვარისანები ცხოვრობენ ახალციხეში, ბორჯომში, თბილისსა და სხვა რაიონებში. ყოველ წელს ადგილობრივები კვირაცხოვლობის, ამაღლების და ფერისცვალების დღესასწაულებს აღვნიშნავთ ერკოტის ,,ფერიცვალების'' ეკლესიაში.

მთქმელი სანდრო სოლომონის ძე ტივაძე, 85 წლის, ასპინძის რაიონი, დაბა ასპინძა. ჩაიწერა კახა ზედგინიძემ 1991 წელს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit-meskheti@yahoo.com